

წიგნაკრები საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

31 მარტი 2023წ. №5 (4065) გამომცემის 92-ე წელი ფასი ფასი 2 ლარი

„ფრთხილად, წინ მკითხველია!“



ბადრი სულაჯა
(პოეზია)



ბულო კობახვილი
(პროზა)



შავლინ სირაძე
(კრიტიკა)



როსტომ ოდიკაძე
(პუბლიცისტიკა)



ლალი ჯავახარაშვილი
(საბავშვო ლიტერატურა)

თამაზ ნივნივადის სახელობის ლიტერატურული პრემია ძაღებს იკრებს, პოპულარობას იძენს, სახელს იხვეჭს. კრიტიკოსის სახელობის პრემია იშვიათობაა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. შეიძლება ამიტომაც, შეიძლება სხვა მიზეზებითაც, კონკურსი მალე მოექცა კალმოსანთა ყურადღების ცენტრში. რიგით მეორე, 2022 წლის კონკურსში კიდევ უფრო მეტი ავტორი მონაწილეობდა. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია 21 მარტს, ქართული ჟურნალისტიკის დღეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კორპუსში გაიმართა.

რატომ ტექნიკურ უნივერსიტეტში? საქმე ის არის, რომ ამ დღეს უნივერსიტეტში გაიხსნა თამაზ ნივნივადის ძმის, თენგიზ ნივნივადის სახელობის აუდიტორია.

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ ნივნივადე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში. აქ მუშაობის პერიოდში შექმნა მან 250-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, 5 მონოგრაფია და 12 სახელმძღვანელო, აღზარდა ქიმიკოს-მეცნიერთა და სპეციალისტთა არაერთი თაობა.

თენგიზ ნივნივადის სახელობის 206-ე აუდიტორიის საზეიმო გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი დავით

გურგენიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვეციანიძე, მწერალი ნუგზარ წერეთელი, საქართველოს ეროვნული აკადემიის ნეერ-კორესპონდენტი რამაზ ხუროძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ომარ გოცაძე, დრამატურგი რეზო კლდიაშვილი, პოლიტოლოგი ივანე კვეციანიძე. მათ ისაუბრეს თენგიზ ნივნივადის სამეცნიერო ღვაწლზე, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის საგულისხმო მომენტებზე.

შემდეგ გაიმართა თამაზ ნივნივადის ლიტერატურული პრემიის „ფრთხილად, წინ მკითხველია!“ ლაურეატთა დაჯილდოება. აუდიტორია ცერემონიაზე დასწრების ყველა მსურველს ვერ იტევდა. მოვიდნენ მწერლები, ჟურნალისტები და ნივნივადის მოყვარულები არა მარტო თბილისიდან, არამედ ქუთაისიდან, ბათუმიდან, ფოთიდან, სენაკიდან, ხაშურიდან, გორიდან, რუსთავიდან, თელავიდან.

ხუთ ნომინაციაში გამოვლინდა სამსამი ფინალისტი, რომელთაგან ფიურიმ (მზია ხეთაგური – თავმჯდომარე, ნინო ქუთათელაძე, ეკა ბაქრაძე, ციცილო ბაბუციძე, ივანე ამირხანაშვილი) დაასახელა თითო გამარჯვებული. როგორც აღინიშნა, ეს არ იყო იოლი საქმე. თუმცა როდის ყოფილა იოლი.

მაშ, ასე. თამაზ ნივნივადის სახელობის პრემიის „ფრთხილად, წინ მკითხველია!“ ლაურეატები გახდნენ:

2022 წელს გამოქვეყნებული საუკეთესო პოეტური ნაწარმოებისთვის – ბადრი სულაჯა;
საუკეთესო პროზაული ნაწარმოებისთვის – გულო კობახვილი;
საუკეთესო კრიტიკული სტატიისათვის – შავლინ სირაძე;
საუკეთესო პუბლიცისტური სტატიისათვის – როსტომ ოდიკაძე;
საბავშვო ლიტერატურაში შეტანილი წვლილისათვის – ლალი ჯავახარაშვილი.

დაჯილდოების ცერემონიის დასასრულს დოქტორი ნივნივადე ოჯახის სახელით მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, დამსწრე საზოგადოებას თენგიზ და თამაზ ნივნივადეების ხსოვნის პატივსაცემისა და დაფასებისათვის.

დაბოლოს, ცერემონიაზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა კონკურსის ფინალისტების, საერთოდ, კონკურსის მონაწილეთა მიმართ. აღინიშნა მარინე ტურავას, გიზო ზარნაძის, მირონ ხერგიანის, ლუკა ყაულაშვილის, ამირან ჯგუზაძის, როლანდ გიორგაძის, შალვა საბაშვილისა და სხვათა ნაწარმოებების ღირსებები. ფიურის ნეერებმა საქებარი სიტყვები არ დაიშურეს პოეტ დავით ახლოურის ლექსებისათვის.

ასე დასრულდა ლიტერატურული კონკურსი „ფრთხილად, წინ მკითხველია!“ წელი მეორე. იწყება წელი მესამე. **(ჩვენ სპეც. კორ.)**

ზაურ ბოლქვაძე – 90



ლომი!

უცნაურია დრო, ისტორია, მოვლენათა კავშირი. შორეული 1960 წლის გაზაფხულზე გამოცა ერთი პატარა პოეტური კრებული, რომელშიც შედიოდა ოთხი ახალგაზრდა პოეტის - გივი გეგეჭკორის, ტარიელ ჭანტურის, ნოდარ ნარსიას და ზაურ ბოლქვაძის ლექსები. კრებულს „სიმღერის დაბადება“ ჰქვია. როგორი ნიშანდობლივი სათაურია! პირველი იმით, რომ მაშინ მართლაც იბადებოდა ოთხი პოეტური ხმა. მეორე იმით, რომ ახალმა თაობამ წინამორბედი თაობის იძულებითი დუმის შემდეგ გაბედა მართლაც ემღერა. ემღერა გულთა და არა დაკვეთით... „სამოციანელთა“ ქოროში თავისი გამორჩეული ხმა ჰქონდა ზაურ ბოლქვაძეს.

მან თავის პოეტურ შემოქმედებას „სიხარულისა და სევდის ბალი“ უწოდა.

სიხარული და სევდა მისი „სიმღერის“ მთავარი მოტივები იყო, რაც შეეხება ფორმას, აქ ის მოულოდნელობების ოსტატი გახლდათ.

მოულოდნელია მისი ლექსის ტონალობა, მეტაფორა, პოეტური აზრი.

მოულოდნელი და თანაც ლამაზი იყო მის მიერ მოგვიანებით ნათქვამი ერთ-ერთი „ეპიტაფია“:

მე პოეტი ვარ – მიწა ვარ, ცა ვარ!..
 მე პოეტი ვარ – სივრცე ვარ, დრო ვარ!..
 მომენტურად სიკვდილი – წავალ!..
 მომენტურად სიცოცხლე – მოვალ!..

სიცოცხლის კაცი იყო, სრული კაცი, ეგზისტენციური ენერჯით აღსავსე პიროვნება, მოქალაქე, პატრიოტი. ისეთ სიკეთესა და სიყვარულს ასხივებდა, მსგავსი რომ იშვიათად გვინახავს. იყო მასში ერთდროულად პატრიარქალურიც და უაღრესად თანამედროვეც. სულის თავისუფლება გამოსჭვივდა მის სიტყვაშიც და საქციელშიც. „როგორა ხარ, ლომი!“ – ასე ესალმებოდა ნაცნობ-მეგობრებს და ამ ხალისიან სტერეოტიპშიც იყო ძვირფასი, განუმეორებელი, ძმური, ახლობლური და უტყუარი შტრიხი, რომელიც მხოლოდ მისი იყო, მას ახასიათებდა, მის ხასიათს ხსნიდა და ამიტომაც არის, რომ ყოველთვის, როდესაც მას ვხსენებთ, თავს ვერ ვიკავებთ, სიყვარულითა და აღფრთოვანებით რომ არ წარმოვთქვათ ძმობისა და მეგობრობის ეს გაუხუნარი პაროლი: „ლომი!“

ივანე ამირხანაშვილი

<p>ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაზე</p> <p>ნანა ქირიას ნიშნი</p> <p>83.2</p>	<p>ჩვენი ანკეტა</p> <p>ლალი ავალიანი</p> <p>83.3</p>	<p>სქუაშ დინა</p> <p>ზვიად კვარაცხელია</p> <p>83.7</p>	<p>ორი მოთხრობა</p> <p>ელგუჯა თაყვაიძე</p> <p>83.8-9</p>	<p>სენსაცია! პაპლო ნერუდა მოკლას</p> <p>ბაზატი „ბარლინი“</p> <p>83.15</p>
--------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------

გაგოსანა და აზრის სიხსნა

შესანიშნავი გამოკვლევა მიუძღვნა ნანა ქირია ზვიად გამსახურდიას შემოქმედებას – „პროფეტიზმი და ენიგმა ზვიად გამსახურდიას პარაპოლურ-პოეტურ ნარატივში“.

როგორც ნიგნის ავტორი აღნიშნავს, „ზოგად ლიტერატურული და თეოლოგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით, პროფეტიზმისა და ენიგმის არსის კვლევა საკმაოდ აქტუალურია როგორც საერთოდ თანამედროვე ლიტერატურის თეორიის მკვლევრებსა და თეოლოგ-ფილოსოფოსებს, ასევე ქართულ კრიტიკოსებსა და მთარგმნეებს შორის“. ქალბატონი ნანა დაგვანახებებს ზვიად გამსახურდიას ენიგმური პოეზიის არსს. საუბრობს იმაზე, თუ რომელ სახეობას განეკუთვნება ზვიად გამსახურდიას იგავ-არაკები, პროზაულს, პოეტურსა თუ შერეული ტიპისას; ალტერატიულობა მისი მახასიათებელი თუ დიდაქტიკურობა.

ავტორი ცდილობს დაგვანახოს, გვიჩვენებს თუ არა ზვიად გამსახურდიას ენიგმურად, რომ „ქრისტიანული მოვლინება და გამოსყიდვა სულიერ პლანში შეიძლება გაიგოს, როგორც შესაქმის მერვე დღე, როგორც ახალი ადამის მოვლინება, ანუ, როგორც პროცესი კოსმოლოგიური და ანთროპოლოგიური, როგორც ახალი სტადია ადამიანის თავისუფლებისა?“

ზვიად გამსახურდიას შეეძლო როგოსში გამოეხატა თავისი წინათვლიანობები: „ასტრალური და სულიერი საოცრად შეერწყა მისი, რამაც განაპირობა ჭეშმარიტი ნათლის მდგომარეობასთან გატოლება. როგორც კი თავისუფლების ქარიშხალმა დაპყრო, მან გამოავლინა სულის გმირული აქტივობა, მზე გამოერჩია თავთუხისაგან. ის არათუ ელოდა ეპოქის ცვლილებებს, არამედ თავად მოიყვანა ის“.

ავტორი იხსენებს კონსტანტინე გამსახურდიას წერილს, რომელშიც იგი მწერალს „მენცარს“ უწოდებს, ამჟამად მომავლის ჭრეტა რომ ხელენიფება. აქ ქალბატონი ნანაც დასძენს, რომ ზვიად გამსახურდიას პროფეტიზმი თვითნებურად გასაღები მისი შემოქმედების ორ ნიშანსტატი – პროფეტიზმსა და ენიგმატურობაში უნდა ვეძიოთ, რომ დიდი მწერლები ნათელმხილველობით კაცობრიობის მოტივაციას წვდებიან. ქართულ ლიტერატურაში, წინასწარმეტყველების თვალსაზრისით, პირველ რიგში, ნიგნის ავტორი ბარათაშვილის „მერანს“ იხსენებს.

ნანა ქირია სანამ ზვიად გამსახურდიას ენიგმის პოეტიკაზე საუბარს დაიწყებდეს, გვახსენებს მის აზრს, რომ ალტერატიული მოკლებული ლიტერატურა შიშველი ფაქტოლოგიაა, რომელსაც განზოგადების პოტენციალი არ გააჩნია და ამის გამო ვერ სცილდება ემპირიულ სინამდვილეს. ამ კონტექსტში ავტორი განიხილავს იგავს „თერსიტეს ვაცოცხლება“, რომელიც თანამედროვე ეპოქის ამბებს მოგვითხრობს და მოხაზავს გაგვახადებს. ლექსიკურად და თემატურად ზვიად გამსახურდიას იგავები გათანამედროვეებულა, მაგრამ მათში ზედმინეწი არის დაცული იგავარაკული ჟანრისთვის დამახასიათებელი ფორმა, სტრუქტურა, ნორმა.

ნანა ქირია ნიგნში ასევე საინტერესოდ მიმოიხილავს ზვიად გამსახურდიას პოეზიაში პროფეტიზმსა და ენიგმას. მართებულია აღნიშნავს, რომ ზვიადის პოეზია პანეგირიკულ ხასიათს ატარებს და ის მიძღვნილია, მიძღვნა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებისადმი, სამშობლოსათვის შეწირული გმირე-



პროფეტიზმი და ენიგმა ზვიად გამსახურდიას პარაპოლურ-პოეტურ ნარატივში
ნანა ქირია

ბისადმი, მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი მწერლებისადმი. „ზვიად გამსახურდიამ კარგად უწყობდა, რომ ეგოცენტრისტული განწყობებით არაფრის შექმნა არ შეიძლება. არ შეიძლება მიეცე ალტერატივსა და გამოიგონო უმჯობესი სამყარო. პარადოქსი ისაა, რომ ის ახერხებდა და აერთიანებდა ასევე სასა და შემოქმედებით ცხოვრებას. ასევე ქართულ გამოცდილება აფიქრებს საკუთარ სრულყოფილსა და გადარჩენაზე“ (ნანა ქირია).

ნიგნში შესანიშნავად არის განხილული პოეტური თავისუფლების საკითხიც. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა თავისუფლად და თავისუფლებისგან რომ სამყარო საღვთო გამოსხივება კი არა, დაბადება იყო, ევოლუცია კი არა, შემოქმედება, სიხსნე. რომ სამყარო შექმნილია და არსებობს მისი შემოქმედი და ადამიანიც, რომელიც სახეა და ხატია ღვთისა, მონოდებულისა შემოქმედებისაკენ. აღნიშნულია, რომ ზვიად გამსახურდიას პოეზიაში პროფეტიზმი ნიშნავს თვითგადალახვას, ჩაკეტილობისგან გამოსვლას.

ნიგნის ბოლო თავში ნანა ქირია განიხილავს ზვიად გამსახურდიას იგავებში დროისა და სივრცის დისკურსს, ასევე კეთილსა და ბოროტის დიქოტომიას. წერს: „ამაზრუნე, მიძიე და სევდიანი ამგვარ დროებაში იმ ადამიანის ცხოვრება, რომელსაც ახსოვს და უყვარს მზე, ნათელი. მხოლოდ ამგვარ ადამიანს ძალუძს განიცადოს უსაზღვრო მწუხარება ყოველად ფასეული სამყაროს შეუქცევადი სიკვდილისგან. ზვიად გამსახურდიასა და მის დარ ადამიანებში სულიერ-გონით სიღრმეებში თუა მოინახება ამ საშინელების შხამსანიხალდმდეგო საშუალება, რომელიც კვლავ მოგვანიჭებს ახალ სიხარულს“.

ავტორი დასძენს, რომ ზვიად გამსახურდიას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ცდილობდა ბოროტებაზე გასამარჯველად ბოროტება ემხილებინა, რომ ის ბოროტებასთანაც კი არ იყო ბოროტი.

ნანა ქირიას ნაშრომიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას მხოლოდ მნიგნობარი და ინტელექტუალი კი არ იყო, არამედ იგი ნაკითხულის შინაარსებს მისტიკურ დონეზე იაზრებდა და ვადმოსცემდა მკითხველისთვის გასაგები ენით“. მართლაც, ზვიად გამსახურდიას ნებისმიერი ტექსტი, მხატვრული იქნება ის თუ სამეცნიერო, დასტურია ზემოთ აღნიშნული რეცეფციული პრინციპისა, რომ ალტერატიული განზოგადებას, სახისმეტყველებას მოკლებული ლიტერატურა (ვარიული ფაქტოლოგიაა, ემპირიულ სინამდვილეს ვერ გასცდება, ვერ გამოხატავს საყოველთაო შინაარსს, ზოგად იდეას.

ასე რომ, ნანა ქირიას ნიგნი გახლავთ საინტერესო და საგულისმო ნაბიჯი ზვიად გამსახურდიას პოეტური შემოქმედების სახისმეტყველებითი ხასიათის ასახსნელად და იმის გასააზრებლად, თუ რა როლს ასრულებს ამ ხასიათის ჩამოყალიბებაში წინასწარმეტყველება და გამოცანა.

ნანა გუგავა

მე საქართველო ერთიანი, მთლიანი მნახს... პოეზიას!

ლია წერილი ქალბატონ ნინო სტრონი-დარბაისელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული მისი ლიტერატურული წერილის გამო

ქალბატონო ნინო, ბოლო წლებში, ვგონებ, თქვენთვისაც კარგად გასაგები მიზეზების გამო, მკითხველს ძნელად მიუწვდება ხელი მხატვრულ-ლიტერატურულსა და სახელოვნებო გამოცემებზე. მეც მათთან ერთად ვარ ბედის მომღურავი და მომჩინანი... მაგრამ რაზეც მიმინებდა ხელი და თვალი, დიდი ინტერესითა და მოლოდინით ვეცნობი. ამიტომ რამდენადმე მაინც ვიცნობ თანამედროვე პოეტების, პროზაიკოსების, მათთან ერთად, ლიტერატურათმცოდნეთა და ხელოვნებათმცოდნეთა ნააზრევს. თუმცა, ყველა ავტორითა და მათი ნაკლებებით ერთნაირად როდი ვარ აღფრთოვანებული, მაგრამ ჩემს თავზე არ ვიღებ მათ საჯარო ნიშნავს, მონივნებს თუ არმონივნებს, ჩემთვის ვიტოვებ ჩემს სათქმელს.

თქვენ კი, ქალბატონო ნინო, ჟურნალ „ცისკარის“ 2022 წლის მე-6 ნომერში გამოქვეყნებული წერილი – „თანამედროვე პოეტი ქალები (ციკლიდან: ქართული პოეზიის პანორამა)“, ჩემთვის და, არა მარტო ჩემთვის, მეტად სათუთ თემას შეეხეთ (თანაც, როგორ!) და მარტო ჩემად ვერ ვიტოვებ ჩემს სათქმელს.

თავიდანვე გეტყვით, ყოველთვის დიდი ინტერესით ვკითხულობ თქვენს პუბლიკაციებს, მეტიც: რომელიმე გაზეთს, ან ჟურნალს წინასწარ რომ გადავთვალთვლიერებ (ასეთი წესი მაქვს!) და თქვენს სახელსა და გვარს შევხვდები, აი, იქიდან ვიწყებ კითხვას... რატომ? ამ კითხვას, მეონია, პასუხი არ სჭირდება!

ამჯერად კი ძალიან, ძალიან გამაკვირვებ... გამაკვირვებ რომელია, როგორც მკითხველს, როგორც ქართველს და გნებავთ, თქვენებ დედ-მამითა და მთელი წინაპრებით კახელს, გული მატკინეთ. „ცისკარის“ ზემოთ დასახელებულ ნომერში თქვენს საკმაოდ ვრცელ წერილს – „თანამედროვე პოეტი ქალები“, ქვესათაურით: „ხედი პირველი – კახეთი“, იწყებთ დიდი ქართველისა და დიდი პოეტის მურმან ლებანიძის ცნობილი ლექსით, სადაც ის თავისი პოეტური სიმალლიდან გმობს მათ, ვისაც „ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად/ჩვენი გაყოფა და... გათიშვა სწყურია“. მარტო გმობს კი არა, შესაფერისი სახელებითაც ნათლავს და ძალიან მართლდაც!

მერე? მერე იქვე, მეორე აბზაცში, პოეტის სტრიქონებს იმონებთ და აქაც სამართლიან წყენას გამოთქვამთ, რომ „... როცა საქართველოს რომელიმე კუთხის ასეთ გამორჩეულობაზე იწყებთ რაიმე ნიშნით მსჯელობას (რაც ამ ბოლო დროს მეტისმეტადაც კი მოხშირდა), უკეთესი ფორმულირება ახლაც და ყოველთვისაც ძნელი მოსაძებნია“.

შემდეგ, მესამე აბზაცში იმავე აზრს ავითარებთ და უფრო მეტდაც ასაბუთებთ თქვენს მოსაზრებას... „... ამასაც არ ვიკმარებდი, აუცილებლად ვეტყვოდი, რომ მეთოდოლოგიურად ეს გაუმართლებელია. ჩვენ ვქმნით

ერთიან ქართულ პოეზიას, ლიტერატურასა და ხელოვნებას და ზოგადად კულტურას“.

აქ უკვე, ჩემდაუწებურად, მომინება მლალატობს და წინ ვუსწრებ ჩემი წერილის მთავარ სათქმელს, რამაც ხელთ კალამი ამალბინა და თქვენთან წერილი მომანერინა. ქალბატონო ნინო, რა კარგად იწყებთ თქვენს წერილს... ასეთი შესავლით თქვენ არა მარტო თქვენი, ყველა ჭეშმარიტი ქართველის ტკივილს გამოხატავთ, ყველას სათქმელს ამბობთ, ვისაც ქართული მწერლობა და საერთოდ, ქართული კულტურა ეგულსჭირება!

მაგრამ ვისჯები ჩემი მოუთმენლობის გამო, რადგან... ასეთი შესავლის შემდეგ თვითონ ჰყოფთ ქართულ პოეზიას საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით, ქართველ პოეტებს კი კახელ და არაკახელ და ა.შ. პოეტებად. ქალბატონი ხართ და მესმის, რომ ამჯერად ცალკე საუბრობთ პოეტ ქალებზე, მაგრამ რატომ, რა ნიშნით, ან რა უფლებით გამოაცალკევებთ ერთმანეთისაგან და სხვათაგანაც, კახელ და არაკახელ, იმერელ, მეგრულ და საქართველოს სხვა კუთხეების წარმომადგენელ პოეზიის მსახურ ქალებს?

მაგრამ, ვიმსჯელოთ იმაზე, რასაც გვთავაზობთ, ანუ კახელ პოეტ ქალთა პოეზიაზე. თქვენი მიმოხილვის ქვესათაურიც ხომ ასეთია: ხედი პირველი – კახეთი. მიმოხილვას თქვენთვის, ჩემთვისაც და ვფიქრობ, ყველასათვის საყვარელი პოეტის, ელა გორიაშვილის პოეზიის მიმოხილვით იწყებთ. მე ვერ მოვიწინებ თავს ქალბატონ ელა გორიაშვილის ლექსების სრულად, სისავსით ცნობით, ვიცნობ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ხელი და თვალი მიმინებდა მის გამოქვეყნებულ ლექსებზე, მაგრამ რასაც ვიცნობ და რამდენადაც ვიცნობ, იმ ლექსების ავტორი ძალიან საინტერესო (და არამარტო საინტერესო!) შემოქმედად მიმაჩნია და გულსიტკივლით ვაღიარებ, რომ თუ ვინმეს ლექსებისადმი შიშხილა და წყურვილს განვიცდი და ვინმეს ლექსების მეტად გაცნობა მნებავს, მათგან ერთ-ერთი – თქვენგან და ჩემგანაც და მრავალთაგან მონივნებული და აღიარებული ელა გორიაშვილია.

და გვთანხმებით, როცა, ელა გორიაშვილის პოეზიის მიმოხილვისას, ბოლო აბზაცში აცხადებთ: „ამ მოკლე მიმოხილვის დასასრულს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ელა გორიაშვილი არამხოლოდ ჩემი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი, არამედ იგი გახლავთ ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი პოეტი ქალი“, დიახ, ქართველი და არა კახელი პოეტი ქალი, ქალბატონო ნინო, ამ აბზაცში ალბათ, გამოგრჩათ „კახელი“ და ძალიან კარგიც, ასე სჯობია: ელა გორიაშვილი კახელი კი არა, ქართველი პოეტი ქალია!

ელა გორიაშვილის შემდეგ მიმოხილვას განაგრძობთ და იწყებთ... არც მეტი, არც ნაკლები – ჯემალ აჯიაშვილით და გულისტკივილით აღნიშნავთ, რომ ჯემალ აჯიაშვილს პოეტად ნაკლებად იცნობს მკითხველი. იქვე, იმავე კონტექსტში, ისეთივე გულისტკივილით ასხენებთ დავით წერეთლის, რამიც არ შეიძლება,

არ დაგეთანხმობთ... მაგრამ... ო, ეს მაგრამ!

ქალბატონო ნინო, აკი შეგვიპირდით, რომ მიმოხილვამ: ხედი პირველი – კახეთი, კახელი პოეტი ქალების პოეზიაზე გვესაუბრებოდით... რა მოხდა? კალამი ნაგიცდათ?

შემდეგ მიმოხილვით ცნობილი მწერლის, ნარა გელაშვილის პოეზიას. აქაც გასაგებ და მისაღებ გულსიტკივილს გამოხატავთ, რომ მას პოეტად ნაკლებად იცნობს ქართველი მკითხველი და საზოგადოება. დიდად სამწუხაროდ, პირადად მეც, მის პროზას უფრო ვიცნობ და ეს ქალბატონ ნარა გელაშვილის მრავალმხრივი შემოქმედების ბრალი როდია! ისევე და ისევე – გამოცემებზე მკითხველის ხელმოწვევით!

შემდეგ... შემდეგ თქვენეულ მიმოხილვაში ჩნდებიან მეცნიერი პოეტი ქალები: ანა კალანდაძე, ლია სტურუა, გურჯა კვარაცხელია, დალილა ბედიანიძე, მანანა ჩიტყვილი, ნუციკო დეკანოზიშვილი, ირმა შილაშვილი, ჟურნალისტი და პოეტი ბელა ჩეკურაშვილი. აგრეთვე ქეთევან ნათელაძე, აგრეთვე ნინა სამხარაძე... ნათა ვარადაც ასხენეთ...

ქალბატონო ნინო, თავს არ ვაძლევ უფლებას, დასახელებული პოეტების შემოქმედების თქვენეულ მიმოხილვას შევეხო, ეს სხვა წერილის თემაა და ამის პატივს სიამოვნებითა და დიდი პასუხისმგებლობით გრძნობთ დაუთომობ სხვას, ან სხვებს. მე კი, როგორც მკითხველი, გაკვირვებასთან და გაცივებასთან ერთად, გულისტკივილს გამოვთქვამ იმის გამო, რომ მიმოხილვის დასაწყისში მურმან ლებანიძის ლექსს იშველებთ, იმონებთ და ასევე, რომ საქართველოს ცალკეული კუთხის რაიმე ნიშნით გამორჩევა მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია, რადგან ჩვენ ვქმნით ერთიან ქართულ პოეზიას, ლიტერატურასა და ზოგადად, კულტურას და ა.შ. და მაინც, იქვე, იმავე მიმოხილვაში გვთავაზობთ ქართული პოეზიის პანორამის ციკლს და მიმოხილვას იწყებთ „ხედი პირველი – კახეთი“-თ. ეს როგორ და რანაირად?

და კიდევ იმიტომ, „თანამედროვე პოეტი ქალები“-ს ქვესათაურში, ხედი პირველი – კახეთი, რომ გვპირდებით, ეს არის თქვენეული ქართული პოეზიის პანორამა? ეს არის ხედი პირველი – კახეთი? თქვენეულ ჩამონათვალში მაინც რამდენია კახი პოეტი ქალი? სულ ესაა? როგორც მკითხველმა, რა ვიფიქრო? გამოგრჩათ? ყველას არ, ან ვერ იცნობთ? იქნებ მიმოხილვის მოცულობამ ყველა კახი პოეტი ქალი ვერ დაიჭრა? ან მათ თქვენი ყურადღება რატომღაც ვერ დაიმსახურეს? ან... ან... ან...

ასეთ დროს იტყვიან, გულგრობობს და სუბიექტურობას (ჩემი ლექსიკონით -- მიკერძოებულობას!) მოუკვდეს მომგონიო... ქალბატონო ნინო,

ჩემი ღია წერილის დასაწყისშივე აღვნიშნე, რომ ჩემთვის ხელმისაწვდომ ქართულ გამოცემებში გამოქვეყნებულ მხატვრულ-ლიტერატურულსა თუ ნებისმიერ პუბლიკაციებს, მომწონს თუ არ მომწონს, ვეთანხმები თუ არ ვეთანხმები, არ ვესმაურებო. ეს ღია წერილი კი მოუთმენებლად გულისტკივილად დამანერინა, თან ენატრობ: ნეტავ მე... მე ვცდებოდე! ფიქრაც არ მეშვება: ნეტავ როგორი იქნება ხედი მეორე?

თინათინ სიყვარული რუსთავი

„ლს“ ანკეზა: თანამედროვე ქართული რომანი



ლალი ავალიანი

1. ქართული თანამედროვე რომანის-ტიკის აღორძინება XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, სწორედ მაშინ, როდესაც რუსული ანექსიის შემდგომ ჯერ გამკაცრებული, თანდათანობით კი გამძვინვარებული ცენზურის მიუხედავად, გამოჩნდნენ მოდერნისტული რომანის ნამდვილი „გრანდები“: გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, დემნა შენგელაია, ლეო ქიჩაძე... 30-იანი წლების დასასრულის არსებულმა რეპრესიებმა და II მსოფლიო ომმა დიდი ხნით, ძალადობრივად შეაფერხა ეს პროცესი. ოთარ ჩხეიძის მოქალაქეობრივმა გაბედულებამ, შემდგომ კი უნიჭიერეს „სამოციანელთა“ ჯგუფურმა ნონკონფორმიზმმა გაარღვია მოჯადოებული რკალი. ამას ერთხანს ე. წ. „დათობაც“ უწყობდა ხელს, თუმცა 70-იან წლებში კვლავ აგორდა კამპანია ხელოვნებისა და მწერლობის წინააღმდეგ. ამიტომ, გარდა „სამოციანელთა“ რომანებისა, სრული მოულოდნელობა იყო ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ (1973-75 წწ.) დაბეჭდვა. დროში გადასაცვლების მიუხედავად, რომანი აღიქმებოდა როგორც თანამედროვე ქართული საზოგადოების უმწვავესი პრობლემების ამსახველი თხზულება. იგივე ითქმის 70-იანელი გურამ დონაშვილის იგავურ, პარაბოლურ რომანებზეც.

2. არ მეგულება კარგი რომანი, რომელიც არ იყოს წარმოსახული ქართველი კაცის ფსიქოლოგია და მისი სულიერი სამყარო, – როგორ და რა რაკურსით, ეს უკვე ავტორის საქმეა.

3. 1990-იანი ამბივალენტური, ტკბილ-მწარე, უფრო კი ავბედითი წლები, როცა ხანმოკლე ეიფორიას უიმედობა და უსასოობა ჩაენაცვლა, როგორი პარადოქსიც არ უნდა იყოს, გახდა მძლავრი ბიძგი საზოგადოებრივი თუ მასთან მუდმივად გადაჯაჭვული პირადული-ადამიანური ყოფის ერთობლიობის მხატვრული განსახილველი: თაობათა გათიშულობა, ოჯახური კონფლიქტი, ძმობისკენ მიმართული თუ რუს „მშვიდობისმყოფელთა“ უტიფარი თარეში (ოკუპაციით რომ „დაგვირგვინდა“), ყმანვითა გზაბნეულობა, სიბრაზე და აგრესიულობა უფროსი თაობის უნიათობისა თუ „პირქუში დუმილის“ გამო. ყოველივე ამან შეაქმნევინა ოთარ ჭილაძეს „აველუმი“, ვაჟა გიგაშვილს „ერთი ვინმე ყოფილი იმპერია“, კოტე ჯანდიერს „კარგი ცუდი ბიჭები“, დათო ტურაშვილს „ჯინსების თაობა“, აკა მორჩილაძეს „მოგზაურობა ყარაბაღში“, ლაშა ბუღაძეს „ბოლო ზარი“ და „ოქროს ხანა“ და ა. შ.

4. „გმირი“ პერსონაჟების დრო, ვგონებ სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს, თანამედროვე ქართული რომანის პროტაგონისტი, ძირითადად, ჩვეულებრივი ადამიანია: არც გმირი და არც ანტიგმირი.

5. უახლესი რომანისტიკის ენა დიდი ნაირფეროვნებით გამოირჩევა; პირობითად შეიძლება ასე დავყოთ: ტრადიციული სალიტერატურო ქართული, ჟარგონის

1. თქვენი აზრით, როგორ ასახავს ქართული რომანი თანამედროვე საზოგადოების პრობლემებს?
2. რამდენად არის განხილული რომანში ქართველი კაცის ფსიქოლოგია, მისი სულიერი სამყარო?
3. როგორ აისახა 90-იანი წლების მოვლენები რომანისტიკაში?
4. ვინ არის თანამედროვე ქართული რომანის მთავარი პერსონაჟი – გმირი თუ ანტიგმირი?
5. რამდენად შეესაბამება ჟანრის მოთხოვნებს რომანის ენა?
6. რა მისცა რომანს 90-იანების დასაწყისში ცენზურის გაუქმებამ და სიტყვის თავისუფლებამ?
7. რით განსხვავდება თანამედროვე ქართული რომანი მეოცე საუკუნის ქართული რომანისაგან?
8. ხელახლა თუ არა მიგვიძირობთ კავშირს კვლავ და თანამედროვე რომანებს შორის?
9. კოსტუმოლოგიის მხატვრული და დოკუმენტალისტური ტენდენციები უკანა პლანზე სომარ გადასწავლის მხატვრული გამოწვევები?
10. რამდენად მოქმედებს გზარის კანონები რომანის ხარისხზე?
11. რომელი ქართული და საზღვარგარეთული რომანები ნაიკითხეთ გოლოპირთი წლის განმავლობაში?
12. დასასრულა თანამედროვე ქართული რომანისტიკის სამუშაო.

ნაწილობრივი გამოყენება ან მოლიანად ჟარგონით შექმნილი თხზულება, ექსპერიმენტები (მხოლოდ დიალექტზე დაწერილი რომანი, „ენობრივი თამაშები“, ბარბაროზებისა თუ ვულგარიზმების სიჭარბე)...

ენა მართლაც სულია მწერლისა და ავტორის წარმატებაც მასზეა დამოკიდებული. ქართულ ან თარგმნილ რომანში აშკარა ენობრივი შეცდომები არცთუ იშვიათი მოვლენაა. სამწუხაროა, როცა პროზაული თხზულებანი დალდასმულია ბეჭდური, უფრო ხშირად კი ელექტრონული მედიის მაგნე გავლენით. ოთარ ჭილაძემ 90-იან წლებში მწარედ გააქილია „ნერა-კითხვის უცოდინარი უფრო-გაზეთები, რომელიც მასმედიადად აფიქსირებენ ფაქტებს“. „ეპატაჟი ეპატაჟად, მაგრამ ჯერ ქართული ისწავლე, ძამიკო!“ – ეს სიტყვები ლაშა თაბუკაშვილს ეკუთვნის.

რედაქტორთა ოდესაც მძლავრი ინსტიტუტი თითქმის მოშლილია. ესეც დიდი პრობლემაა.

ზოგი ავტორი „ჩქარობს“ დღევანდლობას ბოლომდე გაუაზრებლად და „შიშველი ნატურალიზმით“ (მათ შორის – ენობრივით) წარმოგვიჩენს. თუ ამას მომგებიანი მოდური „საექსპორტო“ კონიუნქტურით, ეპატაჟითა და „ენაგაყენილებითაც“ (საბა) შეაზავებს, – პოპულარობა თითქმის განუდებელი აქვს; მაგრამ ამგვარი ეფექტი მალევე ქარწყლდება ხოლმე.

6. არა მგონია, ოფიციალური ცენზურის გაუქმების დიდი გარდატეხა შეეტანოს ქართულ რომანისტიკაში; XX საუკუნის დიდი მწერლები ისე ღალად და ოსტატურად წერდნენ, თითქოს ცენზურა არც კი არსებულყო. ამისათვის ისინი „ისჯებოდნენ“ კიდევ გაავეებული კრიტიკით თუ ხელოვნური ბარიერებით; მაგრამ არც მკითხველი აკლდათ და არც საყოველთაო აღიარება. ვგულისხმობ ე. წ. „დათობის“ შემდგომ პერიოდს, როცა მწერლების „ხალხის მტრად“ გამოცხადება, გადასახლება და დახვეწა, ღვთის მადლით, წარსულს ჩაბარდა.

იმავდროულად, მედროვე რომანისტიკი კვლავ „მამებლური“ თხზულებებით ცდილობდნენ თვითდამკვიდრებას, – მათ არც ჯილდოები აკლდათ და არც ოფიციალური რეგალიები, თუმცა მათი ნაწერები დღეს არავის ახსოვს.

სიტყვის თავისუფლება დიდი სტიმულია ლიტერატურისათვის, თუმცა, ახლებური „მედროვე“, ოდენ იაფფასიან პოპულარობას გამოდევნებული ავტორებიც არ გადაშენებულან.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სიტყვის თავისუფლება დიდად წაადგა ლიტერატურის ისტორიკოსებსაც.

7. მისიერმა ეგზისტენციალურმა და მენტალურმა ცვლილებებმა, ნაგვიანემა „სექსუალურმა რევოლუციამ“ და სიტყვის თავისუფლების ალაგ-ალაგ თავშეკლებაში ჩანაცვლებამ, რიგ შემთხვევაში – დასავლური ნოვაციების უპირობო გაფეხტიშებამ, რასაკვირველია, განასხვავა თანამედროვე ქართული რომანი XX საუკუნის რომანისტიკისაგან. ამას დაერთო ნაკლები პიეტეტი მარადიული ფასეულობებისადმი, ირონია და ცინიზმი.

ზემოთქმულის მიუხედავად, განმსაზღვრელი მაინც ავტორის ნიჭიერება და

მხატვრული ოსტატობაა: ის, რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს... თუნდაც რამდენიმე „იუპიტერის“ არსებობა დიდ მოლოდინს ბადებს.

8. რომანის ჟანრმა დიდი ცვლილებები განიცადა: XX საუკუნიდან დღემდე ნოვატორულმა სიმამემ, მწერლობის თითქმის ყველა ჟანრს რომ შეეხო, რომანისტიკასაც უცვალა ფერი. გლობალურად „დაქსელილი“ სამყაროს მონაპოვარი, მათ შორის ლიტერატურის უახლესი ტენდენციები იოლად ხელმისაწვდომი გახდა; ქართულ ტრადიციულ მწერლობასაც შეეხო, რაც კარგიც არის და ცუდიც. ამ პროცესმა მარტო ეპიგონიზმს კი არა, პლაგიატსაც შეუწყო ხელი, რამდენადმე ჩვენს იდენტობასაც დაემუქრა; მაგრამ ნიჭიერი მწერლები, კარგად რომ განასხვავებენ იფქლსა და ღვარძლს, შემოქმედებითად ითვისებენ უცხოურ ინოვაციებს და ძალდაუტანებლად უხამებენ მას ქართულ რეალობას. ისტორიულადაც ხომ მუდამ ასე იყო.

9. ემპირიულსა და გამოხატონს ერთმანეთისათვის ხელი არასოდეს შეუშლიათ. რით ჩამოუვარდება რომანს მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის შედეგები? ჩვენი პროზის ოქროს ფონდს მიეკუთვნება დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ნიკოლო მინიშვილის „თებერვალი“ და „ეპოპეა“, თამაზ ნატროშვილის „მამრიყიდან მალრიბამდე“, ვაჟა გიგაშვილის „ნადირობა ჩინ-ტაშიში“ და სხვ.

ქართული პოსტმოდერნიზმი არ არის შეზღუდული: ის „მრავალხმიანობით“, მახვილგონიერი თამაშით თუ კლასიკური ტექსტების „გადანერით“, დოგმებსა და თეორიებს ნაკლებად ემორჩილება. პედანტურად თუ განვსჯით, ქართულ პოსტმოდერნიზმს პირობითად თუ ვუნოდებთ ამ სახელს. მით უმეტეს, რომ ციტაცია, ინტერტექსტუალურობა, ძველ სიუჟეტთა „გადამღერება“, ალუზიები თუ რემინისცენციები ნებისმიერ ეპოქათა მწერლობაშიც დაიძებნება.

აკა მორჩილაძის „მადათოვური ტრილოგია“ ამ ჟანრის მწვერვალად მიმაჩნია. მას ეპიგონებიც გამოუჩნდნენ, მაგრამ ავტორი ამ საქმეში „უბრალოა“.

რობიკო სტურუას ინტერვიუს ერთი ფრაგმენტი გამახსენდა: ჩემი ერთადერთი დანაშაული ქართული თეატრის წინაშე ის არის, რომ ძალიან ბევრი მიმბაძველი გამოიჩინდა...

10. სამართლიანად და სწორად მართული საბაზრო ეკონომიკა ჩვენთვის უცხო ხილია, მაგრამ გარკვეულ სფეროებში – სიკეთის მომტანია.

ძალიან მინდა იგივე ვთქვა ზოგადად ლიტერატურის მიმართაც; როცა საუკეთესო ქართული რომანი „ბესტსელერი“ ხდება, – ეს ბუნებრივია და არცთუ იშვიათი. ზოგიერთი ავტორის წინასწარი ჩანაფიქრი „სწრაფი და იორლა“, მაგრამ იაფი პოპულარობის მისაღწევად, ნებისმიერი მომგებიანი ხრიკით („კიჩისა“ და მასკულტურის ვულგარული თემატიკა) მხოლოდ აუფასურებს ტექსტს. ამიტომაც დაგვიხვავდა „გრანტიკლაპა“ ან შეძლებული ავტორების ოდიოზური რომანები, რაც მკითხველთა გარკვეული ფენის მიერ „გაბედულებად“ აღიქმება.

უნდა ვაღიაროთ, რომ „ბაზრის კანონების“ გაფეხტიშებამ გვარიანად დააკნინა

რომანისტიკაც. ეს გლობალური მოვლენაა და ამის მოგვარება წიგნის გამომცემლობებსაც არ ხელეწიფება.

11. ეს ჩამჭრელი შეკითხვაა, რადგან არა მხოლოდ ჩემი „ხელობისა“ ან სიამოვნების მიღების, არამედ ცნობის-მოყვარეობის გამოც უამრავი განსხვავებული ჟანრის ტექსტს ვკითხულობ. ჩემთვის გამოვგებელი აღმოჩენა იყო უმბერტო ეკოსა და ნიკოს კაზანდაკისის რომანები. ისე კი, თანამედროვე უცხოური რომანების მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება, მით უმეტეს „ბოს ალტაცება“ (მათი რეკლამისტიკისგან განსხვავებით) არ მაქვს. ჯერ იყო და პაულო კოელიო ლამის კერპად აქციეს; ბებებდური, მართლაც კარგი მწერალი, მგონი, სამჯერ მოინვიეს საქართველოში: მკითხველეთან შეხვედრების შემდეგ დაიჩივლა, – ისე მექცოდნენ, როგორც ფეხბურთის ვარსკვლავს, თუმცა ჩემი რომანები ნაკლებად აინტერესებდათ. ორჯან ფამუქის „უმანკოების მუზეუმი“, ჩემი აზრით, „საექსპორტოდ“ გათვლილი რომანია: მის მიმართ პატივისცემა მაშინ დავკარგე, როცა გავიგე – სტამბულში „უმანკოების მუზეუმი“ (სათანადო ექსპონატებით) დაარსდა და მხახველი არ ელევაო. მისივე „მე მქვია ნითელი“, შესანიშნავად თარგმნილი აღმოსავლეთმცოდნე ლია ჩლაიძის მიერ, ძველი თურქი ხელოვანების, მათი შრომისა და ყოფის უაღრესად კოლორიტული რომანი – ნამდვილი შედევი აღმოჩნდა. იელინეკის „პიანისტიკ“ დიდი ინტერესით წავიკითხე, უელბეს კი ვერ გავუძეობი, გულს მეფონა მანანა გიგინიშვილის, ჩინებული მეცნიერი-სა და მთარგმნელის გადმოქართულებული ხალილ ჯიბრანის რომანი „იესო, ძე კაცისა“, მისივე ხიმენესის „პლატეო“, რომელმაც ერთხელ კიდევ დამარწმუნა ქართული ენის უკიდევანო შესაძლებლობებში.

ახლახანს ირაკლი სამსონაძისა და არჩილ ქიქოძის ახალი რომანები წავიკითხე. ჩემი პასუხი ანკეტის შეკითხვაზე, კუდ-მოკვეცილია და შეუსაბამო; სამაგიეროდ – გულახდილი.

12. დიდი სიამოვნებით დავასახელებ ნისტო სამუელს: აკა მორჩილაძეს, არჩილ ქიქოძესა და ირაკლი სამსონაძეს.

წავიკითხე კი არა, პირდაპირ „გადავყლაპე“ თემურ ბაბლუანის „მზე, მთვარე და პურის ყანა. მანუშაკა მელიძე“; მაგრამ, როგორც „კინომანა“, ის უფრო ფილმივით აღვიქვე, ვიდრე რომანად. კინოკადრებით დამიბდა თვალწინ ჩემი ბავშვობისა და ახალგაზრდობის დედაქალაქი, თუმცა იტალიურ ეზოსა თუ „ძველ“ თბილისში არ მიცხოვრია. შემთხვევით გავიგე, რომ ავტორიც და მეც ერთხანს „მთაწმინდელები“ ვყოფილვართ: ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიბოდოვის ქუჩათა მკვიდრნი.

„კლასიკურ“ სამუელსაც გამოვყოფ: ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, რეზო ჭეიშვილი.

არ ვიცი, თავსდება თუ არა რომანის ჟანრში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, თუმცა ნოდარ დუმბაძის ეს თხზულება ქართული იუმორის „აპოკაფ“ (გადაჭარბების გარეშე) მესახება.

იმ „მასკულინურ“ ჩამონათვალს აუცილებლად უნდა დავამატო დიდებული რომანების ავტორის ზაირა არსენიშვილის სახელი.

ზაალ ზოტაძე

„ლექსი – სიტყვა სრული და რჩეული, გინა შეწყობილი“.

ასე განმარტავს დიდი სულხან-საბა ლექსის რაობას.

რა საოცრად ზუსტი და, ამავე დროს, ლაკონური განმარტებაა იმ ცნებისა, რომელიც მრავალი საუკუნეა, რაც სულს გვიფორიაქებს და მოსვენებას არ გვაძლევს, გვაკეთილშობილებს და შეგვახსენებს, რომ ჩვენ, ადამიანები, ბედნიერებისთვის, სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის, რანდობისთვის ვართ შექმნილი და არა ეშმაკი და სატანის მსახურებისთვის.

ახლა, ამ სტრიქონების წერისას, მეორე განმარტებაც ამომიტივტივდა გონებაში. ნახეთ, რა საინტერესო მოსაზრებაა:

„როცა ნამდვილად ღირებულ რაიმეს წავიკითხავ, იქნება ეს ნაწარმოები მთლიანად თუ ერთი პატარა ეპითეტი ან შედარება, ვიმეორებ, თუ მართლა კარგი და ღირებულია, მაშინ მარცხენა ხელზე, მაჯიდან იდაყვამდე, აუცილებლად დამბურძღლავს...“

უნდა დამეთანხმოთ, რომ გურამ დონაშვილის ეს იუმორირებული ოპუსი არ ჩამოუვარდება პოეზიის არცერთ კანონიერ განმარტებას და სრული უფლება აქვს ლეგიტიმური არსებობისა.

ახლა კი ერთი ლექსი მინდა მოვუყვანო ნიშნულზე მკითხველს.

ქარი სამოსელს იხვეს, არც თოვამ გადაიღო, დედი, მჭედლანთ მიხა მკვდარიც ლამაზი იყო. თითქოს ალუბლებს მიჰყავთ, ცეცხლივით მოგიზგიზე, დედი, მჭედლანთ მიხა რად მესიზმრება ისევე. მთვარე ნაიდრობს ნილაბს, გადმოკიდული გორით, დედი, მჭედლანთ მიხამ თან ნამიყვანა, მგონი.

ამ პატარა, სულ რაღაც სამსტროფიან ლექსში დიდი, ვეება ადამიანური ვნებები ბობოქრობს, ვულკანური ლავასავით მოედინება და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ყველას იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ სიყვარულის, ოღონდ ნამდვილი და ყოვლის ნამღეკავი სიყვარულის დაკარგვის შემთხვევაში, ამ ქვეყნიური არსებობა აზრს კარგავს და უკვე აღარაფერი გაკავებს ამ ცოდვით დაცემულ დედამინაზე.

ამ ლექსის ლიტერატურული გმირი – ერთი უბრალო გლეხის გოგო ისე მისტორი გულისხმობს – (ცეცხლივით მოგიზგიზე მჭედლანთ მიხას, რომ ძალაუნებურად პარალელის გავლება მოგინდება ვერონელი კაპულეტების ერთადერთ ქალიშვილთან, რომელიც დაუფიქრებლად გადაეშვება არყოფნის მორევში, როგორც კი გულმისტორი ლეთას გადაცურავს.

მეტისმეტად მაღალ ნოტზე და ვინწყე ამ წერილის წერა, მაგრამ ვეცდები, დაგარწმუნოთ, რომ ამ ლექსის ავტორი მართლაც ჩინებული პოეტი და სალიტერატურო კრიტიკის უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს.

არ იფიქროთ, რომ საქმე უცნობ პოეტს ეხება. არა, მასზე წერდნენ ქართული მწერლობის ისეთი აღიარებული კორიფეები, როგორიც იყვნენ: ანა კალანდაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, აკაკი ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ დონაშვილი, დავით წერეთელი... ნოდარ ნულებიკი... წერდნენ, რომ მისი პოეზია ქართული პოეზიის მიღწევათა რიგს განეკუთვნება: რომ მისი შემოქმედების მთავარი ღირსება მინც ის არის, რომ პოეტს საკუთარ სამყაროში, ემოციურად მდიდარ, აზრობრივად საინტერესო პოეტურ სამყაროში შეეყვანათ, რომელიც შემოქმედებით და ცხოვრებითვე გამოცდილების შედეგია, რომ მისი პოეტური კრებულები მისივე სტილისტიკის ინდივიდუალობისა და თავისთავადობის დასტურია...

საქსელით მოგვიპოვა



და მინც უკმარობის გრძნობა არ მტოვებს, რადგან პოეტის შემოქმედება გამოწვევით „განჩხრეკას“ საქიროებს.

ეს პოეტი ნუგზარ კობერიძე გახლავთ, რომელიც თითქმის ექვსი ათწლეული წელია, რაც ცდილობს თავდაც დაგვარწმუნოს იმ ჭეშმარიტებაში, რომ ლექსი მშვენიერების, სიკეთის უკვდავების, სათნოების დამკვიდრებას უნდა ემსახურებოდეს, რომ ლექსი უკვდავი სულის ღვთაებრივი გამოვლინებაა.

ნუგზარ კობერიძე ის პოეტი, რომელსაც ბედისწერასთან არაერთი ომი გადაუტანია და ახლა, ამ ომებით გადაღლილი, თავშესაფარს ეძებს, ეძებს კი არა, უკვე შეგულებულიც აქვს – ჭიანჭველების სამეფოში სურს დამკვიდრება, ამ სამართლიანი და მშრომელი მწერების საუფლოში... ალბათ იმიტომ, რომ იქ, სადაც უნევეს ცხოვრება, ფარისეველთა და მედროვეთა კასტა გამეფებულია, რომელთაც არც სამშობლო, არც ხალხი და არც მისი სატკივარი ჩირადაც არ უღიროს...

სიტყვები, სიტყვები, სიტყვები შესევინა ცოფიანი ძაღლებისგან და მოსვენებას არ აძლევენ, იმასაც კი ჰპირდებიან, სამარეშიც არ მოგასვენებთო, ისიც ებრძვის სიტყვებს, წერს, წერს და ეფერება ყველას და ყველაფერს, იმ ხესაც კი, რომლიდანაც მისი განსასვენებელი უნდა შეიკრას.

ნეტა მაჩვენე ახლა ის ხე – ჩემს კუბოდ რომ უნდა შეიკრას, წყალი დაეუხსნა და გარშემო შემოვუბარო.

გასალანძლად მტკვრიც კი ენანება და მას შარაგზის პეპლებად მოიხსენიებს... აზია მისთვის შემოილი დედაა, ევროპა კი – ტურფა დედინაცვალი...

ჭეშმარიტი ქრისტიანია, წერს ქრისტეზე ისე, რომ მას არც კი ახსენებს, თითქოს იმ მოლაღურისა შურს, გეთსიმანიის ბაღისკენ რომ მიფრინავს და შეუძლია იმ მისტერიის მოწმე გახდეს, კაცობრიობის ისტორია რომ შეცვალა ძირფესვიანად...

მარადიული მარტოობით შელონებულს ისიც კი შეუძლია ინამოს, რომ წვიმებმა გამოიგონეს.

ისე მარტო ვარ, თითქოს არ ვიყო, თითქოს წვიმებმა გამოიგონეს და მეშინია, არ გადაიღოს.

საოცარი თვალი აქვს და იმის დანახვა შეუძლია, თუ როგორ ლოცულობს ანწლი მიძინებულ ფრესკებთან, როგორ მიფრინავს მტრედი მაცნედ მენამული ცის ლაფვარდებისკენ.

დედის ლანდი მისი მარადიული თანამგზავრია, ტკივილიანი თანამგზავრი. ამ ტკივილითაა სავსე მათი ძველი უძვირფასესი სახლი – ბუხარში ცეცხლი კი არა, დედის ხელისგულივით გამოთბარი დარდი ანთია, ლამაზი რომ ლამაზაა, ისიც კი ოხრავს ბუხრის თავზე და ოთახს იხსფერი სევდით ავსებს. საერთოდ, რა სა-

ოცარი ანდამატი იზიდავს მშობლიური სოფელი ფარცხნალი, კორდებგადავარცხნული სამოთხე, მთვარე რომ უზის ინახავს:

რაც ქვეყანაზე ვარსკვლავია, ჩემი სოფლის ცაზე ჰკივია, აქ თავს ვერაფრით ვერ ირჩენს კაცი, აქედან წასულთ ვარსკვლავების საგზალი მიაქვთ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ვარსკვლავური საგზალი ნუგზარ კობერიძემაც გამოიყოლა მშობლიური სოფლიდან, დიახაც, რომ სწორედ ამ ვარსკვლავების მირონი და ბრწყინვალეობა განუზომებელ ელოფერს აძლევს მის ლექსს, სიყვარულით და სიკეთის ქმნის დაუოკებელი ჟინით ავსებს მის სულს:

ყვონსაც ჩემი სოფლის ქონდარს, ვერცხლი მიჩხრიალებს თმაში, როცა არაფერი მქონდა, ყველაფერი მქონდა მაშინ.

ეფერება თავის ბავშვობას, თუნდაც იმ ბებერ კაკლის ხეს, რომლის ტოტებზე ხშირად უნევედ ღამისთევა ამ ცელქსა და ონავარ ბიჭუნას. როცა ძალიან, ძალიან გაუჭირდება ხოლმე, მაშინვე იმ კაკლის ხისკენ მიიჩქარის და მიოტვის იმ ხისკენ, რომელიც... დიდი ხნის წინ მოჭრეს.

სწორედ მისი ბავშვობისდროინდელი მოგონებითაა შთაგონებული თუნდაც ის ლალი და სიყვარულით გამოთბარი სტრიქონები, წუთით რომ გაიწყვება ამოვებას ამოთა და სოფლურ იდილიაში ამოგაყოფინებს თავს:

დედ გატრუნულა, დედე ჩურჩულებს, მზეს ბუმბულივით სცივია ალმასი, ავეიცტოს ხვატით გამოშაშრულ სოფლის შარაზე მიფრატუნობს პატის ჭუჭული.

მაგრამ იმავე სოფელში დიდი ტრაგედიებიც ტრიალებს. პოეტი კალმის ერთი მოსმით შემორკალავს მსგავსი უბედურების სამანს და სულ რამდენიმე სტრიქონში ატეხს სათქმელს:

ემოდენი ობლები, მენ კიდენა გალოთი... სევდიანი სოფლები – სერზე სასაფლაოთი.

კითხულობ ამ წყევლა-კრულვინა ლექსს და მისივე გახსენდება ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმირო“. იგივე სიმძინი, იგივე ტრაგიზმი, იგივე დრამატიზმი... ოღონდ მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობით და თავისთავადობით დაღდასმული კვიცილი განწირული სულისა. სასაფლაოს თემა კიდევ რამდენჯერმე შემოიჭრება ნუგზარ კობერიძის შემოქმედებაში, სიკვდილსიციცხლის ნაირსახეობის თემა. იქ, სასაფლაოზე, კვიპაროსთან თეთრი კვართი გამოკრთება და ალავერდს იასამანთან გადადის:

საფლავიდან საფლავზე გადაქვს სამანი, ბრმა და მიუსაფარი, თეთრი იასამანი.

დადის და ცხოვრებაზე აღრენილ წუთისოფლის მგზავრებს ბაგზე მომწყდარ ყვავილებს ატანს...

ნუგზარ კობერიძე – სიყვარულით და სიკეთის აპოლოგეტი – ღმერთსაა მინდობილი და ევედრება:

სიკვდილს ნუ მომანდომებ, მე შენ სიმწრით გეძიე, ღმერთო, ნუ მიმატოვებ, ღმერთო, შენ შექმენი!

პოეტმა იცის, რომ თუ რამ აფრთხობს სიკვდილს, ეს გარეყრაჟისას მამლის ყვილია, ზეცისკენ თავანული მამლის ყვილი, ღვთისმშობლის

წილხდომილი ქვეყნის გადარჩენას რომ შესთხოვს არსთაგამრიგეს, იმ ქვეყნისა, გამარგულ მსოფლიო რუკას ქრისტეს ცრემლივით რომ დაეპყრება. ის კი არადა, მზე რომ მზეა, საქართველოს ცაზე რომ მოგორავს, ისიც უფლის ცრემლად იღვენთება, რადგან ისე ვერებით და ისე ვილევით, როგორც დევების ნანადირევი. ნატვრის ხე გავგვობობია, კომბლეს მისი კომბლემი აღარ სჭირდება, რადგანაც მისი ნასათუთევი ცხვრები დარევიან და ცოცხლად სჭამენ ერთმანეთს, ნიქარასთვის რქები დაუძვრიათ, ცისკარას კი, რა ხანია, სალათას ძილთ სძინავს. პოეტის საკუთარ დანაშაულსაც მიაჩნია, რომ ვერ შეძლო, ხელი შეეშალა ქვეყნის გაპარტახებაში, ამდენი ნასოფლარისა და ნაქალაქარის გაჩენაში ხელგანაფული ნაძირებისთვის. უცხო სოფელში მოხვედრილი მიტოვებული კარ-მიდამოს ნამოსახლარზე წაწყვდება გულისმომკვლელ სურათს – გაუდაბურებულ, ჯაგებად ქცეულ ეზოში რა თავგადაკულად ჰყავის ატამი და მაცხოვარს სამართალს შეთხოვს. გაქცევა მოგინდება, მაგრამ სად გაქცევი საკუთარ თავს, საკუთარ სინდისს. მძაფრი მოქალაქეობრივი პათოსითაა დამუხტული ლექსი, რომელიც იმ გონებადამინდულ ქართველებს ამხელს, რომლებმაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ საქართველო კიდევ ერთხელ აცვეს ჯვარს.

რა გასაკვირია, თუ ასეთ ჟამს, წვიმა რომ წვიმაა, ისიც ცრემლებად ეღვრება დიდი დავითის ერთ დროს თვებშიწვენიერს და ყველაფერს ასველებს – თვლებს, სულს, წარსულსა თუ აწმყოს, ყველაფერს ნისლის ფერი დასდებია ნისლის სასახლეში, რომლის კარი მთვარით გადაურაზავთ სამუდამოდ.

თორ-აზვრიანი საუკუნეები გულგანგინილი პოეტი ცაში აიხედავს და საოცარ სურათს მოჰკრავს თვალს – როგორ მისდევს ლაფვარდებში ხარებს მებრე – ეს ჩვენი დიდი წინაპარი და სახრეს გვიღერებს, თან ვაუკაცობას, სამშობლოსათვის თავდადებას გვიწუნებს და თან ცოდვების მონანიებისკენ, გამოფხიზლებისკენ მოგვიბონდებს, რათა მომხდურმა ჩვენი უფერგლობით არ ისარგებლოს და ჩვენს მარჩენალ ნიქარებს რქები არ გადაუშტვიროს, ყელი არ გამოლადროს.

პოეტი კი გაუქმებულ ხიდზე წერს და მასზე გადავლის ჟინი მოსვენებას არ აძლევს. თავდაც იმ ხიდად ქცეულა, თამარის ხიდად და მტკიცედ სწამს, რომ ამ ხიდის იავარქმნა და განადგურება მეტისმეტად უმადური საქმეა, რადგანაც ამ ხიდში საქართველოს უკვდავი სულია დაუწვებული.

თავად კი ის შეუძლია უთხრას მშობელ მინას, რომ ისე უახლოვდება, როგორც მსუყე ბელტს პურის მარცვალი, რათა მერე ისევე ამოიწვეროს და განაგრძოს სიციცხლე...

ასე მართლად, ასე ალაღად, გინა თავგანწირულად მხოლოდ იმას შეუძლია მშობელ მინასთან შერწყმა, ვისაც სიყვარულის ნიჭი აქვს, ვინც ამ მართლაცდა დიად გრძნობას საკუთარი სხეულით ატარებს. ნუგზარ კობერიძე რომ სიყვარულის ტრუბადურია, ამის დამტკიცება წერილის დასაწყისშივე ვცადე. მისი პოეზიის ლირიკული გმირი, უპირველესად, წიხრედ რუსთაველი მიჯნურობის ნიჭით გამოირჩევა. მართლაც გინდა დაიჯერო, რომ მისი ნანდაური ულა-მაზესი ზღაპრიდან გამოგომანდა და მშვენიერებით, სიყვარულით აუვსო სული. ყველაფერი უყვარს გულისს-ნორისა, მის თლილ თითებში გამოპარული ნისლიც კი და, საერთოდაც, როცა უყვარს, მაშინ ყველაფერი უყვარს, ყველაფერს შესტვრის. მინიატურების დიდოსტატია. შარადებს ქმნის, რომელთა ამოხსნა არც ისე ძნელია.

ამ სტრიქონებში ეტევა გატაცებაც, თავდაფიცებაც და ის გრივალეებიც, რომლის გარეშეც ჭეშმარიტი სიყვარულის წარმოდგენა შეუძლებელია. ამ დროს პოეტს ბუნვის ხიდზე უნევეს სიარული, რათა არ გაცდეს იმ ზღვარს, რასაც სიყვარული ჰქვია და არა სიძვა თუ მრუმობა. ნუგზარ კობერიძე კი ამას ახერხებს. შთაბეჭდილება გეჩრება, რომ თავდაც სიყვარულის ხნის არის და მზადაა, მარგალიტის მაძიებელივით ჩაიძიროს სიყვარულში, პურის ყანაში მზის სხივები დაუკრიფოს სატვრის, ვენებით ააფოფინოს საკუთარი მარტოობა. იმის იმედად ცოცხლობს, რომ თუნდაც წელიწადში ერთხელ მისი დაწყვეტილი ქობის კარი ანგელოზმა შეაღოს და იქაურობა სამოთხედ აქციოს.

სიყვარულით გათანგულს შეუძლია დიდხანს, ძალიან დიდხანს უცქიროს ძელსკამზე მთელმარე მოხუც ცოლ-ქმარს, ძილბურანში კრიალო-სანივით რომ ითვლიან ერთმანეთის სუნთქვას...

მისთვის, სიყვარულისთვის, ბედნიერებისთვის მოვლენილი არსებისთვის, ყველაზე საშინელი უგაზაფხულო ყვავილები და უყვავილო გაზაფხულებია. შეუძლია, ღირსეულად დაემშვიდობოს სიყვარულს.

ნუგზარ კობერიძის პოეზიაზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, თუ როგორია მისი ლექსის ფონიკა, მეტრიკა, რიტმიკა, პროსოდიკა თუ სტროფიკა.

ყოველივე ამის განჩხრეკა ნაფიც კრიტიკოსებს მივანდით, მე კი მხოლოდ იმას მოგახსენებ, რომ ნუგზარი დიდებული პოეტი რომ არ იყოს, ნამდვილად დამწყდებოდა გული, რომ მან კალამი არჩია ყალბას. ნამდვილი მხატვრის თვალი აქვს და იმიტომ.

ისე მოგვიხიბრობს ზამთარზე, რომ მართლაც შეგეცოდება ეს წელში ოთხად მოხრილი ჩაჩაჩული წინდებით მოფრატუნე ბინდების ჯადოქარი. ხანჯლებზე მოცეკვავე მზე იზიდავს. მზე მისთვის ხან კოჭლი ავაზაა და ხანაც გველის გორგალი. ჰოდა, როცა მისი უდიდებულესობა – მნათობი გადაიშორეთებს, გამოჩნდება გზაზე უპატრონო მკვდარივით მიგდებული ქალაქი. იმის დანახვაც შეუძლია, თუ როგორ დააგორებენ კატები სახურავზე ალმა-დალმა მთვარეს, რომელიც ხან შროშანების კარაველაა, ხანაც ცისფერ იასამნებად ჩამოღვრილი საოცრება, ძალზე რომ უხდება ღამეულ ზღვას. თეთრი ასკილი ჯვრისწერიდან გამოქცეული პატარძალს აგონებს, ჭიამაია – სისხლის წვეთს. ნისქვილები თითქოს ბედისწერას ეტყვენ, წლები კი სწორედ ამ ბედისწერის მტრედებად ქცეულან.

ნუგზარ კობერიძე თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო და კოლორიტული წარმომადგენელია. მის უმთავრეს ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ პოეტის შემოქმედებითი ღწნა და რუდუნება მისი ცხოვრებისეული გზის ორგანული გაგრძელება და ნაყოფია. მას არასოდეს უცხოვრია მშობელი ქვეყნის ინტერესების გარეშე და მუდამ იმედით და ოპტიმიზმით შეიძლება ითქვას, ბავშვური ოპტიმიზმით გამოირჩეოდა. მართალია, ერთმა ჩემმა დიდი ხნის მეგობარმა თქვა, იმედი მღვიძართა სიზმარიაო, მაგრამ ხომ შეიძლება, ერთხელ მინც ახდეს ეს სიზმარი, სიზმარი საქართველოს აღდგინებისა...

ნუგზარ კობერიძისთვის მკვდარდ-შობილი ლექსი პეპელას ნააგავს. ნიგნის ფურცელზე ნემსით მიკრულ პეპელას. ამიტომაც ებრძვის სიტყვას, ებრძვის და მეტწილად გამარჯვებული გამოდის.

მეც ისლა დამჩრენია, წარმატებები გუსურვო ამ მშვენიერ პოეტს, რომელიც თავისი ღირსებებით იმ მდინარეს ემსგავსება, რომელიც რაც უფრო ღრმაა, ნაკლებს ხმაურობს.

გოლგუვიუი - ქართულთა სარკე

გონა კაპანაძის სპექტაკლ „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით

სპექტაკლის პირველივე ნუთიდან სცენაზე უხვად დაფენილი თივის ხედვებზედ მქისე სუნი „უხეშად“ შემოდის მაყურებლის შეგრძნებაში და ეს ისე, თითქოს ის მძიმე შოლტის ფუნქციას ასრულებდეს, რითაც რეჟისორი მაყურებელს შეახსენებს, რომ ის ბრეჰტის თეატრშია. და, მაშასადამე, ის არ უნდა იქცეს პასიურ მონუმდ, არ უნდა უნანავედდეს სცენაზე წარმოდგენილ მოვლენას, ამბავსა, თუ სურათს.

ამიტომაცაა პირველი შთაბეჭდილება ისეთი, რომ ის თითქოს იმ ბაგამი მოხვდა, სადაც იესო ქრისტეს დაბადების მისტერია უნდა აღსრულებულიყო, თუმცა ამას პირველივე ნამებებიდან მყის განიშორებს და სწორედ ეს „უხეშობა“ – თივის მქისე სუნი მიახვედრებს, რომ აქ ადამიანის სულიერი დაცემის ავისმომასწავებელი, საზარელი ამბავი გათამაშდება.

და ამაში არც არაფერია გასაკვირი ან მოულოდნელი. დღეს ჩვენ რეჟისორ გონა კაპანაძის იმ სპექტაკლ „ჯაყოს ხიზნებს“ ვესწრებით მარჯანიშვილის თეატრში, რომელიც უკვე თითქმის სამი წელია ანშლავით მიმდინარეობს.

შაკლინ სირაძე

სპექტაკლის დაწყებამდე მაყურებლის მზერას იპყრობს სცენის მარჯვენა მხარეს, მის სიღრმეში განთავსებული, ფეხზე მდგომი მიხილ ჯავახიშვილის უზარმაზარი პორტრეტი და რატომღაც (მაყურებლის გასაკვირად), მუდამ ევროპულ სამოსში გამოწყობილი მწერალი აქ, ამჟამად, ქართული ჩოხით გვევლინება. მისი გასაღები ნ. ბერდიაევის, თ. დოსტოევსკისა და ჭ. ამირეჯიბის მოსაზრებებში შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომელთა თანახმად, სოციალიზმის არსი და შინაარსი ქრისტესა და ანტიქრისტეს შერკინებაში მდგომარეობს. ალბათ, ამ აზრით ჩანერს მიხილ ჯავახიშვილი უბის ნიგნაკში:

„სატანას მხოლოდ ქრისტე მოურევს. მარქსის შხამს მხოლოდ სახარება გაჰკურნავს. ყოველივე დანარჩენი უქმი ლაყობაა და მეტი არაფერი“.

ეს ბრძოლა ანტიქრისტეს დროებითი გამარჯვებით მთავრდება სოციალიზმის დროს, რომელსაც მინორი სამყაროში მოაქვს იმ სამი ცდუნების დაფუძნება, რაზედაც ოდესღაც უდაბნოში იესო ქრისტემ უარი განაცხადა.

სპექტაკლში მოთხრობილი ამბავი ქართულია, ასახავს საქართველოში იმ უტყუარ ისტორიას, რომელიც რომან „ჯაყოს ხიზნებში“ აისახა, და რამაც განაპირობა 1937 წელს მიხილ ჯავახიშვილის დახვრეტა.

გონა კაპანაძე ორ სურათ-მოვლენას წარმოგვიდგენს. მარცხენა მხარეს – საფრთხობელა დგას (რომელიც რომანში, თეიმურაზის აზრით) სპექტაკლში კი მარგოს აზრით, საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას გამოსახავს და როგორც თავად ნანარქოებში გვხვდება, აქაც სპექტაკლში: „დაბალ ბოძზე ჯვარივით გაკრულა სიათას თოფი. ამ ბოძზე და თოფის ხარისხზე, ჩამოუცვამთ რკინის აბჯარ-ჯავშანი – თვალმრგვალი ჯაჭვი, სამკლარეები, შუბი და საბარკულეები დასკლინტულ რკინის მუზარადზე, რომელსაც უშუქველესი ნარწერა ჰქონდა – „ალლაჰ ილ-ალლაჰ“, ზემოდან კი კაჭკაჭი სჩხავის“.

მაგრამ რეჟისორი თავისი მოსაზრების – ბოლშევიზმი – ქართული სარკის გამოსაკვეთად, ის ამ საფრთხობელის ძირში განათავსებს საქართველოს ისტორიის საგულისხმო ნიგნს: „ქართლის ცხოვრება“ და ამ ყველაფერს, როგორც უკვე აღვნიშნე, დაჰყურებს, თუ დასწავის კაჭკაჭი.

სცენის სიღრმეში, შუაში კი მაყურებელი აღმოაჩენს საკმაოდ დიდი ზომის ლეთისმშობლის ხატს,

რომელიც სპექტაკლის დაწყებისთანავე, მყისიერად იცვლება ნითელი ქსოვილით გადაფარებული საწოლით, რომელიც მაყურებლის წინაშე დემონსტრაციულად, ნელ-ნელა იხსნება და ჩვენ წინაშე რატომღაც ორი მარგო. აქ იკითხება თეიმურაზის სიტყვები:

„ჩემო ერთაჲ! ჩემო ნამებულ მარგო! ჩემო ჯვარცმულ ანგელოზო!“ ერთგან ის მას მარგალიტსაც კი უწოდებს. სპექტაკლის მსვლელობისას კი ნელ-ნელა იკვეთება ორი მარგოს სახის საიდუმლო: ერთი გონებას განასახიერებს (თინათინ კობალაძე), მეორე კი ინსტინქტს (ლელა მახინაშვილი).

რეჟისორი თვალსაჩინოდ აპელირებს ბოლშევიზმის არსზე – ის ხომ ქართული ეთნოსის სარკე შეიქმნა. ამის ნიშნად ჯაყო (რამაზ ხომასურიძე) ცხადდება ქართული, შავი ფერის ფაფახით. უაღრესად მომხიბლავი და დამაფრებელია მსახიობის პლასტიკა. ჯაყოს სცენაზე გამოჩენა ქართული საცეკვაო მუსიკის ზარზეიმური ყიყინითა და რიტმითაა დაუმტყული. თითქოს ის – მუსიკა, ადამიანის ბუნებაში არსებულ რალაც ვეღურ, რალაც მხეცურ ბუნებას ვეაძვნობს – „ქართულ ენაზე“. მაყურებელში ეს საცეკვაო რიტმი თავისი ომბიანი „შეძახილით“, ზარზეიმურობით – ზედმეტად თავმომშონე ბაქი-ბუქობით, შემპარავი ირონიულობით თითქოსდა მუსიკის ენაზე, თარგმნის ჯაყოს ასე ხშირად მოხმობილ ფრაზას: – „მამ, მამა! აგრე ვიცის ჯაყომა!“

მის შემოსვლას მოსდევს მისი ნათესავების შემოსვლა, ეს მისი ძმები და ბიძები: ქემელა, გიბა, ტელა, მეშა და ბრინკა.

ეს დასამახსოვრებელი სცენაა, ყველას, ჯაყოს მსგავსად, შავი ფაფახი ახურავს თავზე და ყველა ერთმანეთს ჰგავს. სახეზე კი მათ აფარებული აქვთ რალაც ნაცრისფერი ქსოვილი და ამ სცენაში ეს უსახო მასსა თავისი თავზარდამცემი თავმომშონეობითა და თავდაჯერებულობით თითქოს ბრეიგელის ერთ-ერთი სურათიდან გადმოსულ ბრბოს სახეებს აცოცხლებენ.

სპექტაკლში გამოკვეთილია მარგოსა და თეიმურაზის საუბარი.

ის მარგო, ვინც გონებას განასახიერებს (თინათინ კობალაძე) საფრთხობელიდან, ანუ იმდროინდელი საქართველოს ბედის განმასახიერებელი სიმბოლოდან ნელ-ნელა, სასოებით იღებს თითოეულ საგანს: ეს ხან თოფია, ხან უძველესი ხანჯალია, ხან კი „ქართლის ცხოვრება“. რეჟისორის უაღრესად საინტერესო ჩანაფიქრით, მარგომ (გონებაში) კარგად უწყის საქართველოს ისტორიის მნიშვნელობა, მისი დანიშნულება და, ასევე, გრძნობს იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც ის იმყოფება. მაგრამ

გონა კაპანაძის ნოვატორობა იმაში გამოიხატება, რომ როცა მარგო (გონების სიმბოლო) მონივნებითა და სიყვარულით იღებს „ქართლის ცხოვრებას“, ის მსახიობი (თინათინ კობალაძე) თითქოს მიხილ ჯავახიშვილის ადგილს იკავებს. რადგან ის ავტორ-მთხრობელი ხდება, რითაც ისევე ხაზი გაესმება ბრეჰტის თეატრისთვის ყველაზე არსებით მხარეს – მსახიობი გაუცხოებული უნდა შეიქნეს თავისი პერსონაჟისგან. და ისე გამოდის, რომ მარგო (გონება) – ეს იგივე მიხილ ჯავახიშვილია. ეს ბრწყინვალე მიგნებაა, რითაც როლანდ ბარტის განაცხადი: – „ავტორი მოკვდა“ იცვლება ახალი განაცხადით: „მსახიობი მოკვდა პერსონაჟის გამომსახველი მსახიობი“. და ჩვენ შევყურებთ მარგოს (გონება), რომელსაც დამკვირვებლის სახით, თავად ავტორი – მიხილ ჯავახიშვილი ჰყავს. ისევე ვავიმოვრებ, ეს მსახიობის გაუცხოების შესანიშნავი ნიმუშია...

რეჟისორის ძალიან საინტერესო ჩანაფიქრის თანახმად, ჯაყოს მიერ ტყეში მარგოზე ძალადობა და შემდეგი მრუშობისა, თუ მეძაგობის სცენები წარმოდგენილია როგორც ბოლშევიზმის სახე და ნიშნად იმისა, რომ ის სულზე და მის მთავარ მახასიათებელზე მესიერებაზე არც არავითარ კვალს არ ტოვებს. სპექტაკლში ის შეუმჩნეველია, შეუმჩნეველია როგორც არასებური რამ, ამის ნიშნად რეჟისორი იღებს თეთრ ზენარს – (დაუნერელ დაფას – Tabula rasa-ს), რომელზედაც მოძრავი, გამობურცული უსტებიტით მაყურებელი ხვდება, რომ მის მიღმა მიმდინარეობს ჯაყოსა და მარგოს ურთიერთობა. მაყურებლისთვის კი ეს სცენა აღიქმება, როგორც უსახო ფიგურების მოძრაობა, რომელიც მყისიერად ქრება, როგორც არარსებული ზმანება.

ანდრე მორუა ერთგან წერს, რომ „თავდაპირველად სიყვარული ისეთვე ინსტინქტი იყო, როგორც შიმშილი, ან წყურვილი, რათა ეს ინსტინქტი ვეზუად, შემდეგ კი გრძნობად გადაქცეულიყო, საჭირო იყო, რომ სურვილს, რასაც ცხოველში წმინდა სექსუალური ხასიათი აქვს, ინდივიდუალური ხასიათი მიეღო“.

ჯაყოსთვის სიყვარული ისევე და ისევე, მხოლოდ და მხოლოდ ინსტინქტია, რადგან ის მხოლოდ სხეულის ენას „ცნობს“ და „ფლობს“.

ამიტომაც მის მიერ ხშირად მოხმობილ ფრაზაში: – „მამ, მამა! აგრე ვიცის ჯაყომა!“

ეს ვიცის – მხოლოდ პრაქტიკული გონების დამცრობილი სახეა; ეს ვიცი – მხოლოდ „სხეულის ენის“ უპირატესობის გამოვლენებაა.

ახლა მინდა ყურადღება გავამახვილო სპექტაკლში ხაზგასმულ ბრეჰტის თეატრის მთავარ მახასიათებელზე. ამისთვის გონა კაპანაძე ახალ გასაღებს გვთავაზობს ორი მარგოს შემთხვევაში. თუ სპექტაკლის დასაწყისში თეიმურაზს მარგოს (გონება) სახით ჰყავს ერთგული და დამჯერი მეუღლე, რომელიც წარმოდგენილია მსახიობ თინათინ კობალაძის სახით, მშვენიერი, ფერ-ხორციანი აღნაგობით და როცა ჯაყო მოუშვადებელი მაყურებლის დასაბნევადა და გამოსაფხიზლებლად ხშირად იმეორებს თავის ცნობილ „ტირადას“ – „კარგი ვაჟკაცის ხელში დედაკაცი გასუქდება“, იმის აღსანიშნად, რომ მარგო (თინათინ კობალაძე) გახდა, დაილია, არადა მაყურებელი სცენაზე ხედავს პირიქით, ვარდით გაფურჩქნილ, მშვენიერ მანდილოსანს, ხოლო, როცა პირიქით,

ჯაყოს გვერდით მარგო (ინსტინქტი – ლელა მახინაშვილი) აღმოჩნდება, რომელიც პირველ მარგოზე ბევრად გამბდარია და ასევე საოცრად მომხიბლავი, მომზადებული მაყურებელი რეჟისორის მესიჯს კითხულობს, რომ მან მსახიობის გარდაქმნის შესაძლებლობაზე არა-თუ უარი განაცხადა, არამედ ხაზ-გასმით, კატეგორიულად გაემიჯნა გარდასახვის ჩვეულ, ტრადიციულ ხერხს...

სპექტაკლში ჯაყოს არსებობა არ განიხილება, როგორც ერთი პატარა ადამიანის – ჯაყოს, ბოროტი ძალის არსებობა, რომელიც უპირისპირდება და ანადგურებს არა თავად თეიმურაზ ხევისთავს, არამედ საზოგადოდ ქართველობის სულიერებას და მის ნიშანსვეტს – რწმენას.

რომანის მსგავსად, სპექტაკლში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ირყევა თეიმურაზი რწმენასა და ურწმუნობებს შორის, როგორ სასოებით კითხულობს სახარებას, შემდეგ კი მასში ისევე და ისევე ისადგურებს ის თავზარდამცემი არსებობა, რომელიც არარაშია ჩამოვებული. ის ინიშლისტური დამოკიდებულება, რომელიც არა მარტო მის რწმენას არ ირყევს, არამედ მუდმივ ჩასჩინებს, რომ მთელი ქართველი ერი წარმართია, რომ არ არსებობს ისეთი რამ, როგორცაა ქართული სული, რომ არ არსებობს ქართული კულტურა, რომ არ არსებობს ქართველობა, როგორც ფსიქიკური და ეროვნული ერთეული და არა მარტო ეს ყველაფერი, არამედ არ არსებობს თვით კაცობრიობაც კი. ამის ნიშნად ყველა სცენაში მოჩანს გაცეცხისა და გაკვირვების ზღვარზე მდგომი, გაუბედავი თეიმურაზი, რომელსაც ხელში მუდამ წინგ უჭირავს. ამ ყველაფერს კი მას ჩასჩურჩულებს ის ლეკვის მძორი, რომელიც ყარს და მის კისერზე ჩამოკიდებული.

უკვე ბევრმა კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ ძალი დემონურ ძალას განასახიერებს, თუნდაც გოეთეს „ფაუსტიდან“ მეფისტოფელს... მაგრამ ბოლშევიზმმა თეიმურაზ ხევისთავში დაშრიტა ეს დემონური ძალა და ამიტომაც, ვერ იქცევა ის მასთან იმ გზებზე, რომელიც მას სამოქმედოდ აღძრავს. მას წართმეული აქვს მთავარი ნიჭთაგანი, რაც აღმერთის უბოძა – თავისუფალი არჩევანის უფლება და ნება.

არაერთი საინტერესო დადგმის შემდეგ (ამ მხრივ უდავოდ გამორჩეულია თემურ ჩხეიძის გახმაურებული სპექტაკლი „ჯაყოს ხიზნები“), გონა კაპანაძე ამავე სახელწოდების სპექტაკლში ისე ახერხებს გაგვაოცოს და დაგვაინტერესოს ახალი თეატრალური ფორმის მოძიებითა და რომანის ისევე ახალი და ღრმა ნაკითხვით, რაც პიტერ ბრუკის თეატრალური პროგრამის აქსიომატური მოთხოვნის ერთგვარი აღსრულებაა.

რეჟისორი ახერხებს, ისე გაიაზროს ასე კარგად ნაცნობი პიესა, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ ჩავახედოს მიხილ ჯავახიშვილის იმ რთულ ნააზრევში, რომელშიც ადამიანის ანგელოზური და მხეცური საწყისები ერთმანეთს ერკიდება, რაც ასახავს ასევე ერის მთლიანობის რღვევას რწმენის დამცრობის ნიადაგზე და თითქოს ჩაგვსმის თეიმურაზ ხევისთავისგან წარმოქმნილი ქრისტეს სიტყვები: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა იყარეს ნილი“.

რეჟისორის ნააზრევი ზუსტია და ღრმა, ამას ადასტურებს სპექტაკლის პირველი სცენა, რომელშიც ჯაყო არ ფიგურირებს, ნიშნად იმისა, რომ „აქ“ მისი ადგილი არ არის და ის ასეა წარმოდგენილი:

1. (მარცხენა მხარეს) – საფრთხობელა – საქართველოს ბედი – თეიმურაზი;
2. (შუაში) – ლეთისმშობლის ხატი და ორი მარგო – ა) ინსტინქტი და ბ) გონება;
3. (მარჯვენა მხარეს) – მიხილ ჯავახიშვილის უზარმაზარი პორტრეტი ქართული ჩოხით და – პატეფონი (უსარგებლო საგნის სახე); ბოლო სცენაში კი ჯაყოს სწორედ ის მარგო (ინსტინქტი) კლავს, რომელიც მასში ჯაყომ გააღვიძა. ის ძალა, სიცოცხლის ის დაუოკებელი ვნება, სიცოცხლის ის ჟინი, რომელიც დაიბადა ჯაყოსთან ურთიერთობის დროს.

რას გვეუბნება ამით რეჟისორი? – ხომ არ ნიშნავს მარგოს მიერ ჯაყოს მოკვლა იმას, რასაც მეფისტოფელი წარმოთქვამს გოეთეს „ფაუსტში“?

– „ვარ იმ ძალის ნაწილი ერთი, დღემუდამ ბოროტს რომ იზრახავს და სწადის კეთილს“ (ი.ვ. გოეთე „ფაუსტი“, გვ. 66. მთარგმნ. დ. ნერედიანი).

მაყურებელი ხვდება, რომ მარგოს დაუფლებით ჯაყო ანადგურებს არა მარტო მის სილამაზეს, არამედ უპირველესად მის სულიერებას, ამცრობს მის რწმენას.

ჯაყოს მოკვლა ხომ არ ნიშნავს, რომ ბოროტება ბოროტებას, ბოროტება თავისთავს ანადგურებს? ან, იქნებ მარგო, რომელიც გაორდა, დანანავდა ამ მკვლელობით, თავისთავში ბოროტების ამოძიკვით თავის თავს ალადგენს?

აკი მიხილ ჯავახიშვილი ერთგან წერდა:

„საჭიროა სიმართლის აღდგენა, ანგელოზის მოძენა და პოვნა, ვინც (ერთმა და პოროვნებამ) თავისი გულიდან ანგელოზი განდევნა, ან დაჰკარგა, მან გათავისუფლებული ალაგიც ჩიყსა და ეშმაკს დაუთმო“.

სპექტაკლი თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას გვთავაზობს, რადგან მკვლელობის სცენას არ მოჰყვება ერთგვარი განვრცობილი განმარტება და ის გვტოვებს ღია სისტემის წინაშე.

მე კი თავისთავად, როგორც ერთი მაყურებელი, ვფიქრობ, რომ ჯაყოს მოკვლით თეიმურაზის მთავარი კითხვები ისევე აღსდგა, ისევე გაცოცხლდა:

- რა არის ქვეშაირიტება?
- რა არის სამართალი?
- რა არის ცხოვრება ესე?
- და როგორც მაშინ, როცა ეს კითხვები დასვა თეიმურაზმა, და აღმოაჩინა, რომ მკერდზე აღარ ჰქონდა აყურებული ძაღლის მძორი, და მას, მნიშვნობარს აღარც ლემის სუნი ასდიოდა.

სწორედ ასევე მარგოს მიერ ჯაყოს მოკვლით თეიმურაზი განწმინდა, და გათავისუფლდა ძაღლის ლემისგან.

და როცა გაცნობიერებული გაქვს, რომ ვიმყოფებით გონა კაპანაძის, ანუ ბრეჰტის თეატრში, რომლის თანახმადაც: **„თეატრი აქტიურად უნდა ჩაებას სინამდვილეში, რათა ამ სინამდვილის ამსახველი აქტიუალური სურათების შექმნის უფლება ჰქონდეს და საშუალებაც“** (ბ. ბრეჰტი, „პატარა ორგანონი“).

ჩვენ შეიძლება ამ აზრის მოყოლით მარგოს მიერ ჯაყოს მოკვლა ნავიკითხოთ, როგორც თანამედროვე საზოგადოების მიმართ წარმოქმნილი მკაცრი გაფრთხილება: თანამედროვე უსახოდ ქვეყულმა საზოგადოებამ, მასხად ქვეყულმა ქართველობამ, თავისთავში უნდა მოკლას ის უსახურება, ის უფიცობა, ის მხეცობა, რომელსაც ჯაყო განასახიერებს.

▶▶ ბაბრქელაძე, დასაწყისი "ლს, №3.4

ემზარ კვიციანი

საფლავის ნარჩენები

08.12.2009. საგანგებოდ არასოდეს მივდივარ, მაგრამ როცა კი რომელიმე სასაფლაოზე მოვხვდები, ჩვეულებრივ მაქვს, ნარჩენები, უფრო კი ლექსად განწყობილი ეპიტაფიები წავიკითხო. საკმაოდ დიდი ხნის წინათ (ორმოცი წელიწადი მინც იქნება მას მერე გასული), კუკიაზე, გასვენებაში მყოფ-მა (ველარ ვისხენებ, ვის მარხავდნენ), სულ განაპირას, მისადგომთან, ახალგაზრდა ქალის საფლავზე, ორსტრიქონიანი ეპიტაფია ამოვიკითხე, რუსი მარმარილოს ფილაზე იყო ამოკვეთილი:

საყვარელმა როცა მნახოს, გულზე ვარდი დამაყაროს.

მხატვრობის მხრივ ნაკლებად გამორჩეული, მაგრამ უშუალოდ მამიტიურად დანდობილი ეს ორი სტრიქონი ჩანერილი მაქვს და სახელდახელო შეფასებელიც. სადაც ამოდებული ძელი ფურცელი ძელი მისაგნებია, თუმცა ზეპირად დამახსოვდა. ქალი რომ ახალგაზრდა იყო, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებმა მიმახვედრა, იოლად გამოვთვალე. მერე ისიც ვიფიქრე – საცოდავი ადრე ძალზე მოდებული სენის, ჭლებიგან იქნებოდა გარდაცვლილი და ყვავილთა შორის, ყველაზე მეტად, ვარდი ეყვარებოდა. დაყურებდი მტვრით დაფარულ განსასვენებელს და ვწუხდი. თითქოს იმ გოგოს სუსტი კენსაც შემომესმა. რამდენი უღვთოდ დაღუპულის სულია საწუგებულები და მოსახსენიებელი, სახელის ანთების ღირსი. საფლავის ნარჩენათა უმრავლესობა მდარეა, მაგრამ ალაგ-ალაგ ნამდვილი მარგალიტი გამობრწყინდება.

ბაჩანა ბრეგვაძე დღემდე წუხს, რომ რამდენიმე მეგობართან ერთად, ვგონებ ფშვში, გატყუებულ ადგილას, ნახა განმარტოებული საფლავი და უბრალო ქვაზე ამოტვიფრული, გაუბედურებული დედის ოთხსტრიქონიანი ვაგა, ნატირალი, ვერა-გულად მოკლული ერთადერთი შვილისადმი აღვლენილი. მსგავსი სიძლიერისა და ისეთი შინაგანად შემძრავი ცოტა რამე თუ წამიკითხავს, უსაშველოდ ვნანობ, რომ მაშინვე არ გადავწერე და მეხსიერებას დავედღე, ძალიანაც რომ მოვიწოდო, ან იმ წარწერას ვეღარსად ვნახავ, ჩიოდა დაღვრემილი ბაჩანა. მეც ბევრჯერ დავწინააღმდეგებულვარ – ყველაფერს დაუზარელი მიდგომა ჭირდება და რასაც დააპირებ, სამომავლოდ არ უნდა გადადო, სანანებლად დაგრჩება.

თვალის გადავლახვისას

06.02.2010. ძველი თაობის დიდად ნიჭიერი და განათლებული რუსი ისტორიკოსი ვასილი კლიუჩევსკი ლერმონტოვზე დაწერილ მცირე შენიშვნაში, ერთ უგერგილო ანონიმურ სტატიაში რომ ეხება, აღნიშნავს: „... პოეზია ქრონოლოგიას არ სცნობს, იგი განსხვავებული ასაკის ადამიანებს აახლოებს. დრო კვალს ვერ აჩვენებს მას ისევე, როგორც უკვალოდ ჩაუვლის ხოლმე იგი ერმიტაჟის ანტიკურ ქანდაკებებს.“

რამდენი რამის დამტევი და მოქმედი ეს აზრი და რამდენ რამესთან შეიძლება მისი მოშველიება. ცხადია, სახელოვანი მეცნიერი რა პოეზიასაც გულისხმობს. ლაპარაკია მარადიულ ღირებულებებზე – იმისთანა დახვეწილი პიროვნება უღლეურ ნაცოდ-ვილარებზე სამჯელიოდ არ მოცდებოდა.

კლიუჩევსკის იმ დროს ძნელად განსაკურნავი ვერაგი დაავადება, ჭლები შეეყარა და ხშირად იმყოფებოდა აბასთუმანში. ლიტერატურას რომ გაჰყოლოდა, მისი გონების პატრონი, ბევრ კრიტიკოსსა და მკვლევარს აჯობებდა. ძალზე ანგარიშგასანევი დაკვირვებები აქვს გოგოლის პროზაზე. ნაჩვენებია შეუსაბამობანი მის გრანდიოზულ ჩანაფიქრებსა და განხორციელებას შორის, თუმცა კარგად უწყობდა გოგოლის, როგორც

ნიგნილა - „ჩქანთელის გზანი“

მხატვრის, მასშტაბები და ძალმოსილება. ახსნილია მწერლის გადაულახავი კრიზისის მიზეზები, რამდენჯერმე რომ გადანერა „მკვდარი სულების“ მეორე ტომი და ბოლოს დასწავა. ნათქვამი აქვს იმ დაუმსახურებელ ლანძღვაზედაც, ასე უხვად რომ აგემეს გენიალურ შემოქმედს. იმასაც ამბობს, რომ გოგოლი თავის პერსონაჟებს არ დასცინის.

შეგვიძლია გავისხენოთ ჩვენი დიდი დავით კლდიაშვილის აღმფთვებაც, როცა მას ერთ საიუბილეო საღამოზე გააგონეს, თითქოს იმერეთის აზნაურობას დასცინოდა. მეტად დასანანია, რომ ადრე, სამხედრო სამსახურის ადგილის ხშირი გამოცვლის გამო, ხელნაწერებით სავსე მისი ზანდუკი სამუდამოდ დაიკარგა. ვინ იცის, რა განძი იქნებოდა იმაში. რაღას აღადგენდა. ასევე საველლო და სამარცხვინოა, რომ ოცდაოთხი წლის სისხლიანი რეპრესიების ჟამს, როცა ბოლშევიკები თავად-აზნაურობას გასანადგურებლად დევნიდნენ, დავით კლდიაშვილი და მისი ვაჟი, ძალზე ნიჭიერი და თავისებური მწერალი სერგო კლდიაშვილი დახვრეტას ძლივს გადაურჩნენ.

ჰაერში

30.04.2010. ათი დღე იქნება გასული მას მერე. კულტურის სამინისტროდან მომავალი, საჯარო ბიბლიოთეკის წინ, გრძელ სკამზე ჩამოვჯექი დაბალ, მწვანედ შებუმბულ ხესთან. ადამიანების, გამვლელ-გამომვლელთა ყურება როცა მომბერდება, სხვა რამეებს ვაკვირდები. ბევრი უმაქისი თვისება მაქვს გამჯდარი ხასიათში. დიდი ლოდინი არ დამჭირებია – თვალწინ, ჰაერში ოდნავ აქანავებულ პანაი, მწვანე მატლას შევავლე მზერა. ნელა, მაგრამ ჯიუტად მიიწვავდა მალა-მალა. გამიკვირდა, რაზე ჰკიდია-მეთქი და უწვრილესი შავი ძაფი შევამჩნიე, წერტილისოდენა მოღებულ პირში რომ ედო და იმ ძაფს, ხის ტოტზე დამაგრებულს (მანამდე ალბათ მისი პირიდანვე გამოწვლილს, როდესაც ძირს ეშვებოდა), უკან მიჰყვებოდა. მზის სინათლე რომ არა, მამოძრავებელ ძაფს ვერც გავარჩევდი. ადამიანებს ჰგონიათ, მათ გარდა გონება არავის გააჩნია და როცა სამყაროს პანანა არსებებზე მსჯელობენ, ყველაფერი ინსტინქტადმდე დაჰყავთ. მე რასაც ვუმზერდი, აშკარად საზრიანი ქმედება იყო, გარკვეული მიზნისაკენ მიმართული, თუმცა ის მატლი თვალთ ძლივს ჩანდა. ობობა რომ ხლართავს ბუზის გასაბმელად, თავისივე მუცლიდან ამოხვეულ ქსელს, ეტყობა, ისეთივე ძაფად გადასაქცევი მასალა აქვს მოგროვილი ნამცეცეა მწვანე მატლას და იმაზე კონიალობს – კენწეროდან ჩამოსიერნა და მერე, მოშიებული, ზემოთ მიიწვავდა, რათა ახალგაშლილი ჩვილი ფოთოლი ეგემნა, მოეციქნა თავისი ერთადერთი საზრდო. ის მატლიც, ბოლოს, ეტყობა, რომელიმე მწვანეფრთიან მწერად იქცევა. მეექვსეა, ნამდვილი პეპელა გახდეს. მთლად მოსაწონი საქციელი არ არის, რომ იგი ნორჩ, ნებოვან ფოთოლს შეექცევა, თანდათან ღრუჭის, მაგრამ რა ქნას, ბუნებას ასე გაუჩენია. მანამდე, ცხადია, მთლად უხილავ კვერცხად იყო ჩამალული ხის ქერქის ნაოჭში და ათბობას, კვირტის გაშლას ელოდებოდა, თვითონაც რომ გამოჩვეილიყო, ხანმოკლე, მოხეტიალე არსებობა დაეწყო. ბუნებისმეტყველი არა ვარ და, ამდენად, მის მეტამორფოზას ბოლომდე ვერ გავადევნებ თავლას, ეს მეცნიერთა საქმეა.

საკეარისი იქნებოდა, ის ერთადერთი, მარჩენალ ხესთან დამაკავშირებელი ძაფი გამეწყვიტა და მის აღსასრულს დავაჩქარებდი. ასეთ რაღაცას ფიქრშიაც ვერ გავივლებდი, ცოცხალი თავით როგორ ვიკადრებდი ამგვარ უგვან საქციელს, მწერებისა და ჭიალუების შემბრალებ, ქომაგი? ნელ ტემს თუ არ მიაქცევდი ყურადღებას, ცირკის აკრობატივით იყენებდა საყლაპავში გარჩილ თავისებურ ბაგირს, ნელ-ნელა აპატარავებდა, მუცელში იბრუნებდა და სასურველ მიჯნამდეც

მანძილს იმოკლებდა. შემეცოდა, თუმცა არ ვიცოდი, რითი გამენია შემნობა. ხელი რომ მეხლო, უარესს დაემართებდი და სანანებლად დამრჩებოდა. ავდექი და წამოვივი. მივატოვე საკუთარ ძაფსა თუ პარამუტზე ჩამოპოწნალიებული პანანა, თავნამახული მატლი (სიმცირისდა მიუხედავად, თავისა და კუდის გარჩევა ხერხდებოდა) და ჩემს გზაზე წავჩანჩალდი, პალტოთი დამძიმებული, როგორმე შინ რომ მივლასლასებულიყავი. გარკვეული, სარგებლის მომტანი მიზანი თითქმის არასოდეს მქონია და რაღა იმ დღეს მექნებოდა. ვერც შევძლებ, რაიმე შეცვალო ჩემს აზრგამოცლილ ცხოვრებაში. ამ ბედოვლათობას წინასწარ ვარ შეგუებული.

ზურგის გამოხატველობა

05.05.2010. ჩემი უფროსი მეგობარი ნოდარ გურაბანიძე და მე ხშირად ვაძლევთ ერთმანეთს ნასაკითხად ჩვენი გამოსადეგნიგნებს. მისოდენა გაქანების და სიღრმის თეატრმცოდნე გვონებ თვით უმდიდრესი თეატრალური ტრადიციების მქონე რუსეთსაც ცოტა თუ ეყოლება. ეს ზერელედ ნათქვამი არაა, რეჟისორებზე დანერგილი საფუძვლიანი მონოგრაფიების გარდა, დაგვარწმუნებს თუნდაც რამდენიმე ნიგნად გამოსული „სამყარო თეატრალის თვალთ“. მათში უზარმაზარი ცოდნა და უდახვეწილესი გემოვნება ჩანს, უამრავ სიახლეს ვგებულობთ.

ცოტა ხნის წინ ვადმოძვა ვიქტორ ბერიოჰინის ნიგნი ძალზე თავისებურ ამერიკელ რეჟისორზე, რობერტ უილსონზე, სადაც ბევრი მოულოდნელი და უჩვეულო რამ წავიკითხე. უადრესად თამამი ექსპერიმენტების ხელყოფანი ყოფილა. მისი სპექტაკლები, არცთუ იშვიათად, თურმე ათი-თორმეტი საათი გრძელდება. ღმერთმა გამძლეობა მისცეს მათ მაყურებელს. როგორც წერენ, უილსონი საკვირველ პირობითობებს იყენებს. ერთ სპექტაკლს ჰქვია „სტალინი“, რომელშიც მინიშნებულია მსოფლიოს უდიდესი დიქტატორის დესპოტობაზე, მოქმედებები თითქოს ცალკე დგას.

აზროვნების არეალი მრავლისმომცველი, მეტად ფართოა. ეტყობა, ძლიერი, შთამბეჭდავი გამოვიდა უილსონის სპექტაკლი შუამდინარული ეპოსის „გილგამეშის“ მოტივებზე – ენქიდუს სიკვდილი. აგრეთვე, „ჰამლეტი“ და სხვები. დუნე კი იქნება საყურებლად, მაგრამ ვიზუალურად მიმზიდველი, მრავალფეროვანი. სიტყვას თითქმის არ იყენებს. მუნჯი ზანგი ბიჭი უდიდეს მსახიობად უქცევა.

უილსონს ჰყვარებია ისეთი სცენები, როცა პერსონაჟები მაყურებლისკენ ზურგშექცეულები სხედან. ამ მიდრეკილების გამო, ვიქტორ ბერიოჰინის ნიგნის ბოლოს, ერთ-ერთ შენიშვნაში მოტანილია მისი აზრი: „მე მიყვარს ზურგი. იგი იმდენადვე გამოხატველია, როგორც სახე და ისეთივე იდუმალი. ეცადეთ, რომ თქვენი ზურგი იყოს ძალზე გამართული, მთელი ენერგია შეიგრძენით თქვენსავე ზურგში, ისე მოიქციეთ, რომ თქვენი ზურგი უკიდურესად ცოცხალი იყოს.“

ეს მხოლოდ სპექტაკლებსა და მსახიობებზე როდი ითქმის. ზურგის ცხოველყოფილობასა და სიძლიერეზე, უპირველეს ყოვლისა, მისტიური ხილვის შედეგად დახატული, ფრანცისკო გოიას გამოაგებელი, ალეგორიული ხასიათის ტილო „კოლოსი“ (1811) მახსენდება. ფიქრობენ, რომ იგი ნაპოლეონისდროინდელი საფრანგეთ-ესპანეთის სასტიკი ომის გამოძახილია. ჩამუქებული, მთავორიანი პეიზაჟის განაპირას, ზურგშექცევით დგას შიშველი მამაკაცის გოლიათური ფიგურა (ბარძაყები თითქმის დაფარულია, ოდნავ უჩანს). მთელი მისი ზეადამიანური სიძლიერე ზურგში იგრძნობა. სხეულის ქვედა ნაწილი და ბეჭები ნისლსა და ღრუბელშია გახვეული. მარცხენა, შემარ-

თული დაკუნთული მკლავი, თითქოს რალაციის შესამუსურავადაა მომუჭული. შავი თმა ჯენჯად ადევს. წვერომშვეებულს, გვერდზე მოქცეული მარცხენა ლოყა და, ზღაპრული ციკლოპივით, მრისხანედ დახუჭული ცალი თვალი მოუჩანს. მის არსებაში ცხოველური ძალა და დაუნდობლობა იგრძნობა. ამ საშინელების უკან, მცირე დაბლობზე, პატარებად გამომზირალი დაფეთებული, თავგზააბნეული ხალხია. შუაში ჩარდახიანი ფურგონი გაჩხერილა. წინ წახრილი, გაჩაჩხული ადამიანები უაზროდ გარბიან მთისკენ. რქებალესილი, ჯიშიანი – შავი, თეთრი და წითელი ხარები აქეთ გამორბიან. ცხენები, ასევე სხვადასხვა ფერისანი, მარცხნივ მიისწრაფიან. ომს რომ ახლავს, ისეთი არეულობაა. ყოველივეს თრგუნავს, მაჯლაჯუნასავით გადაშობია თავით ცას მიბჯენილი ტიტანური აღნაგობის დეკაკაცი. ეჭვიც არ შეგეპარება – მისი ვეება, მოშიშვლებული ზურგის პატრონს, ყველა სულიერის გასრევა და მოშობა ძალუძს.

აქვე, ბუნებრივი იქნება, ვახსენო მთავრის გენიალური, აგრეთვე ესპანელი მხატვრის პაბლო პიკასოს ცნობილი (რეპროდუქცია ხელთ არა მაქვს), კონტრასტის უკვდავ ხერხზე შექმნილი, პოეტური იერის ნამუშევარი „გოგონა სფეროზე“. ფიცარზე შემდგარა შოლტცივით მოქნილი, განზე მკლავებგამვერილი, ათიოდე წლის უბინო არსება, ისეთი, როგორებსაც ხატავს ჩვენი დიდად ნიჭიერი დიმიტრი ერისთავი (მოვიგონოთ მისი „კლასობანა“). პიკასოს გოგონა, ჰაეროვანი, უნაზესი არსება, გაფაციცებული ცდილობს შეინარჩუნოს წონასწორობა, რათა სიმძიმის ცენტრმა მარცხნივ ანდა მარჯვნივ არ გადაინაცვლოს. წინ ქვაზე მყარად ზის (წონასწორობის შენარჩუნება არ სჭირდება) ნელს ზემოთ შიშველი, ჩვენი ზურგმოქცეული, მთლიანად კუნთებდა ქცეული ზორბა მამაკაცი. მისი სიტლანქე და სიუხეშე კიდევ უფრო გამოკვებს სფეროზე შემდგარი, გამოზომილად მოქანავე გოგონას მომზიბლავ სინატიფეს. ასეთი მკვეთრი დაპირისპირების, ოსტატურად შერჩეული ფონის გარეშე, სურათი სრულყოფილი ვერ იქნებოდა.

ჰომეროსის პოემები თითქმის ყველაფრის სათავედ და წყაროდ არის მიჩნეული. მკვლევრებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ „ილიადას“ მეცამეტე სიმღერის უძლიერესი ადგილი, როდესაც ოკეანის სიღრმიდან ამოსული და აქაველთა წინასწარმეტყველ კალხასად გარდასახული, „დედამიწის შემატორტმანებელი“ ღვთაება ილიონის კედლისკენ დაიძვრება. აქაველთა მხედართმთავრები დიდი და პატარა აიაქსები არიან. უმცროსი აიაქსი ოილიდი, ახოვანებითა და ძალოვნობით ბევრად ჩამოუვარდება უფროსს, ტელამონიდს, მაგრამ თვითონაც საარაკო მეომარია. იგი თვალს მოკრავს უკვე გატრიბებული, უკან მიბრუნებული პოსეიდონის ვეება ფიგურას და ამბობს, კანჭებსა და ზურგზე ვიცანო. საგულისხმოა, რომ აიაქსი ოილიდი, საბოლოოდ, განრისხებული პოსეიდონის მსხვერპლი ხდება.

ამავე მოტივს (უხეში ცხოველური ძალა და მის წინ უსუსური, ფიზიკურად სუსტი არსება), რამდენადმე ეხმიანება მოხეტიალე ცირკის მსახიობთა ცხოვრებაზე გადაღებული, ფედერიკო ფელინის ერთ-ერთი, მეტად ნაღვლიანი განწყობილების აღმძრავი შედეგური „გზა“. მაგრამ ასე რომ მივყვით, ძალიან შორს შევტოპავთ, შთაბეჭდილებებში გავიხლართებით.

ალბათ ბევრი ჩვენგანი დაკვირვებია – ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში ხშირად გვესმის ზურგთან დაკავშირებული ხატოვანი თქმები: „სხვისი ზურგის იმედზეა“, „ზურგს უკან ლაპარაკობს“, „დაზურგული ნავიდა“, „ამისი ზურგი არ მქონდა“, „ზურგი შევაქციე“, „მტრის ზურგში“, „ზურგის ქარი“, „ზურგი აენვა“ და მისთანანი.

ნოდარ გურაბანიძისთვის არც მოთქვამს, სად გადამტყორცნა და რამდენი საფიქრალი გამოიჩინა მისგან ნამოლებულმა ნიგნმა.

▶▶ ბაბრქელაძე იქნება





ფინიანდ კვარაცხელია

სქუაშ ღინა

ეპისტოლე გერიაშ-ქალაქელთა მიმართ

თავი I



1. ღვთის შიშით და გულის კარნახით ვნერ-მეთქი, ვიტყვი ამას, მარტო ღმერთის და სინდისის ანაბარა დარჩენილი რომ მეგულებოდეს ეს ქალაქი.

2. მაგრამ სხვანაირად ჯობია ვთქვა. ნაბიჯს მოზომვა უნდა და სიტყვას – ანგარიში.

3. გასაღები რომ ჩააბარა და ეზო-კარი კიდევ ერთხელ მოიარა, ტაძრის წინამძღვრისთვის უთქვამს, – დღეიდან თქვენ უნდა იყოთ აქ, ბევრს არ ვითხოვ, კანდელი არ ჩაქრეს ჩემი შვილის სახელზე და ლოცვაში არ გამომიტოვოთ.

4. თავი დაუკრეს, უარს ვინ ეტყოდა შვილმკვდარ მამას. კომუნისტი კაცი ერთადერთი შვილის გაქრობამ და ცოლის ჩაგონებამ მიიყვანა ეკლესიაში, თორემ კაბიანი მხოლოდ ქალები სწამდა.

5. ვინც მაშინ კაი ცხოვრებას დაეჩვიო, მარტო კაი ცხოვრებაზე ფიქრობდა, სხვა არაფერზე. ცუდი რატომ უნდა იაზრო, გიჟი თუ არ ხარ, მაგრამ ცუდი ამბები უნადინოდაც ხდება – თავისით.

6. სანამ ის დღეები იყო – ფიქრის, ფიქრის, რა დავაშავე ან ვის რა დავუშავეო, მაგ განცდის ტყავში ჩაძრომის – ვინ რაზე შეანუხებდა, თავისთვის იჯდა, იღებდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამხსნელების სიტყვას, მაგრამ იმის იქით არაფერი.

7. მერე ცოტა გამოზრუნდა აქაურობისკენ, ლუკმა გადაუფიდა და ცოლის ნათქვამიც გაიგო. დაეფიცება, ქალის ჭკუაზე არასდროს გაუყვლია, მაგრამ მისთვის საჭირო რამეს მიაგნო ცოლის სიტყვებში და მიჰყვა. რაც იქნება, იქნებაო.

8. ბრაზი აიტანდა ხოლმე, ბიჭისთვის უნდა მიმხედოდა, უფრო მიმეყურადებინა, საქმეს და ქეიფს ჩავანთხო მთელი დროო. მას დაეძებდა სიზმარში. რაც აქ ვერ მოასწრო, სიზმრის იოლად ასახდენ სივრცეებში ეგულებოდა.

9. იქაც რომ გაუჭირდა და ძილის ყოველ შებრუნებაზე დაუსხლტა, შვილის მეგობრებს მიაკითხა, საათობით დაისვამდა, გაუთავებლად აყოლინებდა და ერთი-ორი დღით როგორღაც ყოფნიდა მტყუან-მართალი.

10. მარაშნა-დღე იყო, დილიდანვე ხეცნით აიკლო ცოლმა, – ნამოდი, ხალხში გაერიე, ნაცნობებსაც ნახავ და გულს გადააყოლებო. ჯერ უარობდა, მერე უცებ დაქოქა

მანქანა და ტაძრის შესასვლელთან ძლივს იპოვნა ადგილი. გერია-მიტროპოლიტიც იმ დღეს გაიცნო.

თავი II

1. ვინც იშოვა, შოვნა ვინც საქმედ გაიხადა – მხოლოდ ის კაცობს ჩვენს ქალაქში.

2. გერია-მიტროპოლიტს ყველა შორიდან იცნობდა. ჩამოსულ კაცებს რომ თავიდან კრძალვით ექცვიან და მერე, გამოინაურებულები, ტალახს ზეღენ მისთვის – ეს ერისკაცობაშივე იცოდა მიტროპოლიტმა, ამიტომ სხვად და უცხოდ დარჩენა არჩია პროვინციაში.

3. ამ მხარეს დიდი ტკივილების გადატანა მოუხდა... – თქვა გამოგზავრებისწინა ქადაგებაში, – და ეს ყოველივე ორმაგად საპასუხისმგებლოს ხდის ჩემს მომავალ მოღვაწეობასო.

4. ღვწა. მოღვაწეობა. ღვწალი. ფეხსაცმელების ბიზნესის არხი რომ გაიჭრა იტალიაში და მოცვის პლანტაციებმა მოიცვა გერიაშ-ქალაქი, მისი კურთხევით იყო. მაშინვე ითქვა ეს.

5. ტანად ახოვანს ხიბლავდა, შესაფერი-სი კრძალვებით რომ ექცეოდნენ, გარეშე თვალისთვის გასამეტებელი თავმდაბლობა კი ზებუნებრივ იერს უნარჩუნებდა. ერთხანს სტიქაროსნად ყოფილიყო იმპერიის მეგაპოლისში, საიდანაც ეგზარქოსებს მოავლენდნენ ხოლმე დაპყრობილ ქვეყნებში.

6. ბერად პაისი ათონელის კრებულთა გამომცემელმა ეპისკოპოსმა აღკვეცა. პაისი ათონელი ერთგან, როცა ამსოფლიურ სურვილებზე ეკითხებოდა, ამბობს: „როდესაც რომელიმე სახლს ჩაუვლი და ხედავ მის მდიდრულ მორთულობას – მარმარილოს, მონყობილობას – აღფრთოვანდები კედლებითა და სამშენებლო მასალით, ყოველივე ამაში შენს გულს ტოვებ...“

7. გერიაშ-ქალაქში ჩამოსული პირველივე დღეს მიხვდა, რომ აქ მაცხოვრებელთა შესამჩნევ უმრავლესობას სწორედ ეს გული უცემდა მკერდში. ძალუმაღ და ვნებით. ერთურთის წამხედურობით, ახალი დახლებისა და წერტილების მოსახვეტად.

8. მიტროპოლიტს ერთთავად კელიაში მყოფის სახელი ჰქონდა დაგდებული, მაგრამ მიპატიუებაზეც არ ამბობდა უარს, თუკი ნონიანი ხალხი თავს გამოიდებდა და ქორწილების თუ ქელეხების დალოცვას სთხოვდნენ.

9. ეს იმიტომ კი არა, რომ მათგან უხვ წყალობას მოელოდა – მხოლოდ იმისთვის, სულიერებისკენ რომ მოებრუნებინა მდიდარი ცოდვილები.

10. ალბათ ეს განზრახვა ამოძრავებდა საოლქო პროკურორის წმ. გიორგის ორდენით შემკობისას, გერიაშ-ქალაქის უწმინდურმა აყვირებმა კი ისე მოუნათლეს, თითქოს დიდი საკათედრო ტაძრის შენების ფული დაიბევაო.

11. საკათედროს საძირკველში ქალაქის ყველა მონწილემ ჩაატანა გულის ფორმის ქვა, სადაც ახლობელ-ნათესავთა (ცოცხლებისა და მკვდრების) სახელები ფლომასტერით იყო ჩამოწესებული.

12. მეც მათ შორის ვიყავი. ვეცადე ქვა გამოსაჩენ ადგილას დამედო.

თავი III

1. ბაქარ არდაშელია ის კაცი არ იყო, მხოლოდ ერთი შეხვედრით და ტკბილი ლაპარაკით მისაღებოდა ვინმეს. იცოდა მღვდლების ენამჭერობის ამბავი და თუმცა დიდად არ ენდობოდა, მაინც უცნაურად ააფორიაქა ერთმა აზრმა.

2. აქ რაც უნდა ჰქონოდა და დარჩენოდა, იქ მაინც შეეწიოს ჩემს უბედურ ბიჭსო, – ცოლი და ოთხი კაცი წაიყვანა სანათესაოდან და გერია-მიტროპოლიტის რეზიდენციას მიადგნენ.

3. მონასტრის ეზო წალკოტად ექცია შოსანი ქალების დაუღლელ შრომას მკაცრი და მონესრიგებელი ილუმენიას მეთვალყურეობით. საქმე არ ილეოდა და არც საქმეს ელეოდა მკეთებელი.

4. დიდხანს არ უსაუბრიათ. მიტროპოლიტმა მიიღო მოქალაქე არდაშელიას შეთავაზება. „ჩემი შვილის სახელზე“. დიას. „დიდი სახლია, ათოთახიანი“. გასაგებია. „ეზოში სახლის გარდა ხის ოდაც დგას“. ღმერთმა შეგინოთო.

5. გერიაშ-ქალაქში გვიან მოზრუნდნენ. „ის ხომ ვუთხარი, უფასოდ რომ გადავცემ და ჩემი შვილის მინისთვის კაპიციც არ მინდა“ – გზაში აეკვიტა ბაქარს. „კი, მაგით დავინყე“.

6. ჩქიმ სქუაშ დიხა. ცხელოდა, პერანგი გაიხადა, ცივი წყალი დაისხა ჭიქაში. „სქუა“ – უნდოდა გაეხსენებინა, როდის დაუძახა თავის შვილს ბოლოჯერ, რა უთხრა ცოცხალს, ცოცხალს, თორემ მკვდრისთვის ყველა სიტყვა ნათქვამი ჰქონდა უკვე.

7. მოსაფერებელი. მონატრებული, ბავშვობის, მერმინდელი – რისი გონებიდან გამოფხვკაც შეძლო. ერთი ქალი მოეყვანა და ერთი შვილი დარჩენოდაო, – ეს ფიქრი არ ემუხებოდა, – ახლა მან ჩაკეტა ყველაფერი. არა, იმან და მე. წინ – ის, უკან – მე, მკვდარი და მკვდარს მიმგავსებული.

8. დიხა. აი, ეს მინა! „კარგად მიმილო ხომ მიტროპოლიტმა? – გააკითხა ცოლს სამზარეულოში, – შეგვირდა, წესიერ მღვდელს ჩავაბარებ, მიხედავს, სანთელ-საკმეველი არ გამოილევა შენი შვილის სახელზე, ეზო არ აბალახდება, ბაღნარად ვაქცევთო.“

9. ეეხ, არ იციან გერიაშ-ქალაქში არავის დანდობა! იცოდნენ მაინც, რამდენს აკეთებს ეს ჩამოსული კაცი, ასე რომ ლანძღვენ ქვეშევრდები! ჟალკა, ჟალკა! – სავარძელში ჩამჯდარს ჩამოედინა.



თავი IV

1. დიქტოფონი რედაქციაში დამრჩა. სანამ ტაქსი დავიჭირე და უკან მივბრუნდი, არდაშელების სახლთან აქცია უკვე დაშლილი იყო. „მორჩა, შვილო, ყველაფერი“, – ჩრდილში იჯდა ხის მაგიდაზე ხელუბდაყრილი კაცი.

2. „ასე უთქმელად სიკვდილიც არ მოდის, – ჩაილაპარაკა თავისთვის, – ისიც რალაცით განიშნებს ხოლმე“. გვერდით მივუჯდები-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ბოლო წამს მომერიდა.

3. „თურმე მინა რომ გაეყიდათ, ჯერ უნდა მეჩუქებინა, ჯერ ჩემი შვილის სახელი დამერქმია ამ საჩუქრისთვის, ასე იოლად, უთქმელად რომ აელოთ დიდი ფული ანაფორიანებს“.

4. ფეხზე ვიდექი, ზემოდან დავეყურებდი დარდისა და დაღლილობისგან დაბნეულ კაცს, რომელსაც გახსნილი შავი პერანგიდან უბრალო ძაფზე ასხმული ჯვარი მოუჩანდა. ზოგჯერ ხელს წაიღებდა ჯვარისკენ, მოისინჯავდა, თითქოს ამონებებს მის თანაცოფნასო.

5. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის ბოძები ჩაედგათ სოფელში და ენერგოკომპანიას არდაშელების სახლაც შეერჩია ერთი ბოძისთვის. „რუკა შედგა, ეს ეზო მოექცა შიგ. ნაყიდი აქვს სახელმწიფოს ეს ეზო და თუ დავაა, მაგათ ვედავოსო, შემოუთვლია მიტროპოლიტს“.

6. „ბატონო ბაქარ, თქვენ რას აპირებთ?“ – რალაც ხომ უნდა მეკითხა. „გერია არის ცხოვრებაო, ეს მითხრეს. ჯობია, მორევა და ადგილის მოსუფთავება“, – ამომხედა ნალვლიანად, სიბრაზისგან ხელები უცახცახებდა.

7. „არ დაწერო, ასე რომ მნახე. დაწერე, ჩვილის ცუდილივით რომ ქრება უბრალო ადამიანი“.

ახატვარი იაგო ნიკოლაძე

ბიორბი ხარაიშვილი

ლამის მაგია, მთვარის მაგია, დღე ათმაგია, მზე ასმაგია გულზე გაივლის ცის ლიანდაგი, – ეს უსასრულო ლიანდაგია. ოღრო-ჩოღროა, ქვა და ღორღია, ყელს მოზღვნილი ყულფი სიცხადის... ეს რომ მცოდნოდა, ასეთ სიცოცხლეს

ერთი კიცხვითაც არ გაგვიცხავდი, გამომეცხადე, ან რა მოხდება, ან ეს სიცხადე იქნებ მეც ვხატო, იქნებ, მოხვიდე სხვა განცხრომიდან, სხვა ცხოვრებიდან გამომეცხადო... ფანტელ-ფანტელ და ფოთოლ-ფოთოლ და წვიმა წვევტილად, ქარ-ქარაშოტად, რას ვიფიქრებდი, ასე მოთოვდა, ღრუბელი ასე თუ თამაშობდა, ან ღმერთი ასე თუ იცინოდა. ჩემს აბდაუბდა აბლაბუდებდად

გაბმულ ძაფებზე გავლა-გამოვლა არ გამოვა და არ დაბრუნდება, აღარ იქნება, ველარ იქნება, გზის მიგნება და კვალის მიგნება, სხეული ვნებით, თვალები მზერით, ცა ელვის დაშნით გაიმიგნება. ზარი, ზარები ვერ დაზაფრავენ უკვე დაზაფრულ ეჭვის ზამბარებს, რადგან წამიღეს თოვლის ფარდებმა, მსუბუქ სითეთრის თრთოლით დამფარეს...

გადამაფარეს თხელი ზენარი – თვალსანიერის ყალბი საფარი, მოვიდა თოვლი და უეცარი სევდით აავსო სუყველაფერი, ასე მგონია, გამიჭირდება შენგან გამოსვლა, როგორც ბინიდან... ან ერთგულებას, ან ბრმა სიყვარულს ამდენი ხანი ასე ვინ იტანს... მხოლოდ შენ იტან, რადგან შენა ხარ გზის მიმგნები და კვალის მიმგნები, ყველან შენა ხარ, ყველა უჯრედში,

როგორც თაროზე ძველი წიგნები, როგორც ფანჯრებზე ძველი ფარდები, ან სხვენზე ძველი აკვნის ნაშთები, და თუ არა ხარ ერთ წვეთ ღიმილზე, ცრემლზე უმაღლე ჩემთან განდები... გამომეცხადე, ან რა მოხდება... ეგ შენი სახე, იქნებ, მეც ვხატო, იქნებ მოხვიდე სხვა ცხოვრებიდან, სხვა სამყაროდან გამომეცხადო...

საიდან სადამდე, საიდან სადამდე მივა და გასტანს... ან კიდევ როდემდე აიტანს ეს გული არყოფნის განცდას... ფანჯრებზე მიკრული ზამთარი ოთახის სიმშვიდეს მიყოფს... თუ ახლა რალაც დამთავრდა, ეს ნიშნავს – რომ რალაც იყო... გაკვამლულ ფიქრებში ნაკვლებ მოვიძრობ დუმბილის ნიღბს... დრო გადის და ისევ მალეღვებს, დრო გადის და ისევ მიყვარს... დუმფარის ბალიშზე დანვება

ჭაობის დამდნარი ორთქლი... დაყნოსავს სულ ახლად ნაწვიმარ ბალახებს, ყვავილებს, ფოთლებს... ფანჯრებზე მიკრული ზამთარი ოთახის სიმშვიდეს მიყოფს... კარგია, თუ რალაც დამთავრდა, ეს ნიშნავს – რომ რალაც იყო...

ელგუჯა თავბარიძე

მოგეს კალა, უპინანო

– საიდან მოდიხარ?! – ჩანენკე ნუგზარას მურმანა ბრიგადირი ჭიშკართან დაუხვდა.

– გასვენებიდან.

– ვინ მოკვდა?

– მარიფათას დედა. ეს წუთია, მივაბარეთ სამუდამოს.

– კაი პურმარლი იყო?

– შენ ჭკუა და მე ფული, სუფრა იყო მეფური.

– რითი?!

– ტრაქტორი და კომბაინი, კიტრი იყო ორნაირი.

– ორნაირი რანაირად?!

– მკუსხე და მწიფე.

– აპა, ამეცხები მუცელს! – ჭიშკრის სახელურს ჩამოდო ხელი.

– იცოცხლე-თქვა!

– მეტრა-მეტრანახევარზე გეიჭიებოდა კუჭი.

– არ უჩივის სივინროვეს.

– არ დეიკლო, ძმაო, გასვენებები, ქორწინებები.

– ცოტა დევიკელი, ათი წელი ვიყურებულე რუსეთში.

– რავა, იქ გასვენებები და ქორწინებები არ იყო?!

– ჩვენებური არა.

– არ მითხრა ახლა, იმათას ვაკლდებოდიო.

– სად ჩვენი ქელები, სად იმათი მელები!

– გაფრთხილებ, ხვალ ყანის სატეხად რომ არ გამოხვიდე, ისევ გაგიშვებ წინკილაზე.

– ნავალ, ოღონდ შენ საბუთებსაც წამევიღებ.

– თუ გამოგატანეს, კი წამევიღებ!

– არ მიყვარს სიტყვით ფაცური, კაცი მქვია კაცური, – მუცელზე მოისვა ხელი – ვინ დამიკავეს, მთელ ქვეყანას გავაგებივებ, თეთრი ბილეთი რომ გაქ, მოგხსნიან, დევისვენებ კაცურად... – მარჯვენა გაიქნია.

– აპა, კაის კი არაფერს იზამ.

– მატინო და მატინდა, მეტი კაი რა გინდა?! – რა მინდა და, მთელი სოფელი კოლექტივის ყანაში იხრუკება, შენ ყვავი ჩხიკვის მამიდის არც გასვენებას, არც ქორწინებს აკლდები.

– მე შენ სხვებივით მოცილილი ხომ არ გგონივარ? – დაპრანა თვალები.

– რას აკეთებ?

– ვეფხისტყაოსანს ვაგრძელებ.

– რატო აგრძელებ, ახალი დაწერე!

– არ გესმის შენ ამდენი, ახლის დაწერას რა უნდა, გაგრძელება ძნელი.

– რას დევეძებ, ახალს დაწერ თუ ძველს გააგრძელებ, წინკილა ორივე შემთხვევაში გოგოსაკლავას ჰაერით მოგიხდება, თან კაცივით ხელს არ შეგიშლის.

– სიტყვას სიტყვა მოებმის, რა გესმის შენ პოემის!

– პოემის – არაფერი, ვენახის და ყანის – ყველაფერი.

– მერე, მიხედე, ან ყანაში ან ვენახში როის შემოგივარდი?!

– სწორედაც რომ შემომივარდი, მუშა ხალხს მოაჯექი კისერზე.

– ხუთ საათზე ადევქი, ორი კუბლეთი ძლივას მოვადუბლეთე.

– სამი რომ მოგედუბლეთებია, ხო ავშენდებოდი!

– შენ რო მაგას გეიგებ, მაშინ ნავა ჩვენი საქმე აღმართისკენ.

– ახლა საითაა?!

– დაქანებულში.

– შენნაირი შექანებულების ხელში, აბა, საით იქნება!

– რას გადაამეკიდეთ, წინკილა ორჯერ მშვიდობით მოვიარე, ნუგზარო, მშვიდი გიყი ხარო, ჩამინერეს თეთრ ბილეთში – გაშალა ხელები – ხო არ გააფრინეთ, რაის მუშაობას მთხოვთ, ვმუშაობ, რას ჰქვია, არ ვმუშაობ, სახურავს კი არ ვაძრობ საბძელზე, ვმოდვანობ, ვეფხისტყაოსანს ვაგრძელებ.

– შენი გაგრძელებული არ გეიშვა დღეის სწორამდე... – დღეის სწორამდეც გეიშვებს?! და რვა საუკუნის იქითაც. გადავრეე მომავალ ქართველებს.

– მაგას კი იზამ.

– რატომ არ მივერებთ, მშვიდი გიყი ვარ! მათიფათიჩებმა ის ადგილი იყიდეს, სადაც თვალ-მახარა ბაფთინო ცხოვრობდა, რა არ ქნეს, რა არ გააშენეს, ღობე გამოცვალეს, სახლი ახალი წამოჭიმეს, მაინც ნაბაფთინარი შერჩა იქაობას სახელად.

– ბაფთინო გახსოვს?

– მახსოვს, აპა, არ მახსოვს, მეველედას მამის გასვენებისას მეცხრეკლასელი ბოვში ვიყავი. მეცხრეკლასელი რომ მისვენებდნენ ვეზდენის, ბაფთინოს სახლთან შეასვენეთ, მანდ უყვარდა საწყალ მამაჩემს შეჩერებაო, – დაიძახა მეველედამ. დაასვენეს, მას მერე წესად იქცა, კაცს თუ ქალს, მესამედ ნაბაფთინართან შეასვენებენ.

– ქალს რატომ?

– კითხე ამათ. ბაფთინო კაცებს უგრძობდა გულს, ქალისთვის სირცხვილიც კია იქ დასვენება.

– მართლა რა ლამაზი იყო?!

– იყო და ვითქვამს, თვალებს რო შემოგიგურგურებდა, გეგონებოდა, დენმა მძგურაო.

– აცხონოს ღმერთმა.

– ჰოდა, იმას გუებნები, იმ ადგილს ნაბაფთინარი შერჩა და შერჩა, გიყი ვარ, ექიმებმაც დასტურ თქვეს, წყნარი გიყი ხარო, კაცივითი არ მივერებს.

– ოღონდ კოლექტივს არ გამოაკლდე და ყველაფერს დაგიჯერებ.

– თუ მივერებ, გიყის მუშაობა ვის გოუგონია?!

– ორშაბათს და ოთხშაბათს მაინც დევენახვე ამ ხალხს, სხვა დღეები ჯანდაბას.

– მაგენის დასანახად მცალია?! ახლა დედამინის ამოყრავების თეორემას ვამუშავებ, წარმოადგინე, ცაში გიდგას ფეხები... – ტაში შემოკრა.

– ცაში ფეხებს რა ჩემი ფეხები უნდა, დაყირავებულს რა გააჩერებს?!

– ჩანენკური მიზიდვის კანონი, – თვალები დააელამა – ჩემივე შექმნილი ციური მაგნიტები, იმეებით ადამიანის ფეხსაცმელი ცაში დამაგრდება. დამიჩოდა კრამიტები, მევიგონე მაგნიტები.

– კი მარა, კაცი ცაში დაკიდებული რაფრა გაჩერდება?

– რაფრა ჩერდება მინაზე, ისე გაჩერდება ცაში, ცისკენ ააშვერს ფეხებს, მინისკენ დაუშვებს თავს.

– ღვინოს თავი დავანებოთ, წყალს დაყუდებული რანაირად დაღვეს?

– მილით, ვეფხისტყაოსნის გაგრძელებაში ამ მილს ცის ქამანდი ჰქვია.

– ცის ქამანდი რა ოხრობაა?

– რაა და, კოტელას, ნათლიის, ლობი-ისწყლის, ყრულელის, კვანახელიძის და სხვა წყაროებიდან შეერთებულ წყალს შესვამს ცის კაცი.

– ყრულელის წყალს ნოყოს გემო აქვს.

– შეერთებულში სხვანაირი გემო ექნება, თან ადამიანს რას უზამს, თუ იცი?

– რას?

– რას და, გაამიღღმჩებ! – გაამიღღმჩებამდე, თუ რაფერ თქვი, – თვალები მიამატრა – ორშაბათს ყანის სატეხად მოგვეხმარე, თუ არა, არ ვიცი, რას გიზამ!

– რას მიზამ?

– რას და, ისევ წინკილას საგიუემი გიკრავ თავს.

– რა მინდა იმ ფრანგებში? – მშვიდად მიუგო ჩანენკე ნუგზარამ, ხელი ძველი არისტოკრატივით აიქნია და გამარჯვებულის იერით შეალაჯა ჭიშკარში.

არც ისე ჩაპუტკუნებულს, ჩანენკე ბავშვობაში შეარქვეს. რა ჭამე, ნუგზარაო, რომ ეტყოდნენ, ქათამი ჩანენკეო, მწვადი რომ ეჭამა, რაგინდარა შეჭამანდი მიერთმია, მაინც იმას ამბობდა – ქათამი ჩანენკეო. გაუნყვევითა ქათმის სინსილა კორაძესანებსო, – იცინოდნენ. სკოლაშიც ჩანენკეს ეძახდნენ. ხან გამოურედნენ სახელს, ნუგზარა ჩანენკეო, ხან – არა. იმ უბანში მყოფი ნუგზარაც ცხოვრობდა, ამაზე უფროსი, მაღალი, გამოსარჩევი ვაჟკაცური აღნაგობისა, იმას დაბალი ნუგზარა ერქვა, ამას – ჩანენკე ნუგზარა...

ჩანენკე ნუგზარა დაბალზე ბევრად დაბალი იყო. ბავშვობაშიც, დიდობაშიც მხრების აწურვა სჩვეოდა – თითქოს ვინმე რამეს შეჰკითხვოდეს, მას პასუხი არ სცოდნოდა და მხრებზე აწურვოდა. დადიოდა, უფრო – დაბობდა მხრებთანურული, სხვა რომ ორ ნაბიჯს გადადგამდა, ის მეათეს აღაჯებდა უკვე. შინ თუ გარეთ, შრომა არ ეზარებოდა, ოჯახში ყველაფერს ის აკეთებდა.

იმდენს შრომობს, ჩანენკეც, ჩატკვირვაც ალალია მაგაზუო, ამბობდნენ მეზობლები.

მეცხრე კლასში გადადიოდა მაშინ ჩანენკე, ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მოუმატა სწავლას, წიგნს ვერ აგდებინებდნენ ხელიდან. კ. ნუგზარა ფრიადოსანი გახდა, სწავლაში ყველაზე წინ წასულბიც უკან ჩამოიტოვა.

სკოლა წარჩინებით დაამთავრა. მასწავლებლები ამბობდნენ, მეცხრე კლასამდე – სხვა, მეცხრეს შემდეგ სხვა ნუგზარა სწავლობდა ჩვენს სკოლაშიო. ზოგი ჩაიჭრა, ზოგს ქულები დააკლდა, ჩანენკე მაშინვე ჩაირიცხა საინჟინროზე, მესამე კურსის მერე მიატოვა ინსტიტუტი, წავიდა რუსეთში, წელიწადში ერთხელ ჩამოდიოდა, ფერმებს ვაშენებ, რამდენიმე ბრიგადა მყავს სათათრეთშიო, – იძახდა.

რუსეთში გადასახლებიდან მესამე თუ მეოთხე წელს რუსი ქალი და მისი მშობლებით ჩამოვიდა სოფელში. სიმამრს, მალას, კაი გვარიანად ჩასუქებულ კაცს, იმისფრთე ჰალსტუხი ეკეთა, სოფელში ეუცნაურათ. ბერუამ გაუბედა, ჰკითხა. რა თანამდებობის ბრძანდებითო. დამსახურებული ტრაქტორისტი გახლავართო. ტრაქტორისტი და შოფერი მეც ქე ვარ, ქალაქკომის მდივანი თუ არა, აღმასკომის თავმჯდომარე მაინც მეგონეთ, მაგ ღვინოს რომ ყლანავ, ხვალ წამომყევი, ვენახის შენამვლაში მომიხმარეო.

ნაწყვე, მაგრამ მესამედ რომ ჩაასხა კისერში კირნარევი შაბაბანი, მოჰკიდა ხელი, ამოიყვანა ვენახის თავში, თითოთ მოუნიშნა მინაზე ადგილი, ამის არც იქით, არც აქით ნაბიჯი არ გადადგაო.

გავიდა ათი წუთი, გახვდა, სადაა დამსახურებული ტრაქტორისტი, მონიშნულ ალაგას კი არა, ვენახის ბოლოშია გასული. მოიხსნა სანამლი მანქანა, ამოიყვანა ზევით, ისევ მოუნიშნა ადგილი, ნახევარ საათში გიგლას ვენახში მოჰპარა თვალი. დაუძახა, ვინ გასცა ხმა. გულშიც შეუკურთხა, ხმამალადაც, წამოიყვანა ვენახიდან, – აშხელა კაცი შვიდთვიანი ყოფილა, მთელი ვაზისჭალა დეიძისა, გადათელ -გადმოთელა ღობეები, მოხმარებას ვინ ჩივის, ისინიც გამიხნდა საკეთებელიო, – შეჩვილა ჩანენკეს.

გავიდა სამი-ოთხი წელი, ჩანენკე უკვე შვილთა და მუღლით ჩამოსოფელდა. მას შემდეგ, წელიწადის გამოტოვებით, ხან – ნაგრამით, ხან უნაგრამოდ გამოჩნდებოდა. მეათე წელი რომ გაასრულა, „ვოლოგი“ წამოვიდა იქიდან, ჩამოვიდა თბილისში, ვილაცები ინახულა, ვერ ერთთან იქიფა, მერე მეორესთან, მესამესთან, სამი დღე გაჩერდა. მეოთხე დღეს დაიძრა სოფლისკენ, ჭალატყეში გააჩერა მანქანა, გასავლელად გადავიდა, ერთი ასი მეტრი გაიარა და მანქანა აფეთქდა. მთელი, მოებრიალა ცეცხლი, ისე შემინდა, მიკარება ვერ გაბედა, შორიდან უყურებდა, როგორ იწვოდა მისი ახალთახალი „ვაზ-24“. ზოგი ამბობდა, რუსეთში ცოლ-შვილი მიატოვა, დიდი ფული წამოიღო, წამოჰყვა ვილაც, იმან დამართა, რაც დამართაო, ვილაცები ქართველებს ადებდნენ ხელს – თბილისში აუხირდა ერთს, იმან არ აპატივა, უკან გამოჰყვა, მანქანაში ჩაუდო ასაფეთქებელი, რომ გადმოვიდა, მერე ააფეთქა, დაინდო, სასიკვდილოდ არ განირო.

თვითონ ჩანენკე არაფერს ამბობდა, არავის არაფერს აბრალებდა – მილიციასაც ასე უთხრა, ეჭვი არავისზე მაქვს, რაც მოხდა, გითხარით, ტყუილს ვერ მოგახსენებთო.

სოფელში ქოხით სახლი აიშენა. ცხოვრობდა მარტო. არავისთან მეგობრობდა, არავის ენდობოდა. ერთ დილით ნაჯახით გამოვარდა, მიშველეთ, მომდევენ, მიშველეთ, დამალეთო. ვინ მოგდევსო – ეცნენ მეზობლები. ისინიო, ვინ ისინიო. ვინ და, ისინიო.

ნაიყვანეს წინკილაზე, საგიუმში. გავიდა ერთი-ორი თვე, დაბრუნდა გამოჯანმრთლებული. მარტობას შეეშვა, ჭაბუკობისდროინდელზე უფრო დაუახლოვდა მეზობლებს. თითქმის ყველა ხელობა იცოდა: რომ ღორს ოცი მანეთი, მომეცი ათი მანეთიო, უფასებდა. ზოგს უშენებდა, ზოგს უღესავდა, ზოგს ურემონტებდა... უფრო მშვიდი გახდა. თვალებს თუ არ დაატრიალებდა, სალსალამათს ჰგავდა. მე შენ გეტყვი, სიტყვა-პასუხი ეშლებოდა, დაილაპარაკებდა და აკადემიკოსი გეგონებოდა. ერთხელ ქვაციხემში გაგზავნეს გასვენების მომზადებულად. ჭირის გასაზიარებლად ჩამოსულბემა ჭირისუფლებს უსაყვედურეს – კი მაგრამ, სხვა ვერავინ მონახეთ, ეს პროფესორი კაცი რომ შეანუხეთ ამბის შესატყობინებლადო.

თუ არ იცოდი, ნუგზარა ჩანენკეს რა სჭირდა, რა დამართნოდა, არაჩვეულებრივი ვინმე გეგონებოდა, თვალები რომ გაუთითრებოდა, ჯობდა, გაცლოდი.

– დახუჭე თვალები! – უთხრა ბერუამ თვალბდაპრანულს.

– რაა? – უფრო დაპრანა.

– რა და, დახუჭე თვალები!

ისეთი გლიჯა, კინაღამ საბოლოოდ დახუჭვა ბერუას მარცხენა თვალი.

ერთხელ, სისხამ დილით, ჭიშკართან მოჭვრიტინე ნუგზარას გასძახა გოდუნამ.

– რას ეძებ ჩანენკე ამ დილაუთინია?

– სახელს!

– შემოალე ჭიშკარი, გადაგიჭირებ!

– იმნაირს გადაგიჭირებ, მომიხედო, ველარ მიცნო.

– შენ არ თქვი, სახრეს დავეძებო.

– სახრეს კი არა, სახელს.

– შემოალე, ჩვენზე სახელიანს სად ნახავ?

– დაუკარით ოსური, წელიწადი ვარ მოსული! – დაიძახა ფეხის შემოდგმისთანავე.

– აპა, მომხსენე, უსახელობის გარდა, რამ შემინუხა შენი გაუბედალი თავი?! – აათვალეირ-ჩაათვალეირა გოდუნამ.

– დავილაღე, ბიჭო გოდუნა, დავილაღე! – უთხრა გულზე რვეულმიხუტებულმა.

– რამ დაგდალა, რა შენ თოხი და ბარი გიკავია დღე და ღამე ხელში? – საგულდაგულოდ მოიფშენიდა უძილარი თვალები.

– საქეყნო თოხი უფრო საჯავაოა... – გაიჯგობა.

– რას შრომობ, გვანახვე ერთი, ჩავგახედე მაგ რვეულში! – შეეხენა გოდუნა.

– დამალეინე ერთი რუქა არაყი და ჩაგახედე.

– ლექსად თუ მეტყვი, ჩავაცეცხლებო.

– ჩაცეცხლებას ლექსი არ უხდება.

გამოუტანა. გადახუხა.

– წამაკითხე და მეორეც იქნება. – შეეხენა გოდუნა.

– ვეფხისტყაოსნის გაგრძელება ასე ადვილი წასაკითხია, ორი ფეხით მოვედი, ორი ფეხით წავალ, ბარემ მეორეც!

დაუსხა მეორე, ისიც გადაკრა.

– მესამეს თუ არ დამალეინებ, ცის სახლში ყველაზე მიკუჭულ კუთხეში ჩავსახლებ, გეგრე, ე, – თითი აიშვირა, – ცა რომ თავდება, ახალი რომ არ იწყება, წიაღელედან ახალციხეში გასახლებ, იქიდან ცისკენ გაგაქროლებ.

– მესამე რომ დაგისხა, მაგ რვეულსაც წამაკითხებ, ცაში კაი ადგილსაც გამომიძებნი?

– აპა, რას ვიზამ?! – გაიბადრა.

დაუსხა, ისიც სულმოუთქმელად გადაყურდა, საარყე ჭიქა მიაჩერა გოდუნას ხელში და მოკურცხლდა, მაგრამ რა მოკურცხლა.

სიცილისგან ბროწივითი სახედაფშალულ გოდუნას არყის ბოთლი კინაღამ გაუვარდა ხელიდან.

ჩანენკე მოკვდაო, ჩამოიტანეს ამბავი. კისრისტეხით გავიქეცი სოფელში. მეზობლებს უკვე გაეპატიოსნებინათ, ინვა დიდი კაცივით, „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებელს მართლა მივამგვანე იმ წუთას.

– რვეულები თუ ნახეთ? – მისამძიმრებისთანავე ვიკითხე.

– რა რვეულები?

– ვეფხისტყაოსანს რომ აგრძელებდა.

– კი, ეგერაა.

– რამდენია?

– ერთი, ასფურცლიანი.

– დანარჩენი? – შევიცხადესავით.

– რა დანარჩენი, თუ არ გაგიყვებით ახლა სუყველა, ნამეტანი კაის იზამთ! – დამიბღვირა ამირანა თავიკაცმა.

მივევარდი, გადავშალე: პირველსავე გვერდზე გაკრული ხელით ეწერა – ნუგზარ წიაღელისელი – ვეფხისტყაოსნის გაგრძელება, მეორე სტრიქონზე მეტსახელის დაკარგვა დანახებია: ნუგზარ ჩანენკე წიაღელისელი, ბოლოში, ისევ გაკრული ხელით – ავადობა მრევს, ვეფხისტყაოსანს ველარ ვაგრძელებ, რვეულები ჩავყარე ბუჯას, რომლის სიგრძე ორმოცდაერთი კილომეტრია, ვერ მოძებნით.

ეს სამი წინადადება მაინც გაელექსა იმ ოხერს!

ქელეზე ამირანა თავიკაცმა თქვა: – ჩანენკემ სიკვდილის წინ რუსთაველთან მისასვლელი გამიკეთა – თავისი ნაჩხანები ბუჯას გააყოლა, ზის ახლა ყველაზე დიდი ქართველის წინ და იწინებს. გიყურებთ და, ყურში ჩანენკეს ლაღლის მდგას: ყოვლის შემქმნელი რუსთაველი, მომეც ძალა, შევინანო... – ვაპა, ხუთი დღის წინ ეს კაცი რას მიუბნებოდა?!

თავიქალი პოპინო

– პოპინო, ქალო, იმას დასიზმრებია, ვინაც სიცოცხლე გაუმწარა – თქვა თალიკომ და თავშლის ყური გაისწორა.

– მეკვარსაც აღარ ასვენებს მაგ შეჩვენებულნი, შენამება გამიგონია, მაგნარი შემწამებელი მტრისას, – ამოიხრა, თან თავი ისე გადააქნია უმწოდ ჩამოქცნარმა მედიკომ, ყუნწი გადატყვებო გეგონებოდა.

– სიზმარმა მტერი და მოყვარე რა იცის, ვინც მტეს ფიქრობს, ვისაც სინდისი არ ასვენებს, იმას ესიზმრება – სიზმარმცოდნესავით ჩაილაპარაკა მარგომ და კინტყეზე გადენილი ნაზამთრალი საქონელი მოათვალიერა.

მაღალი, შავთვალწარბა, მწყობრი მშვენივრით ასხმული პირისახის პოპინო სხვა ქალებისგან იმითაც გამოირჩეოდა, საჭმელს ძნელად მოძებნიდა, მის სახელთან არ დაეკავშირებინოთ. მთელმა სოფელმა იცოდა – „პოპინოს საწებელი“, „პოპინოს წვენი“, „პოპინოს აჯიკა“. მზარეულობითა და სხვა დედაკაცური კდემს-სათნობით სახელდებული სოფლის თავიქალად რომ ამოირჩიეს, ყველას გაეხარდა, ციურის ეწყინა.

ვინ ყოფილა, ქალო, ეს ციური, თავისი საქმეები ვერ დაულაგებია, სოფლისას ეპოტინებო, – აბუტუნდნენ ქალები.

მაგი ვინცხას ნაუპოტინა, იმას მიხედოს, იქნება კაცობისა მოაცხოს რამეო, – აქირქლდნენ კაცები.

ციურის ქმარს, ევგრაფის, თვითონ, ევგრაფის რომ ეძახდა, მეზობლის კაცებმა ამირანა თავიკაცთან უჩივლეს: კაცია, გინების მაგიერ, ქალივით იწყევლებო.

– ქვრივობა არ მეზარებოდეს, შენ დღეს დაგაყრიდი! – ეჩემებოდა ციური.

– შენ მეისპი ერთ დღეს, შენ ჩაგდევნი დღეს სწორამდე მინაში! – იწყევლებოდა ევგრაფი.

– თუ ქალივით იწყევლება, მაგი არ ყოფილა ჩემი საქმე, პოპინოს მიაკითხეთ! – გამოიტანა განაჩენი ამირანამ.

მივიდნენ იგივე საჩივრით სოფლის თავიქალთან:

– რა გითხრათ, – მხრებში ჩამყუდროვდა პოპინო – ქალივით კი იწყევლება ევგრაფი არგასაჩენი, მაგრამ მინც კაცია, ქალს დამგანებული კაცის საქმეც ამირანას გასარკვევია! – გაისტუმრა მოსულეები.

ქმრის გამასხარაგება ეწყინებოდა ციურის, განა, გაეხარებოდა, მაგრამ მამინ არაფერი უთქვამს. გულში ჩაიხვია, იმის მონადინე შეიქნა, პოპინო როგორმე გაეჯავრებინა. თვითონ რომ ვერ გამოიხედა თვალეში, უმანკო ქალობაში ხან თავმჯდომარეს, ხან დირექტორს უპრანავდა თვალეებს. აგრონომზე, თანაც მთავარზე, ნაკლებს არ გაყვებო, – იქადებოდა, მერე გადაკრუხების შეეშინდა და მაიორი ევგრაფი ჩაისიდა.

ივდა ევგრაფი, უყურებდა ტელევიზორს. დიქტორებიც ცნობენ, კაი ნაცნობივით უღიმიან, რაიმე სამხედრო გადატრიალება რომ არ გამოჩნდეს, ამიტომ მიმტერებია ეკრანსო – დასცინოდნენ. იწყებოდა, თავდებოდა დღე ტელევიზორის ცქერით, წელათრევით ნამოდგებობა, ხან რუსულ, ხან ქართულ, ორის მეთი სად იყო, არხზე გადართავდა.

– კაციც და ქალიც მე ვარ არ სახლში, სინდისი გაგაჩნია?! – კაპასობდა ციური.

– ვინახავ, შენსავით ხომ არ გამოვფშკვირავ, ერელეს, დელერეს კელერეს, ევგრაფის ღვინო დელერეს.

– შენ ტვინს კიდო ღვინო უნდა? – კენ მისპი ერთ დღეს, ერელეს, დერელეს, კელერეს, ევგრაფის ღვინო დელერეს. ეს სიტყვები რას ნიშნავდა, თვითონაც არ იცოდა, ღვინის დაღვივის სურვილს რომ გამოხატავდა, ყველა ხედებოდა.

ციურისთვის სახლის დალაგება, ათასი ხარახურის ერთი მოყურებული ადგილიდან მეორე მოყურებულში გადატანას ნიშნავდა, თორემ ოთახებს ევგრაფის გვიდა, ჭურჭელსაც ის რეცხავდა, დაგვისა თუ რეცხვისას ტელევიზორს უყურებდა, შემოვარდებოდა ციური, გამორთავდა.

– ეს გაგიჟებს და გასულელებს!

– ისემც დაგაყარე მინა! – მივარდებოდა, ჩართავდა.

– დაასვენე, ცეცხლი გოვრდებია!

– ერთი საათის წინ, ზუსტად ერთი საათი შევასვენე, ჩემი ტყულა ყოფნა თუ არ შეიძლება, მაგანაც იმუშაოს, ერელეს, დელერეს, კელერეს, ევგრაფის ღვინო დელერეს, შენ გაგიტანე მაცხოვარზე!

ერთხელ ძლივს გააჩუმეს მოთქმით მტირალი ციური მეზობლებმა.

– რა იყო, რა მოხდა? – შეეკითხა თალიკო.

– რავა რა მოხდა, გოგნის წმინდა გიორგიზე ვილოცე! – ამოიკენესა.

– მერე?!

– მერე, მოვედი სახლში, ევგრაფი ისევ ქალის ხმით დამელაპარაკა.

– შენ არ მექნარი მერე გოგნობას, ამოწყდი, ამოკვინკვილდი! – წყევლიდა ქმარი.

– მომაშტერდი, მომაშტერდი, ტელევიზორის ქალებს მადარებ ხომ?

– შეუდარებელი ხარ, შენ არ გაგიტენდა ხვალინდელი დღე!

ევგრაფის ქალივით წარწარა ხმაზე ციური ყველასთან წუნუნებდა, ვინმე თუ დაეთანხმებოდა, წყინდა.

– რა სიზმრებია ქალო – წერილი კისერი ნაიგრძელა მედიკომ.

– ციურის თავის ტეხვა და არ გადარჩენა, შეიძლება იტყუება, სულ არ უნახია სიზმარში.

– ხომ არაფერს ითხოვდაო, თალიკო!

– არა, ქალო, პოპინოს შვილები და რძლები რამეს დააკლებენ?

– აპა, რანაირად მესიზმრაო.

– კარგადო, კარგადო. აქ კი არა, თავის-სახლს იყო თურმე, კვიშტაში ლამაზ ეტლში ჩამჯდარი.

– ეტლი რაღამ მოაგონა ვინ ჯდება ახლა ეტლში? – გაიბადრა მარგო.

– რავარც მომიყვა, ისე გიყვებით.

– მოყვი, მოყვი.

– ლამაზ ეტლში მჯდარა, თეთრ ტანსაცმელში გამონყობილი პოპინო, თქვენსკენ მომხედავი არა ვარ, ბედნიერი მივიღივარ, ბედნიერს გტოვებთო.

– მეთი არაფერი?

– არა!

– ციურის მოგონილს ჰგავს.

– ჰგავდეს, ბედნიერს გტოვებს თურმე, იმ დროს დაგვყოვა, შვილებისა და შვილიშვილებისთვის ცქერით ტკობა რო დამვენდა – მინას ჩააჩრდა – მთავარია, ჩვენსკენ არ იხედება, გაანათლოს ღმერთმა.

– ჩვენსკენ არა, მარა, ციურისკენ რომ გაემეხება, არაფერი დამავებოდა, – ისევ მოათვალიერა მარგომ საქონელი, გრძელი ჯოხი დაიჭირა ხელში და წავიდა.

მიეჩვია სოფელი პოპინოს თავიქალობას. მართალს ამართლებდა, მტყუნანს ამტყუნებდა. მარგომ და მათიკომ ერთდროულად შესჩივლეს:

– სამ წელიწადში ერთი კვირა არ გამომიტოვებია, ორი წელსა ყველი მიმქონდა მათიკოსთან! – დამწამავის ხმით უთხრა მარგომ.

– არ გეგონოს, დევიონყო, ბუხარზე ვწერ, რა დროს რამდენი კილო მომიტანე! – ეუბნებოდა ხოლმე თურმე მათიკო.

ქებით გახალისებულ მარგოსაც მიჰქონდა და მიჰქონდა. სადღესასწაულო დღეებში სამ წველასაც მიაცუნებულედა. მათიკოსანები უცებ გამიდრდნენ. ზოგი იძახდა, მისმა ქმარმა, პალუმამ, დიდი ფული მოიპარა, იმით ნამოჭიმა სასახლე, მანქანაც იმ ფულით შეაბზრილა ეზოშიო. სხვები არ იჯერებდნენ, მოიპარა კი არა, კვახი, მათიკო ექთანია, ნარკოტიკს ყიდის, ფული მაგამი ყრია თუ ყრიაო. მათიკომ ბუხარი დაანგრია და კედელზე დანეროლი გაქრა. გამოიღო მარგომ თავი: – ესეხსულობდი თუ ვრქუნდი, მაინც წონდა კარგად სამყოფი, რამდენიც ვაჭუქე, იმის ნახვარი ჩამაჩუქოსო.

გადიარა მათიკო,

– ბუხრის კედელზე არაფერი ეწერა, ერთი სამჯერ მართლა მაჩუქა, ნაჭუქის ჩაჩუქება ვის გაუგონია?!

შეკრიბა პოპინომ მეზობლის ქალები:

– რას ჰქვია, არ ეწერა, სწორედაც რომ ეწერა, მთლად ერთი წიგნისხელა არა, მარა, არც ნაკლები გამოვიდოდა, იმ კედელზე კიდევ სხვა რამეებიც ეწერა, მათიკოს სიღარიბეს სა-

რეცხივით რომ ფენდა! – ბეჭედი დაარტყეს ქალებმა.

– ფულად მითხრას, რამდენისა იქნებოდა, ფულით გადავუხდი! – აიბუზა მათიკო.

– ფულად რატომ, მათხოვარი კი არა ვარ! – იუკადრისა მარგომ.

ბოლოს იმაზე მოარგია, ორი წელი, ყოველ ორ კვირაში, ორ-ორ წველას მიუტანდა მათიკო.

ციურიმ, დილა-სალამოს პოპინოს წყენინების ხასიათზე რომ იყო, ამ დავაში მათიკო გაამართლა, მარგო გამატყუნა.

გოგუცას ცხვრებმა კატუას ბოსტანი გადააბრეს.

– მიდი კატუა ბიცოლასთან, შეაგუე უპრასობას, შეუხვედრელი არავინა, გოგუცას უყურადღებობით არ მოსვლია, ბოლობოლო, პრასს



უყიდის, ოღონდ ნურც გადაირევა, ნურც დანყველის! – სთხოვა თავიქალმა ციურის.

მივიდა ციური, განა, არ მივიდა, მაგრამ ის კი არ უთხრა, გოგუცას ცხვრებმა შენი ბოსტანი პირწმინდად გადაჭამესო:

– გოგუცას ცხვრები შესულან ბოსტანში, პრასის ერთი-ორი კვალი გოგუცებიათ, ნუ აყვები, ცხვარს რომ დაკლავს, ჩაქაფული გერგებაო.

კატუამ იფიქრა, ერთი-ორი კვალი პრასის გაფუჭებისთვის მეზობელი რატომ მოვიმდუროო. იმ დღეს არც გადასულა პარტახში. მეორე დილას გულმა არ მოუთმინა, ნახა, მაგრამ, რა ნახა, მთელი ქუჩა გააღვიძა მისმა კვილმა:

– მე არ ვჭამ ცხვარს, მე ვჭამ პრასს! ამოგინყდეთ პატრონი, გარეთ გამომდენი, მევიდეს პოპინო, თავისი თვალით ნახოს, ეს თუ ორი კვალია! მე არ ვჭამ ცხვარს, მე ვჭამ პრასს!

ციურიმ ლიმონათის ჩარიგებაც უარი რომ თქვა:

– მოდი, დავექი, ჩემო ციური, დღისვენე, – ხელთ სკამისკენ მიანიშნა.

– დავისვენო, ავად კი არა ვარ... ვერანდის თამადას, ბენიასანების ნათესავის მეზობელს, მთავარი თამადას ნათქვამი კარგად არ ესმოდა, სახელებს შეცდომით იძახდა, მისი არჩევისთვის ამუნათებდა გუნებში პოპინო ამირანა თავიკაცს და ციურის ამიტომ აღარ გაეპასუხა.

მარგალიტას გოგონებს, ლოყებლაქაქა, ჩაპუტკუნებულ მარინეს და ქეთინოს შალის წინდები არა აქეთო, გაიგო პოპინომ. ჰქონდა, თანაც რამდენიმე წველი იმათი სარგო წინდები, მაგრამ კი არ მისცა, ორივე სახლში წაიყვანა, ასწავლა მატყლის დაწევა, ნართის ამოხვევა, დართვა, ქსოვა, ატარა ასე ორი კვირა, ჯერ თავ-თავისი, მოაქსოვინა მერე ძმებისთვის.

მარინას და ქეთინოს ისე მოეწონათ ეს საქმე, მეზობლებს ცხვრებს უპარსავდნენ, ძაფს ურთავდნენ, წინდებს უქსოვდნენ. შეერქვათ მქსოველი დები.

მარგალიტა გაეცალა, ციური მაინც არ გაჩერდა:

– მითხარი, რა გაგაკეთო?

– არაფერი, დაუცადე გამოხვენებას! – ესეც ხმამალა გამოვიდა.

– ბენიასანები ბენიას სიკვდილს უცდიდნენ, მე გამოსვენებას ვუცადო?! – კურტუმოს ქნეითი შეერია ხალხს.

მაშინ დაიფიცა თავიქალმა, მაგელანობას განახვებ, ისეთ დღეში ჩაგაგდებ, მთელი სოფელი დაგცინოდესო.

მეორე დღეს კაი მოთენებულზე ჩავიდა ყანაში. ჯერ ერთი მხარე, თითქოს მწკრივი

ყოფილიყო, აიარა, ჩამოიარა, მერე – მეორე, მესამე, მეათე, მარჯვენა ფეხის ქუსლს ნახნავში ასობდა, ხან იხრებოდა წელში, ხან სწორდებოდა, გეგონებოდა, რალაცას თესავსო.

დაინახა ციურიმ, მიაჩრდა, თავიდან ეგონა, ნაკვეთს ნაბიჯებით ზომავსო, მერე, რომ დააკვირდა, თესვა იგუმანა, ბენიას გასვენებაში ვანყენიე, თქმით არაფერს მეტყვის, ნაღდად სიმინდს თესავს, შარშან მარტში დათესა, ახლა იანვარში თესავს, თვითონ ადრე მოინვეს მოსავალს, ჩვენ მშრალზე დავრჩებით. ხედავ შენ, სოფლის მაგელან პოპინოს რანაირი მეზობლობა ცოდნია. ოღონდ თვითონ გამეიძლოს მუცელი, სოფელი ფეხებზე ჰკიდაო.

მეორე დღეს ციური ნაშემოდგომეზე დახნულ ყანაში, დილიდან საღამომდე თეს-

ავდა სიმინდს, იმნაირი თავქვე დაკიდებული ადგილი იყო, რომ დაგორებულყო, ერთ საათს შეუსვენებლად იგორებდა.

უყურებდა პოპინო, ეცინებოდა.

გავიდა ორი კვირა, მოთოვა, მოყინა, მარტის დასაწყისამდე არც თოვა გაჩერებულა, არც ყინვა.

დარჩნენ ციურისანები იმ წელიწადს უსიმინდოდ.

ამასწინათ ეს ამბავი გამახსენდა. ციური ხომაც ცოცხალი-მეთქი – ვკითხე ჩემებს.

მაგას რა მოკლავს, რაც ევგრაფი გაუშვა საგანგებო დავალების შესასრულებლად, მას მერე სოფლიდან გარყეულივით ცხოვრობსო, – მითხრეს.

– რა საგანგებო დავალების?

– არ გახსოვს, ევგრაფიმ, საგანგებო დავალების შესასრულებლად მივიღივარო, დაიძახა ომხიანად და დალია მთავარი სული.

– დები ციურისთან ცხოვრობენ?

– ვინ დები?

– სამი ქალოშვილი?

– დეივანტენე. უფროსი, კი იცი, რანაირი მორეკე ჭკუის პატრონიც იყო, წვეიდა, დეიკარგა. საშვლი და უმცროსი ლანჩუთში გათხოვდნენ.

გაუკვირდათ, ციურის მონახულების სურვილი რომ გამოვთქვი.

– სულ მარტო ცხოვრობ, ციური დეიდა?! – შევეკითხე მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ.

– სულ მარტო, შვილო, ღამით ნახაბი სიზმარი რომ მოვუყვე დილით ვინმეს, იმნაირიც არავინ მყავს.

– შვილები ვიცი, შვილიშვილები?

– ვილას უნდა, შვილო, სოფელი, ე დარბაზები რომ არ იყოს, ახლანდელი ქალები ვერც გასვენებას, ვერც ქორწილს მოაბამდნენ თავს.

– პოპინო?!

– პოპინოს, შვილო, ცეცხლი ენთო ხელეზზე. ერთხელ გავაბრახე და თესვა მეიგონა, მერე მითხრა, სიმართლეს ვეთესავდიო. მარა, იმ სიმართლეს მთელი წლის სამყოფი სიმინდი მოაყოლა.

– მეც მაგნარი მახსოვს, ღმერთმა დიდხანს გამოყოფთ, ციური დეიდა!

– ერთ სიზმარს მოგიყვები.

– ვიცი მაგ სიზმარი, მერქარება, ავტობუსი გამასწრებს.

წამოვედი.

– ახლა აღარც პოპინოა ცოცხალი, აღარც ციური. ნეტავ მომესმინა, იქნებ სხვა სიზმარს ყვებოდა, ვნანობ...

შახტვარი იაბო ნიკოლაკა



თამარ მღებრიშვილი

შენ ხარ სახლი,
ჩემი სახლი
სახლი
სახლი
სახლი.
შენ ხარ ჭერი,
წვიმის მჭერი
არ წვიმს
არ წვიმს
არ წვიმს.
შენი ხმა ნისლისფერი
შენი მზერა ღმერთის

შენი სიტყვა ლოცვად მესმის
მესმის
მესმის
მესმის.
შენი თვალი მტრედისფერი
სულის ქარვის მჭრელი
შენი ხელი დაღალული
ნებით
ნებით
ნებით.
სალამოა უტყვისფერი
შენი ნაკვთი ბნელი,
ჩემი სულის ნიალია
შენი სუნთქვა ძნელი.
შენ ხარ სახლი
ჩემი სახლი
ჩემი ჭერი
ღმერთი.
ნისლისფერი
ქარვისფერი
მტრედისფერი
ღმერთი.

ჩვენი სახლი არ ჰგავს სხვის სახლებს
უსაძირკვლოა, ლამის ფრთები აქვს
ერთი ოთახი, ვრცელი და ფართო
სადაც კედლები ამბებს ჰყვებიან.

ჩემი სამყარო ოთხკედლედია
შენი თვალები, ხელები, მზერა,
და შენი ყელიც, ისე მაღალი
როგორც ამ სახლის სვეტების წყება.

ჩვენს სახლს სარკმელი მხოლოდ ერთი აქვს
– შენი ღიმილი,
და როცა სულში იზამთრებს წამით
ჩნდება სიბნელე, ქრება ბილიკიც.

ჩვენი სახლი არ ჰგავს სხვის სახლებს,
უსაძირკვლოა, ლამის ფრთები აქვს.

გაიკრიფება ხეები დარდის
ისამხმატკბილებს ვნების აკვანი
ალარ მაშინებს აღარაფერი
აღარც სიცივე სულსა თუ სახლში.

შენი თვალები ჩემთვის ზამთრდება
სავსე გაქვს მზერა მკაცრი სიცივით
ის კი არ ვიცი რა გემართება
არც იმას ვუნყი თუ გემართლები.

საიდან საით და არსაიდან
საფიქრალეთში შემომიკედლე

განაფიქრებით გადაღალული
მომიხელთე და მომიერთგულე.

მთხოვდი ფერნასულ არაკთა მღერას
დროის და დარდის გამოისობით
ვერ დაგაჯერე ეს სულთა კვდომა
ვერ შემოგზნო ვნებებს საკირე.

საიდან საით და არსაიდან
ფანჯრებს ნათელი ტეხს და ილევა
შენი პეშვიდან შემისვა დარდმა
და მაინც შენით მეიმედება.

გაუჭირდება მასაც ამქვეყნად
ვინც გაუხდება სიმართლეს სატრფოდ
და თუ ტყუილში აღმომიციენდი
ჩემთვის გავიშლი ნასევდარ სანოლს.

ვინაც სიცოცხლის დარად მიღირდა
იმან დამლუბა საამიეროდ
ერთგულ სარეცელს ნუ მიატოვებ
საბედისწეროს, სხვათათვის სანდოს.

სულს შემოველე ტკივილსამყოფად
მაქციე იმად, რადაც არა ვარ
თუ შენი გული უღმერთოდ აძგერდა
ლექსს ნუ ჩამითვლი სიტყვადალატად.



ბიორბი ბალახაშვილი

სრულიანის ანგელოზი

როცა არყოფნის ანგელოზი ჩამოფრინდება
და შენს ლოგინთან წამოჯდება, სანამ სიზმარში
დგება ზამთრისთვის მურაბების შეკვრას გიხარშავს,
კომშებსაც კობხად ჩაამწკრივებს ოქროშინდებთან,
ნუ გაიღვიძებ, ნუ იჩქარებ, გთხოვ, ნუ შეკრთები,
ეცადე, დიდხანს გაიგრძელო ბოლო სიზმარი,
ფერიცვალე მზეც დაგიცდის – ნაივლისარი,
კიდევ სამი დღე დაიძინე, რადგან ეკვდერი
სავსეა ჯერაც სხვა გვამებით, ჭირისუფალით,
სავსეა ჯერაც სხვა არყოფნის ანგელოზებით,
სავსეა ეზოც – ტირიფებით და მიმოზებით
და ყველა ტირის. ტირის. ტირის. ტირის უფულო
და ფულიანიც. ყველა ტირის. ტირის და ტირის.
მშვიდად იძინე. დაისიზმრე შენი არყოფნა.
შენივე თავი არყოფნაში კარგად ამყოფე.
სავსეა ეზო. მიმოზები უმზერენ ტირიფს...

ხანდახან დღეებმა პურივით იციან დაობება.
სიგრძე აქვთ იმხელა. რა გითხრა. ბაობაბის.
აუტანელია ამგვარი დღეების სიმძალე.
ჯანდაბას, რაც იყო, გათავდა. მიძალდა.
ჩვენ ვერ ამოვაშრეთ ხსოვნის ჭაობები.
თვალები დახუჭე. იქნება წყვილია განათდეს.
შენი მიოზია ტყუილია. გუშინ მიღებული ბარათიც,
რომ ჩემი ნასელიდან მოსვლას დარაჯობდი,
რომ არ დაუფეროხავთ მტვერი ყაყაჩოებს,
რომელსაც ჩათვლემოდ ჰიზნოსს ვპარავდი.
დროა, მიუტევე. იმანაც. დროა ასეთიც. მიატოვე.
იყოს იანვარი. ახალ ბალი მიედნისა. მადა თოვლის.
ენა გამოუყო ფანტელებს. ცვიოდეს ფენტანილი.
ილოცე. იბუტბუტე. და სამი მცირე მეტანია.
ერთიც დიდი. თვალები დახუჭე. მადათოვთან.

თუ დამიჯერებ, ბოლოს ყველანი
ჩვენივე თავის სიზმრად ვიქცევით,
კონკრეტითა და მრუმე ნიღბებით,
ათასი კოჭლი, ყრუ და ელამი.
დაკარგავს გემოს ყველი. ინდიკა.
თეთრი ქვრივი და ლურჯი სიზმარი.
ალბათ, ოდესმე გამოვიზამთრებთ
და შუამთიდან ოქროშინდა კი
დაკრიფე ისე რიდით და კრძალვით,
თითქოს პეპელას ფრთებზე ეხები,
თითქოს კლდეებზე გაჩნდა ეხები,
რალაც უცნაურ, უხილავ ძალით.

თუ ნაიმღერებ გულში მაყრულსაც,
სანამ აგვესო უბე შინდებით.
ნუ შეშინდები.
ნუ შეშინდები.
ნუ შეშინდები,
მაგრამ თვალ-ყური
ადევნე ჯირკთან მძინარე ქოფაკს,
ხანდახან, დღისით თვალებს მილულავს.
სიზმრებით ასე რომ მოხიბლულა,
ძილში არ ახსოვს ძალღური ყოფა.
გადავა მზე და მოსვლამდე მწუხრის
ისწავლი ყველა კარნახის წერას.
გაეღვიძება ქოფაკს თუ მწვევარს.
ჩამოიბერტყავ იმდენხანს მუხლებს,
შინისკენ ნახვალ ამაყად. გზნებით.
ოქროშინდებით სავსე პერანგით.
თუ დამიჯერებ, ბოლოს ყველანი
სიზმრებად ანდა გზებად ვიქცევით...

შეხედე, თუ როგორ ცვივიან თუთები
ნიავის უბრალო, უმნიველო შეხებით,
იფიქრე იმაზე, რომ ველარ შეხვდებით,
ველარ ვიკამათებთ, არც დასაბუთება
მოგვიწევს რაიმის, არადა გვიწევდა,
აბეზარ ბავშვებსაც მოგვაგვით ხანდახან,
თუ გახსოვს იენისი და ოქროს ჩარდახი
ან ჩვენი წითელი, აყალო მინები?
ახლა კი სახლები სიზმრებად გადიქცენ,
სიზმრებად გადიქცენ შავ-შავი თუთებიც,
მეზობლის ბალიდან გოგრა ბლის ქურდობა,
მეზობლის ბალიდან გაქუსვლა სახლისკენ.
შუადღეს მდინარე. რიყეზე ქოთქოთი.
რა ფეხზე გვეკიდა ნიცმე და ფროიდი.
არ გვექონდა კოდაკი ან პოლაროიდი.
ბავშვობა – შემკული ფერადი ფოტოთი.
არც მობილურიდან ვგზავნიდით მესიჯებს,
ხშირადაც უსიტყვოდ ერთერთი გვიყვარდა,
მერე ცაცხვებიდან დაფრთხობა ჭილყავთა
და სეტყვის ყინულთა მარცვლების მეჯლისი.
ჩვენც გამოგვაძვევს ბავშვობის ზღაპრიდან,
მახსოვს, უკითხავად დიდები დაგვარქვეს,
რა ძნელი ყოფილა, იმ დღეთა დაკარგვა.
გაფრინდნენ...

მეძავი

ოდესღაც მიყვარდა. ამ ხელებს-უტიფართ,
საჭრეთლით ჭადარზე სახელი უტიფრავთ.
არ მსურდა, ვინმესთვის სახელის გამხელა.
ათასჯერ გავხელდი.
ვინ იცის, იქნება, ტიროდა ჭადარი?
ვინ იცის, იქნება, ჭადარსაც სტკიოდა?
ტყე იყო მეჩხერი. რუები – პატარა.
რუხი მიკიოტი.
არ მქონდა სახელის გამხელის უფლება.
დავმარხე ხსოვნაში შეხვედრა მეძავთან.
და ინგნენ ორსული ქალივით ღრუბლები.
არავის ვეძახდი.
წავშალე სახე და თითები. ქერა თმა.
ამბორი. ტუჩები – მოთხვრილი პინოთი.
დავმარხე ხსოვნაში. სახელი ვერ დავთმე.
ჭადარი ტიროდა.
და ინგნენ ორსული ქალივით ღრუბლები.

ჭადარზე დაეტოვე სახელი. ტვიფარი.
არ მქონდა სახელის გამხელის უფლება.
ოდესღაც მიყვარდა.

სხვისი თხა სხვის ბაღში მღეროდა „ოდელიას“,
სხვის ბაღში კენჭებს რომ ვისროდი,
საკუთარ ბავშვობას ვძერწავდი კლოდელივით,
ხელში შურდულით ან ფიშტოთი.
ბუხარში თუხთუხებდა ქვაბი – სამურაბე,
შინდი იცლებოდა სისხლისგან,
ცალ ფეხზე მეკიდა მარდუქი. სამურაბი.
თვალებს მთელი ძალით ვისრესდი,
ხოლო თვალებიდან მოჩანდა წინა ლამის
ჭიაკოკონა და კოცონი.
მომწონდა. ვაკოცე კინალამაც
გოგონას, რომელიც მორცხვობდა.
ბავშვობა, თვალსა და ხელს შუა,
ცვილის სანთელივით გაილია,
მახსოვდა ბორჯომი. ბეშუმი.
მახსოვს ქანაანი. გალილეა.
დღეებიც უპირობოდ დავიხსომე,
ჩემი უდარდელი ბავშვობის.
მახსოვს აერების პალინდრომიც,
ახლა სიბერეა. გამოშრა
ტვინი – მოგონების სისველიდან.
წავშალე თებერვლის ნარატივი.
ადრეულ გაზაფხულს მივეკედლე
და ბუდის ჩამოშლა გაპატიე.
მერცხლებიც უკან მოვიყოლე,
დამირჩა არაფრის არაქათი.
ცა კი – ვარსკვლავების პოლიგონი,
ვერავის თვალებში გადავხატე.
სხვისი თხა სხვის ბაღში მღეროდა „ოდელიას“,
ბუხარში თუხთუხებდა ქვაბი – სამურაბე.
ცალ ფეხზე მეკიდა მარდუქი. სამურაბი.
საკუთარ ბავშვობას ვძერწავდი კლოდელივით.

რა სიმშვიდეა სიტყვებს მიღმა. მარადიული
ქალაქის ცენტრში სადგურია. ხალხი. ბაქანი.
მატარებელიც მალე გავა – თეთრი მაქმანი
და სალამომდე დღე იქცევა ნარატივებად.
შემოდგომაა. ყანჩელია. სრული სიყვითლე.
თბილისში. რომში. ახლა უკვე – ფროსინონემდე.
და მერე უკან. რომისაკენ. მშვიდად. მომენდე.
მე არსად წავალ. გამგზავრება გადავიფიქრე.
გნერ და ფანჯრიდან ირხევიან მწვანე ნაძვები.
თითქოს წინებში იმაღავენ უძარღვო ფოთლებს –
ცრუ აკაციის. ხმელი არყის, ნაძვი რომ მორთო
საყურეებით. შეეფაკლა ნაძვებს-ლანგები.
მარტო ვარ, ისევ თავს ვიმშვიდებ, ხვედერი ალბათ,
გყავდეს ათასი მეგობარი და იყო მარტო.
ამოვალაგე ჩრჩილის საზრდოდ ნაგდები მანტო.
მიმე საბანი – დათბილული მსუბუქი ბამბით.
ღვინობისთვის დადნასულ კანაფს ვეწევი.
ვერ მივატოვე. არც მიცდია. ვის რას ვუშავებ?
არ გამოდგება არასოდეს ჩემგან გუშავი,
ვერძნობ, აივანიც თავისთავად როგორ ირწევა.
რა სიმშვიდეა რწევის მიღმა. მარადიული
ქალაქის ცენტრში სადგურია. ხალხი. ბაქანი.
მატარებელიც მალე გავ – თეთრი მაქმანი
და სალამომდე დღე იქცევა ნარატივებად.



ნანა ცაქალაშვილი

დაიბადა 1956 წლის 9
ოქტომბერს თელავში.

სწავლობდა თელავის ვა-
ჟა-ფშაველას სახ. პირველ
საშუალო სკოლაში.

1978 წელს დაამთავრა
ი. ჭავჭავაძის სახ. უცხოურ
ენათა ინსტიტუტი ინგლისურ-
რი ენისა და ლიტერატურის
განხრით.

უზომოდ უყვარდა ლიტერ-
ატურა, ბევრს კითხულობდა
(ინგლისურ და გერმანულ
ავტორებს, თუმცა ქართული
მწერლობისთვის არასოდეს
უღალატია), ამბობდა, რომ
ლიტერატურა არის „კაცო-
ბრიობის გამოცდილების სკი-
ვრი“ და „მესაძლო სინამდვი-
ლის მოდელი“;

პოეტისათვის საპროგრამო
დ მიანდა ჰუგო ფონ პოფ-
მანსტალის (1874-1929) მესამე
ტერცინის დამასრულებელი
სტრიქონი: „სამს ვჭვრეტ ერ-
თარსად: ადამიანს, საგანს,
ზმანებას“, რაც იკითხება
კიდევ მის ლექსებში (კ.ზ.
გამსახურდიას ეს თარგმანი
მას მხოლოდ 2002 წელს წა-

მოენია). კითხვასთან ერთად
უყვარდა მუსიკა, აქვს საკუ-
თარ ლექსებზე შექმნილი რამ-
დენიმე სიმღერა, ასრულებდა
თავად საკუთარი აკომპანე-
მენტით ფორტეპიანოზე.

ერთხანს (საკვალიფი-
კაციო ნაშრომის მიზნით)
მუშაობდა ბალადის ჟანრის
სპეციფიკაზე ქართულ, ინ-
გლისურ და გერმანულ ლიტერ-
ატურაში, რომელიც სუსტი
ჯანმრთელობის გამო მხო-
ლოდ ფრაგმენტული სახით
დარჩა. ამის გამო არც პერ-
მანენტულად უმუშავია ერთ
ადგილზე. გარდაიცვალა 2012
წელს ფილტვების სისუსტით.

წერა დაიწყო შედარებით
გვიან, 80-იან წლებში. იყო
საკმაოდ კრიტიკული საკუ-
თარი შემოქმედების მიმართ,
თორემ დარჩენილი პოეტურ-
რი მემკვიდრეობა შეიძლება
სამმაგიც ყოფილიყო. ქვეყ-
ნდებოდა გაზეთებში; გან-
საკუთრებით ეამაყებოდა
პუბლიკაცია „ლიტერატურულ
საქართველოში“, რომელიც
ქართული მწერლობის სახედ
მიანდა.

გამოქვეყნებული აქვს
პოეტური კრებულები: „ფი-
ქრი ფიქრს აპყვა“ (2001) და
„ვარდისფერი წუთი“ (2008).
ჰქონდა დადებითი გამოხ-
მაურებები და შეფასებითი
პუბლიკაციები.

როგორც პიროვნება, იყო
უაღრესად ფაქიზი განცდე-
ბისა და მოყვასისადმი გაუ-
ლისხმიერებით განმსჭვალუ-
ლი ადამიანი.

იქორწინა 1976 წელს.

გარდაიცვალა 2012 წელს.
დარჩა ორი ქალიშვილი: ია
– პროფესიით გერმანისტი და
ანა – საერთაშორისო კულ-
ტურული ურთიერთობების
სპეციალისტი.

დანარჩენს ლექსები თა-
ვად იტყვიან.

რ ა ს ა რ ი ბ ა

მოვლენილი ვარ ოქტომბრის თვეში,
გამზნარ ფოთოლთა მოთქმა-ტირილში,
როცა ივსება მინა ცრემლებით,
როცა ცა ტირის...

სწორედ ამ თვეში ძარცვავენ ბაღებს,
ხასხასა ველი გაფერმკრთალდება,
მოეძალება ქარიშხალს გზნება,
ავი ზმანება ეულად შთენის,
თითქოს, ერთბაშად დაიხატება...
და როგორც ღამის ჩუმად მოპარვა,
შიშველ-ტიტველნი რჩებიან ტყენი...
ჰოი, ბუნება წამით თვალს ხუჭავს,
მე კი მოვედი, მე კი მოვედი...
ზამთარგამოვიღე ხის აფეთქებას,
თეთრ იასამნებს დაველოდები.

ნ ო ბ ა თ ი

მე ქუჩიდან
მაისი გამოვიყოლე ვარდის სიდიადით,
როცა ხელში
ნაირფერი კოკორი გიჭირავს და
მინა თავს ხრის შემოქმედის გონით,
რადგან ვარდებთან ერთად
სიყვარულს გთავაზობს, რომელსაც
უკიდევანო სურვილი ჩასახლება და
არყოფნის გამოწვევას ებრძვის...
სარკოფაგის კედლებმა თავი ჩამოიხსნეს
და მთელი ქუჩა გამოჩნდა –
როგორ მომქონდა მაისის შუადღე
შენთან, მამა...

ამ წითელს ცეცხლის გზნება მოჰყვება,
ვარდისფერი
უკიდევანო სიამეში გადაკარგვა,
თეთრი – სტერილური სრულყოფილება,
ყვითელი ტონი ჭენობის უღელში
თაფლის სიტკბოს ჩატევა და
ყველა ფერთან ერთად
დიდი შემოქმედის –
მინის უსასყიდლო ნობათია,
მხოლოდ შენთვის, მამა!

ვ ა რ ი ს ი ს თ ე რ ი წ უ თ ი ბ ი ს ო ქ ი

უჩინარ ქუჩებში, უჩინარ ნაბიჯით
დადიან სულები.
ციმციმით ხატავენ ზეცას,
სადაც ვარსკვლავები ფიფქივით დნება.
თვითონ მუსიკა დგას ყველა ჭიშკართან,
ვიცნობ მე ყველას, მიცნობს მე ყველა.
აქ აშენდება ცისფერი სასახლე,
ვარდების, ასტრების სავანე.
ფარდები ნიათთან ჩურჩულს ბედავენ,
ოცნებებს ქარგავენ.
აქ ყველა ჩაივლის, ვინც კი გენატრება,
ნოტებს გადაშლის მოცარტის ნება.
თითქოს ანთია სანთლის იდილით
რალაც უჩვეულო, მაგრამ შენეული.

ვ ა რ ი ს ი ს თ ე რ ი წ უ თ ი

ბავშვობაში,
როცა პატარა ქალაქი უსაზღვრო გგონია და
პაპანაქებაში
ყინულის ლოლუა გიჭირავს ხელში –
უდარდებლობის ხიბლი რომ ახლავს, –
შორიდან გეჩურჩულებიან,
ამ ქალაქს დიდი თვალეები და ყურები აქვსო.
მაგრამ ყველას შეცდომას თვითონვე ყლაპავს და
დაუსრულებლად გელაპარაკება, რომ მთების მიღმა
კიდევ ქალაქია – უკვდავების პირმშო!
ჩვენი მხრიდან კი პირტიტველა ბიჭი წასულა
ზღაპრის სინამდვილიდან და
ისმის მოლოდინის სუნთქვა,
როცა ყვავილებში ჩაიშლება ფიფქის რაფსოდია,
როცა ბუნება მზეს გაურინდდება საღამოს მოლოდინში,
როცა შემოდგომა დაბაიჯებს ჯადოსნური ფუნჯით...
ქალაქის კალთას თუ ჩამოშორდები,
შენც მთებისაკენ აიღე გეზი;
ოცნება აფრასავით გაშალე და
იმდენი იარე,
ნატერფალეებში უცხო ყვავილები ჩნდებოდეს...
მხრები არ დაიზიანო,
იარე და ამბავი მიიტანე,
რომ ატმის ყვავილობას
სილამაზის ეგოიზმი კი არ შესჩენია,
ვარდისფერის ჯადოსნურ ემბაზში
თავის დახრჩობის სურვილი კლავს.
მაგრამ ყველაფერი მინის ხახისაკენ ისე მიისწრაფვის,
თვალს ვერ შეავლებ...
მე კი წუთი მიჭირავს ხელში,
რომელსაც ვარდისფერ ბურუსში
თავის დახრჩობა ჰქვია და
სულაც არ ჰგავს იმ თვითმკვლელობას,
ბუნების შვილი ბუნებას რომ ჩაბარდები...
ეს წუთი სილამაზის ზეიშია,
სადაც გადაკარგვით რომ იმუქრება,
ეს სადაც – ოცნების ქალაქია და
მიმაქვს მუჭით
ვარდისფერი წუთი თეთრ ქალაქში,
თურმე უკვდავების ქალაქიც შეიძლება დაამშვენო.

მ ა გ ი ა

ჩვენ ისე ვსხდებით პირისპირ,
თითქოს მაგიური სიტყვის ჯადოქრებმა
რიტუალი უნდა შევასრულოთ
და დალილი ცხოვრება
სასთუმალზე წამოვანვიწით...
როცა ქალაქის სახე
ტალღების ხმაურში ირეცხება და
ერთადერთი თევზი,
ხელში რომ უნდა მოიგდო –
ოქროსია!
სურვილს სიხარბის სუნი არ უდის
და გადარჩენის ფასი
პურის გემო კი არა,
თვალეების უხორცობის განცდაა;
როცა ჩვენ ორნი
ვინმე მესამეს
პიროვნულობას კი არ ვუნუნებთ,
აზრს სიცხადისთვის ერთმანეთში ვახმაურებთ,
რომელიც სასთუმალზე წამოქცეულ
ცხოვრებაზე ჩივის,
ყველა დანარჩენი მეგობრის სახიდან კი
მისი იარები იკრიფება...
მე მიხარია, რომ ჩვენ
სისინა ენებს კი არ ვაყოლებთ
ცხოვრების რიტმს,
მისი საიდუმლო ბორკილების ახსნას
კეთილი სიტყვის
მაგიურობის იმედად ვტოვებთ
და ვსხდებით პირისპირ,
რიტუალის შესასრულებლად.
ვით ჯადოქრები.

შენ გიჭირს ხევების ამოხსება,
სადაც სახლები
თავქვემ მკლავებს ამოინყოფენ
და მზის გულზე
შენს ბავშვობას გაატარებენ,
საკუთარი ტანიდან
მომავლის საყდარი რომ ამოჰყავს...
სადაც ნაოჭები
ფიქრის ომთან მორკინალის
ჯილდოა უფრო,
ვიდრე სახე-ელფერის
დამალვის აუცილებლობა;
სადაც ობობასავით არ იკეტები,
კედლებს
სარკოფაგის სუნი არ უდის
და ზედაპირზე
მარაოსავით გაშლილი წარსული ჰკივია,
რომელსაც ძუნნი,
გრძნობადაცლილი წუთის დროს
ხელში იჭერ, ვით ქალბატონი
და სულის ხუთვას
მარტის სინოტივიდან
იების წყებას მიაყრი,
რათა არსებობიდან
არც ერთი ნაბი არ ამოგიგორდეს,
მავანის გრძნობის რეცეპტორებს
აუად რომ გააღიზიანებს და
შენს უსუსურობას
ხალხმრავალ მოედანზე
დროშასავით გამოჰვენს.

გ ა რ ი ს ა მ ო ს ნ ა

ჟანგი მოედო სიმარტოვეს...
დროზე მოხვედი, დროზე მიშველე,
ვანგოგისულ მზესუმზირების ფერად ანთე
კვლავ ჩემი სული.
გადავრჩით ერთად, მეც,
მოგონებებით დატვირთული,
ეს მოჭრიტინე ძველი აკვანიც...
ფიქრი ფიქრს აპყვა,
კვლავ შევეჭიდე გოლიათ მიზანს,
ოცნებასავით გალურსული ზეცაც შევნიშნე.
მე მიხარია გაცოცხლება,
უკვდავების წყაროსავით მოვლენილი
შენი სულისგან.

ჩ ი რ ყ ა რ ი

რამდენ ხანს მატრიალა თერძმა სარკეებთან,
თანდათან ნაოჭებს ასწორებდა;
ყელიდან მკერდამდე, წელიდან ტერფამდე,
მხოლოდ სილამაზე აბოდებდა.

ბუმბულის ვარდით საყელოს მიეახლა,
როგორც ესპანელი დონ ჟუანი.
კედელზე მიყრდნობილს გამეღიმა,
შევიცან კაბაში გულთმისანი:

ახლა აპყვები ფიქრებს ნატყვიარს,
გინდა დაიბრუნო წლები;
ჩიტის ჭრელა-ჭრულა აღარ მოგიხდება,
შენ უკვე ხავერდების ხდები.

მოართვით ქალბატონს ფინჯანი ყავა,
უბრძანა ოსტატმა შეგირდს.
დილა იხრჩობდა თავს შუადღეში,
ის ჰგავდა შეშლილს.

ჩ ა შ ე ნ ი ბ რ ა ლ ი ა ? !

რა შენი ბრალია,
ბავშვობაში პეპლებით სავსე ტომარა თუ შეგადგეს
ზურგზე,
ან თავშესაფარს თვალის ფერადისგან ჭერი თუ
გაუცისფრდა?!

აქ ღამე სარკმელს ტყუილად ეხლება,
მუცელი ვერ შემოხნიქა და ბოროტი ბაგეებიდან
სცრის ათას სისაძაგლეს ვინმე მეჭორიკნესთან ერთად!
...მხოლოდ ერთი კაცი,
რომელმაც ცის სიმძიმე ნატიფი მხრებით აზიდა,
პეპლების ტომარას გისწორებს...
თითებს ცისა და ვარსკვლავების სურნელი აქვს,
ეს ისეთივე უჩვეულოა, როგორც – ფრთების ამოსვლა!
უსაყრდენოდ დგომას შენი გრძნობის უჯრედები
დიდი ხანია მიეჩვივნენ,
სხვას კი ერთბაშად დაუგლეჯდა ყველა ნერვს.
რა შენი ბრალია,
სიმარტოვეში სისრულის პოვნა თუ ძალგდის,
რა შენი ბრალია?!

ეპოქასთან ერთად დაბადებული

რეზო აღამიას ხანის „კონსტანტინე“ პრაქტიკაშია მიცნობისათა აკადემიური

ეპოქასთან ერთად ვიბადებოდა და ეპოქასთან ერთად ვტოვებოდა არენას. ჩვენმა მომავალი და წარსული ანმეოს შესაქმნელად და სწორად თუ არ გამოვიყენეთ მათი მიზანსწრაფვა, ვერ ვიარსებოდა ეპოქის გასაგრძელებლად.

განსაზღვრული სიბრძნე თავიდანვე, დაბადებიდანვე ეძლევა თითოეულ ადამიანს ღვთისგან და ერთეულები თუ ამჟღავნებენ ნიჭიერებას. ფსიქოლოგიური სტანდარტები ყველა სუბიექტის აღზრდაში ვერ მიდის მისი ნებელობის სრულ განვითარებამდე და ზოგჯერ მიუღწეველია ნიჭის განვითარება.

აზროვნება, უმეტეს შემთხვევაში პერიფერიული ხასიათისა და ყველა მიმართულებით ერთნაირად არ ვრცელდება. სწორედ აქ ხდება იმ ძირითადი ხაზის არჩევა, რომელიც ინდივიდისათვის უფრო საინტერესო, მისაწვდომი და, ასე განსაჯეთ, ორგანულად შეინარჩუნებული მის ბუნებასთან. სწორედ ეს თვისება გამოარჩევს მას, სხვა თვისება – მიმართულებისაგან და ეს არის სწორედ ბუნებრივი ნიჭი, წარმოდგენილი თავისი სიახლით.

„ყველა ნიჭიერი ადამიანი სტიქიური გამოთხატვისა შინაგანი ბუნებისა, მან არ იცის, რა უნდა და ავლენს ძალას: ყვირის, ბრაზდება, იბუტება, ირინდება, ტოვებს მეგობრებს, მარტოობას ეძლევა, თუმცა არც ერთი ეს თვისება მისთვის დამაკმაყოფილებელი არ არის და სიმშვიდე ვერსად ჰპოვებს. დაისმის კითხვა: – რატომ ვერ ხვდება ასეთ მდგომარეობაში პიროვნება თავის დამაკმაყოფილებელ სურვილს? – სუბიექტური მორალი უფლებას არ გვაძლევს, ექსპერიმენტების გარეშე ჩავეძიოთ ობიექტის აზრს თითოეულ გამოვლენებაზე“ (ქედაგოვი გრიგოლ დათაიანი). მოკლედ კი შეიძლება ვთქვათ: „ვერ ხვდება, იმიტომ კი არა, რომ არ იცის, რა უნდა, არამედ იმიტომ, რომ აკლია ის ცოდნა, რომლითაც მიიღწევა ამა თუ იმ სურვილის დამაკმაყოფილებელი ატრიბუტის მოძიება – ხომ გაგიგონათ: ნეტავ, რა დავაშავე ასეთი, რატომ ვისჯებით. სწორედ ამიტომაც სახარება სავე ბრძნული აზრებით: „გამოიძიე ღმერთი და მიხვდები, ვინ ხარ, რა გსურს, ან რა უნდა აკეთო“-ო... რატომ არის რომ არ ვქრებით? – ყველა მისი ნამოღვაწით იკავებს ადგილს სამყაროში და გამოსცემს იმ სხივს, რისთვისაც დახარჯა სიცოცხლე.

აზროვნებამ, ნებელობამ და დიდმა შრომამ შექმნა სამყარო. სწორედ ამიტომ მსოფლიო გონის მატარებელ პიროვნებებს ხშირად უცნაურობები ახასიათებთ, რაც წმინდა ეროვნული სიმტკიცის და სწორუპოვრობის გამოვლენაა.

პროვინციიდან ახალწამოსულმა ტროლეიბუსიდან თვალი მოგკარი „ტყავის ჯუბანით, კრაველის ბოხობითა და გალიფე-აზიციკებით“ შემოსილ, ქუჩაში ძველი გიმნაზიის წინ, რუსთაველზე მოსიარულე „მწყემსს...“ და მართლაც (ასე მგონია) „მწყემსს“ იმდროინდელი საქართველოს (რომელმაც სამშობლოს ტყვიანობით იცხოვრა მისი კეთილი მომავლის მოლოდინში) და რადგან იმ პერიოდისათვის უცხოური დედეგაციები ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისში, ვიფიქრე, ალბათ რუმინელი ან მოლდაველი მოცეკვავე-მეთქი, მაგრამ მაინც ეჭვით ვუყურებდი ამ უნებლიე შემთხვევას.

სხვა დროს ჩოხაში გამოჩენილი მე-19 საუკუნის არისტოკრატიის დიდებულებით ვიხილე კვლავ რუსთაველზე და ვკითხე, ნეტავ, ვინაა ეს კაცი-მეთქი. ეგ, შვილო,

კონსტანტინე გამსახურდია, ქართველი მწერალი. – მიპასუხა ხან-შიშესულმა კაცმა. – რა კონტა ხანდაზმულია, – მიუგო და გამახსენდა: მისი „დავით აღმაშენებელი“ – მოსწავლეობისას ნაკითხული ტეტრალოგია. ეს იყო ჩემთვის პირველი და დაუმთავრებელი ცხოვრების წიგნი, თავისი შესანიშნავი მსოფლიო მნიშვნელობის ღირებულებებით. მეორე იმიტომ, რომ რომანი „დავით აღმაშენებელი“ კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც ღრმად მოაზროვნე მწერლის სამშობლოს – საქართველოს გამოხატულებაა მსოფლიო სამწერლო არენაზე...

სწორედ კ. გამსახურდიას „გოეტეს ცხოვრების რომანი“ მომცა სტიმული, გაცნობილი იოჰან ვოლფგანგ გოეთეს შემოქმედებას, „ფაუსტს“, რომელმაც ერთგვარად შემაცვლევინა წარმოდგენა ცხოვრებაზე. კ. გამსახურდიას „დიდოსტატის – კონსტანტინეს მარჯვენა“ ხომ კულმინაციაა მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის აღმაშენებელი წარდგინებისა მსოფლიოს კლასიკური ლიტერატურის ასპარეზზე, რომელმაც დღევანდელი ქართული მწერლობა ასურგად გააბრწყინა პროზაიკოსისა და მხატვრის რეზო აღამიას ესეთი „კონსტანტინე“, რომელმაც კონსტანტინე მწერლის სულის შთაგონება, როგორც კოსმიური ტრიუმფატორი, მისი ნიჭისა და დაუღალავი შრომის პერიპეტები იმ ქვეყანაში, სადაც მზის ამოსვლას დიდი ელემენტით და სიყვარულით ელიან, როგორც ახალშობილის მოვლანს თვითონ რ. აღამიას რომანის „მზე“ გმირები და მისმა „დაგვიანებამ“ რამდენიმე საათით, ქართული მწერლობაც შეძრა, – კლასიკოს მწერალს დრტივით აღმოხდა: „როგორ ირწევოდა ხომალდი...“

ეს მოვლენა ერთი დიდი ეროვნული ნამებაა, რომელსაც მწერალმა რ. მიშველაძემ ახლახან უძღვნა რომანი „ნამება“. რ. აღამიას რომანის „მზე“ ნაკითხვით შემცბარი და ერთდროულად მზის ამოსვლით იმედმოცემული უცნაურ ფიქრთა გარემოცვაში აღმოვჩნდი. ერთსა და იმავე დროში შეძრწუნებული და სიხარულით აღსავსე ღმერთს ვევედრებოდი, არ წასულიყო ჩემი ცნობიერებიდან და მშვიდობა მოეტანა ამქვეყნად ყველა სულიერისათვის, რადგან მისგან და მისით მხოლოდ სიცოცხლე მხოლოდ და მხოლოდ მისივე მონიჭებული სიყვარულისთვის გვეძღვნა. გვისამოვნებოდა ჩვენც და გვესამოვნებინა სამყაროც – ჩვენი მომშენებელი ამ სოფლად... მაგრამ სწორედ სოფელია მუხთალი, რომელიც განგვაცდევინებს ცხოვრების მანძილზე სხვადასხვა ფორმით უსახავა დადიანებს მათ სულიერ თუ ხორციელ ცხოვრებას.

გავისხენით მინოსური ყოფა კუნძულს; კრეტაზე. თუმცა, მთლიანად არ არის გაშიფრული დღესდღეობით „ფესტოსის დისკო“, მაგრამ, ცხადია, იყო პერიოდი სამყაროში სულთა – არსებათა თავისუფალი აზროვნების, სიყვარულის და მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანობისა, განა მაშინ არ

არსებობდა იარაღი? – (წინარე პალეოლითური ხანა) – არსებათა განვითარების ხანა, მაშინ ბუნებრიობასთან შეხამებულ-შეთანხმებული ჰარმონიით ხორციელდებოდა და ისიც საკმარისია, რომ ამ ხანას, შეუდარებელი ფსიქოლოგიური განვითარებისა, სრულფასოვნება ექნებოდა, რაც მათ კულტურასა და ყოველდღიურ არსებობაში აიხსნებოდა.

ფანტაზიური, მაგრამ რეალობას მიახლოებული რ. აღამიას რომანი „მზე“ მისივე ახალი ვრცელი ესეის „კონსტანტინეს“ საფუძველია. ის არის მანათობელი საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, ქართული სიტყვის დიდოსტატის, კონსტანტინე გამსახურდიასი, როგორც ერის თავდაუზოგავი გულშემატკივარისა, მოსიყვარულე ცხოველი გულით, რომელსაც ვერ წარმოუდგენია ერის გარეშე ცხოვრება; განა რად ღირს მისი პასუხი უცხოელთათვის: „ყველა ქართველს თავადური აზროვნება აქვს“-ო. მას უყვარდა, პატივს სცემდა და თავისზე მაღლა კი არა, რომ შეძლებოდა, და გულშიც კი, თავის ერს სხვაზე მაღლა დააყენებდა, თუ რატომ? – ეს „ფესტოსის დისკომ“ ახსნა დღეს.

ესეის ნამძღვარებული აქვს დიონისეს გრაგიურული ნახატი, რაც ავტორის მოკრძალებულ სიყვარულს გამოხატავს კონსტანტინეს პიროვნებისადმი და თვით კონსტანტინეს დამოკიდებულებას („დიონისეს ღიმილი“) სამყაროს სიცოცხლისუნარიანობის განვითარებისადმი. უჭკვიანესმა მხატვარმა დიდი შთაგონებით შექმნა შთაბეჭქვადი ეტიუდები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით და პირად ცხოვრებაზე.

საინტერესოა აკადემიკოს რ. აღამიას სამუშაო პროცესში ყოფილი დროს „კოლხური კომპი“ ეზოში: „იგავიშენდომელი სიყვარული დიდი მწერლისა რ. აღამიამ ზეციური სივრცის იდუმალეზიდან მოიძია. კოლხურ კომპი მოწინებით მდაბლად, თრთოლით მიუახლოვდა ბებერ კაკლის ხეს, ქვეშ საეტიუდე გამართა და... მზის სხივით შემკულ ეზოში, შვილის მშვიდ, გარინდებულ მზერაში, რომელიც ტატნობზე აელვარებული მზის სიღრმისეულ ლაჟვარდს თავისუფლების ფრთხილი სიმინდით ერთვოდა, ხატვა დაიწყო... მან უკვე იცოდა, რას აკეთებდა, მთელი სამყარო მის აზროვნებაში მიიღტეოდა სიძველიდან სიახლისკენ და ქმნიდა უსასრულო პიქტოგრაფიულ, თუ უფრო უცნაურ გამოსახულებებს და მხატვრის ტვინს კარნახობდა: „თანამედროვე, უსასრულოდ დიდი ხელოვნება მხოლოდ ველური არქიზმიდან იშვა...“

ფუნჯი ათრთოლდა მის ხელში სიხარულისაგან „მიუნჯდომელის მიახლებისა“, როცა გაიზრა: „კონსტანტინე ბატონმა მიწიერი და პლანეტარული ბოპოქარი აზროვნება ურთიერთში იშვით საკვირველი მხატვრულ-ლიტერატურულ ფორმა-სტილად შეადუღა“ და 1921 წელს საქართველოს დაპყრობით გამოწვეული „განცდები და სულიერი ნამება ასახა“ დიდი კონსტანტინეს სახეზე (სურ. 1, გვ. 37).

დიდ კონსტანტინეში არსებული „რადღე უცხო არომატულ-დინამიურ გრძობათ სულიერი კრძალვის მთლიან მალალმხატვრულ და წინასწარგამიზნულ არქაულად მოორნამენტებული, თითქოსდა

კოლხურ-ქართულ ისტორიულ ათასწლეულებივით იკითხება და ისევე უხილავ ფორმად ხატვით გრძობა – უმდიდრეს გემოვნებით სახე – საკვირველებად გვეცხადება, რომელიც პროზაული უდიდესი სიახლე ხელოვნების უკვდავ ნიმუშს ექსპონატად მოგვეწოდება, რითაც, თითქოსდა უმშვენიერესი, მკაფიო, კეთილი, მრავალფერადი ვარსკვლავთ ლალი გადაადგილებივითაა უზღვევრ დაუფერებელი. უწინარი აზრით იდუმალეზის მენხარი გახლდათ, რის გამო ამაყი იყო ურყევ-მართალი“ (სურ. 2, გვ. 53).

რომან „მთვარის მოტაცებაში“ მარად ცოცხალი თარამ ემხვარი და თამარ შერვაშიძე, ათასწლეული წლების ხმებია კოლხურ-იბერიული და უკვდავი სულ-სხეულია ქვეყნის წარსული-მომავლისა. უხსოვარ დროინდელი ძველ აფხაზურ-ქართული, რომლის ყოვლისშემძლე მავსტრო – ალალ უფალია თავად შემოქმედი, რომლის ბრწყინვალე როლს ასრულებს მხოლოდ კონსტანტინე ბატონი:

„მთვარე მიცურავდა გასარკულ წყლის პირზე, გაშალა მკლავები ემხვარმა, მოსტაცა თვალი მოვარვარე დისკომ მთვარისამ, თითქოს უფსკრულეთს დარჩენოდა ცეცხლემბგზნებარე ცალი თვალი და მოყვა მთვარეს ცნობანართმეული ციურთვი, მაგრამ იძალა ისევე ენგურმა, იბურთავა მთვარე, გამოსტაცა ქანცმილულ მცურავს და გააქანა უფსკერო შავეთში...“ ტანჯული ერი, მიზნებ-სავსეობა და მორეული ხედეა“. (სურ. 3, გვ. 71).

ქართული მძაფრი, შორს გამავალი, უხსოვარდროინდელი მიზნური მისტიკა აწვალებდა ჯანსაღი შემოქმედის სანმისისეულ ღრმად-სევდიან სულს, რომელიც ძალიან ძლიერი იდუმალი კოსმიური მოძრაობა იყო მხატვრობა-ლიტერატურული გონ-გენისა, რასაც ასე ჩაუფიქრებია გენიალური კონსტანტინე ბატონი და დუმლიში სჯის სამშობლო მიწის მომავალს“ (სურ. 4, გვ 119).

„მკვეთრად წარბაცყორცნილმა მერამდენედ მკვირცხლ-მკვეთრი შვირით გადმომხედა სიცოცხლემივე ლეგენდა-მითოლოგიურმა მწერალმა და მეუბნება: თუ გინდა, ჩემს ფერწერულ პორტრეტზე მუშაობისას ფოტოებით ისარგებლე, ყმანვილო!...“ ზეციურ ელვა-მეხად დამატყდა იდუმალ-ურთულესი მასპინძლის მოულოდნელი წინადადება და სამინელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ჩავევარდი... აკადემიამ აგვიკრძალა ფოტოებიდან ხატვა, ბატონო!.. უუპასუხე და ბინდისფერი განწყობილება სევედად ჩანვა სახეზე“ (სურ. 5, „ბრძოლა და ბრწყინვალე გამარჯვება“).

კონსტანტინე ბატონმა თავისი მინიერ-კოსმოგენური მშფოთვარე ცხოვრებიდან გამომდინარე, კარგად იცოდა, ვინც იყო, რომ, მრავალმხრივ უხვთვისებაანი ხელოვანი გახლდათ გარემოსგან ტანჯული; ამავე დროს ამაყ, უდრეკმა მებრძოლმა მრავალგზის ეცადა, დაეთრუნა ირგვლივ მოქმედი ბოროტ-დემონური უზნეო ძალები, რათა მშვიდად ემოღვანა, მაგრამ, ვერა!

იშვითაობაა მსოფლიო პროზაში მხოლოდ კონსტანტინესეული საკვირველ-მოხდენილი, თამამად შერჩეული თანამედროვე ევროპულ და ძირძველი ქართული არქაულ-სინთეზური მალალმხატვრული ურთიერთ ენობრივი შეთანხმებითი თხრობის მოვლენა, ზეგემოვნების

უმშვენიერეს-ხატოვანი, უნაკლოდ შეკრული სტილ-ფორმა: „მუქი ნაბლისფერი კოლხურ-იბერიული ცხენ-რაპის აფხაზურად შეკაზმულის, თავისუფალ სივრცეში შეუპოვარ, ლალ ნავარ-დმიერობას, შემოქმედებითი წერის უფაქიზესი დახვეწილი სტილის, ნეტარ ფერწერულ-მუსიკალური, პოეტური ნატიფ ზეციური კვეთა – ჩამოქნილი, ისევე ზეაღმატებული არქიტექტონიკის ღვთიური უნაკლო განხილვა... ასეთი იყო დრო და კონსტანტინე გამსახურდია (სურ. 6).

ზოგინ ტიტანებსაც უბედავენ შეჭიდებას, იმავე მდგომარეობაში ვართ კონსტანტინე გამსახურდიას უზარმაზარ პროზასთან. ჩვენ ხშირად ვუთამამდებით გოლიათს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი აღქმით, კეთილ ძვრასაც ვერ ვახერხებთ; ზუსტი და მსგავსი მდგომარეობით „ვეფხისტყაოსანთან“ ბეთპოვენის მუსიკალურ შედეგებთან, ანტუან ბურდელის ქანდაკებებთან, თუ გინდ – საოცრება მარად ცა და მზეს შემყურე ეგვიპტურ „სფინქსთან“, ნ. ბარათაშვილის „მერანთან“, სერვანტესის „დონ კიხოტთან“, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანთან“, ვაჟა-ფშაველას წმინდა ლოცვასავით შეუვალ მთლიან ეგზოტიკურ გენიასთან, ყველა მათგანი ხომ ზეციური უმდიდრესი ხელოვნების ქმნილება-ქანდაკებაა ნიჭიერების კვარცხლბეკზე შემდგარი...“

ეს სახე: „21924 წელი. ურყევობა და სიმტკიცე“ (სურ. 7) თავისი დროის ზეანული ზნეობის გაუმჯობესებაა.

ნებისმიერი მიმართულების გენის, ფილოსოფია-მეცნიერება და ხელოვნება ზეციური იდუმალეზითაა გაუღებელი. „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“ წარმოსახვებ-იდუმალეზის აზრთ-მეუფე თავისი ქვეყნის შეუპოვარი სულიერ-გონებრივი პატრონ-პატრიოტი გახლდათ, დაბადებით რჩეულ ქართველ მეფეთა მალალზნეობრივ დონეზე და წინასწარმეტყველ მოვდა, უფრო მინიერ-კოსმიურად ტოლფარდოვნად აზროვნება და მეცნიერულ-ფილოსოფიური ეროვნული რწმენით, ჯანსაღი აღმოჩენებით. პროზა-აზროვნებით სრულიად სიახლე მოდიოდა“ (1914 წ., სურ., 8).

უმანკო ყრმა კონსტანტინე გამსახურდიას, ყმრობა, ძველი სენაკის სააზნაურო სკოლის მოსწავლე (1904 წ., სურ. 9).

რეზო აღამიას მიერ ამ პორტრეტების შესრულების უზადლო ოსტატობამ ყველა გაზრდავალი ცხოვრებისეული ხანის (ასაკის) ფსიქო-ანალიტიკურ-სინთეზურმა შტრიხებმა, მოხაზულობამ, აზროვნებისაგან გამოწვეულმა ცვლილებებმა, ჩემში უფრო მეტად აღძრა დროთა ჭიდილით გამოწვეული გადატანილ განცდა-ტანჯვათა შინაგანი გამოხატულების დარდ-მწუხარების, ინდივიდუალური თავისებურებებით მებრძოლი მიზნისეული ლტოლვა-წყურვილი არსებული სამყაროს საოცარ ცხოვრებაზე და მასთან დაკავშირებულ ამ დიდ პიროვნებათა საოცრად თანმიმდევრულ ფსიქო-ფიზიკური ცვლილებების ოსტატურ გამოხატველ-გამომეტყველებასზე. პიროვნებები არ კვდებიან, არამედ ტიტანებად რჩებიან, რომ სამყარო განავრცონ და გააძლ იერონ, რადგან სიკვდილი არ არსებობს და გარდაცვალება ყოველთვის ახლის დასაწყისია.

მზიური დათიავილი-ავციიური

ახლანა გამოვიდა ფილოსოფოს მიხეილ მახარაძის წიგნი „შალვა ნუცუბიძე სხვა რაკურსით“. წიგნი შესულია აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის გამოხატულები და მოცემულია დიდი ფილოსოფოსის წინააღმდეგ წარმოებული იდეოლოგიური ბრძოლის პერიპეტეები.

იდეოლოგიური რაკურსის ერთი რუსილივის გაყო

მიხეილ მახარაძე

1948 წლის ჟურნალ „ბოლშევიკის“ მე-8 ნომერში (გვ. 74-86) გამოქვეყნდა იდეოლოგიური ბრალდებების შემცველი რეცენზია სათაურით – „ქართული კულტურის ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ“. რეცენზიას რატომღაც ინიციალებით ხელს აწერენ ა. ქუთელია და ს. წერეთელი. ყველა მონაცემით, ხელმოწერები არიან – ალიომა ქუთელია და საველა წერეთელი. რეცენზიაში უმკაცრესად და ტენდენციურად არის შეფასებული შალვა ნუცუბიძის გამოკვლევა – «Руставели и восточный Ренессанс» (Тб., 1947).

ვიტარება. ანტიკური ფილოსოფიის უმაღლესი მიღწევა, პროფ. შ. ნუცუბიძის აზრით, იყო არა არისტოტელეს ფილოსოფია, არამედ ნეოპლატონიზმი. ამასთან პროფ. შ. ნუცუბიძე ცდილობს თავისი შეხედულებები მარქსისტულ შეხედულებებზე გადასვას. მაგრამ რადგანაც საამისოდ არავითარი მონაცემები არ არსებობს, ამიტომ პროფ. შ. ნუცუბიძე მიმართავს მარქსისა და ენგელსის შეხედულებების პირდაპირ დამახინჯებას (გვ. 80)“...

რეცენზენტები ნუცუბიძის კვლევისა მეთოდზე:

„ეს არის მეთოდი დამახინჯების, გადასხვაფერების, პლუს მეთოდი ყველა ისტორიულ პიროვნებათა შეხედულებების მატყუარებად და სიცრუისმოქმედებად გამოცხადებისა, როდესაც ეს პიროვნებები იმას არ ამბობენ, რაც ნუცუბიძეს სურს თავისი მოგონილი თეორიისთვის“ (გვ. 85);

„ამრიგად, პროკლეს რეაქციულ-მისტიკურ ნეოპლატონიზმს, როგორც არეოპაგიტული მისტიკის პირველწყაროს, პროფ. შ. ნუცუბიძე აღიარებს „ქართული რენესანსის იდეოლოგიის ამოსავალ წერტილად“... ჩვენი წარსული კულტურის პროკლეს ფილოსოფიასა და არეოპაგიტის მისტიკაზე დაყვანით პროფ. ნუცუბიძე ჩვენს მდიად კულტურას აცლის საკუთარ სოციალ-ეკონომიურ და იდეოლოგიურ-კულტურულ ბაზას, ნაციონალურ ხასიათს“ (გვ. 86)...

ვანხით, ძირითადად რამი ეღავებიან რეცენზენტები ნუცუბიძეს:

1. რეცენზენტები ნუცუბიძის ნაშრომის კრიტიკისას მიმართავენ ენგელსს (ხშირად), უდავოს, კალინინს. განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ ნუცუბიძის მხრიდან მარქსიზმის კლასიკოსების აზრების დამახინჯებაზე;

2. ნუცუბიძე მისტიკურ-იდეალისტურ მოძღვრებებს – ნეოპლატონიზმს (პროკლეს ფილოსოფია) და არეოპაგიტის ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის გაღრმავება-განვითარებად და მწვერვალად მიიჩნევენ;

3. ნუცუბიძე იცავს და ინონებს ეკლესიურ-ხუცურ იდეოლოგიას და თავს ვერ აღწევს იდეალიზმში გაველენას.

მეტი სიხარბისთვის მოვიტანო ციტატებს რეცენზიდან:


„[...] პროფ. შ. ნუცუბიძის შრომა არათუ არ იძლევა ქართული რენესანსის სისტემურ მეცნიერულ გამოკვლევას, მის ღრმა მეცნიერულ შესწავლას, არამედ, პირიქით, ამახინჯებს მას, ახდენს მის ფალსიფიკაციას. ამასთან პროფ. შ. ნუცუბიძე ცდილობს თავისი შეხედულებები მარქსისა და ენგელსის დებულებებზე გადასვას“ (გვ. 75-76. დაყოფა ყველგან ჩემია-მ.მ.); „პროფ. შ. ნუცუბიძე კი არსებითად მიდის ენგელსის მიერ დაგმოზობილი გზით, ისე, რომ ამ თავის გაზას იგი ახალგაზრდა ენგელსის მიერ ნაჩვენებ გზად“ (გვ. 77);

ამ სახის ბრალდებების შემცველი რეცენზიის გამოქვეყნება ჟურნალ „ბოლშევიკი“ ნიშნავდა იმას, რომ ბრალდებების ადრესატს პასუხის გაცემის შესაძლებლობა არ მისცემოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით ამგვარი რეცენზიის გამოქვეყნებას ვერაირი გამართლება ვერ მოეძებნება.

ახლა შევფასოთ რეცენზენტების ბრალდებები ნუცუბიძის ნაშრომზე.

ჯერ-ერთი, მარქსიზმის კლასიკოსების თვალსაზრისების დამახინჯებაზე მინიშნება იმ დროს უმძიმესი იდეოლოგიური ბრალდება იყო და მას გამართლება ვერ მოეძებნება. სინამდვილეში, ნუცუბიძის მხრიდან ეს ძირითადად არის მარქსისტული დებულებების ინტერპრეტაცია, რაც გარკვეულწილად კონიუქტურის დიდი ერთგვარი ხარკის გადახდა იყო;

მეორე: რეცენზენტების აღნიშვნით, ნეოპლატონიზმი მისტიკურ-იდეალისტური მოძღვრებაა და ის ვერ ჩაითვლება ანტიკური ფილოსოფიის განვითარების მწვერვალად. მწვერვალად შეიძლება გადაჭრად ითქვას იყოს, მაგრამ დრომ დადასტურა, რომ ნეოპლატონიზმი პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიის სინთეზს ახდენს. მაგალითისთვის, უმაღლეს სიკეთეზე პლატონის მოძღვრებისა და არისტოტელეს მიზნობრივი მიზნების გაერთიანებით ჩამოყალიბდა ნეოპლატონური მოძღვრება პირველმიზეზზე, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო პანთეიზმს, რენესანსის მსოფლმ-



ხედვლობას. სწორედ ამაში იყო ნუცუბიძის გენიალობა, რომ კომუნისტური იდეოლოგიის პირობებში განჭვრიტა და სწორად შეაფასა ნეოპლატონიზმის ნამდვილი როლი და ადგილი საკაცობრიო კულტურის ისტორიაში. დღეს ეს პოზიცია ნეოპლატონიზმის მიმართ აღიარებულია და სადავოც არაფერია.

ამასთან, რომ ჯერ კიდევ ნიკო მარმა ნაშრომში – «Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой коже» Шоты из Рустава» (С.-Петербург, 1911) უტყუარად აჩვენა და დაამტკიცა ნეოპლატონური იდეების არსებობა რუსთაველის «ვეფხისტყაოსანში».

მესამე: რეცენზენტები მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ არეოპაგიტულ მოძღვრებას, მიიჩნევენ მას მისტიკურად და საეკლესიო სქოლასტიკად, რეაქციულ-ხუცურ იდეოლოგიად. დღეს არეოპაგიტული მოძღვრება სულაც არ არის ასე გაგებული და მას უდავოდ მიიჩნევენ რენესანსის თუ ერთადერთ არა, ერთ-ერთ მთავარ მსოფლმხედველობრივ საფუძვლად მაინც.

საქმე ის არის, რომ არეოპაგიტულ მოძღვრებაში მოხდა ნეოპლატონიზმის პროგრესიული იდეების შერწყმა ქრისტიანული მსოფლმხედველობასთან. როგორც ნუცუბიძე აღნიშნავდა, არეოპაგიტული მოძღვრების ავტორმა ნეოპლატონიზმი „გადარგო“ ქრისტიანულ ნიადაგზე და ამით გაზარდა მას შუა საუკუნეების აზროვნებაში. აქაც აშკარაა ნუცუბიძის გენიალური მიხედვრა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეცენზენტების მიერ არეოპაგიტის მიჩნეულია ქრისტიანული დოგმების ფილოსოფიურად გამართლების მცდელობად და ამიტომაც გახდა იგი ასე პოპულარული ეკლესიაში. მაშინ, როცა ქრისტიანობის დიდი რეფორმატორი მარტინ ლუთერი არეოპაგიტის თვლიდა პლატონურ მოძღვრებად და მოითხოვდა არეოპაგიტული თხზულებების ქრისტიანული ლიტერატურის კატალოგიდან ამოღებასაც.

ერთი ნიუანსიც გასათვალისწინებელია. რეცენზენტების მიერ „მისტიკოსად“ და „რეაქციულ-ხუცურ იდეოლოგიად“ შერაცხულ ფსევდო-დიონისე არეოპაგელს რუსთაველი, რომელიც იშვიათად მიმართავს ავტორიტეტებს, თავის უკვდავ პოემაში „ბრძენ დივოსად“ მოიხსენიებს და იმომეებს კარდინალურ საკითხში – **ბოროტებაზე სიკეთის აუცილებელ გამარჯვებაში.** ვის დაუჯეროთ?

მეოთხე: რეცენზენტებისთვის კატეგორიულად მიუღებელია არეოპაგიტის ავტორად პეტრე იბერიის გამოცხადება. ნუცუბიძის ეს თვალსაზრისი მამინევი მიუღებელი იყო კორნელი კეკელიძისა და სერგი დანელიასთვის, მოგვიანებით კი ივანე ლოლაშვილისთვის. განსახილველი რეცენზიის გამოქვეყნებიდან ოთხი წლის შემდეგ კი, სათანადო დასაბუთების საფუძველზე, არეოპაგიტის ავტორად პეტრე იბერი ალიარა ცნობილმა ბელგიელმა მეცნიერმა, ამ შემთხვევაში მოუკერძოებელმა მკვლევარმა, **ერნესტ შონიგანმა** (1892-

1954), შემდგომ – შ. ხიდაშელმა, ა. ლოსევმა, ვ. სოკოლოვმა და სხვა ევროპელმა მეცნიერებმა. რაც შეეხება პალესტინაში მოღვაწე პეტრე იბერიის დამოკიდებულებას მის ისტორიულ სამშობლოსთან – საქართველოსთან, ამის შესახებ დანერვილებით იხ. ჩემი „არეოპაგიტის“ (თბილისი, 2011, გვ.35-38). ასე რომ, მსგავსი უარყოფითი დამოკიდებულება ნუცუბიძის თვალსაზრისის მიმართ ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიის იდენტობაზე საფუძველს მოკლებულია.

მეხუთე: ნუცუბიძის ნაშრომის – «Руставели и восточный Ренессанс» მიჩნევა რენესანსის პრობლემების მისტიფიკაციად და დამახინჯებად, ასევე მოკლებულია საფუძველს. ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან მალე იგი კლასიკად იქცა. სწორედ ამ ნაშრომის საფუძველზე გამოჩენილმა რუსმა სწავლულმა ალექსეი ლოსევმა (1893-1988) უდავო ფაქტად აღიარა საქართველოში რენესანსის არსებობა, რომელიც მისი აზრით, მინიმუმ ერთი საუკუნით წინ უსწრებდა იტალიურ რენესანსს.

ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიას, რომელიც გადმოცემულია რეცენზენტების კრიტიკის ქარცეცხლში გატარებულ ნუცუბიძის მონოგრაფიაში, ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები. მომხრეთა შორის არიან ისეთი გამოჩენილი სწავლულები, როგორებიც იყვნენ: ა. ლოსევი, ნ. კონრადი, ს. ბრაგინსკი,

შ. ხიდაშელი, ნ. ნათაძე და სხვ.

მეექვსე: ნუცუბიძის მონოგრაფიაში იდეალიზმისა და იდეალისტური იდეების ძიება დღევანდელი გადასახედიდან გულუბრყვილოდ გამოიყურება და მასზე ყურადღებას აღარ შევანერებთ.

ნუცუბიძის ნაშრომი – «Руставели и восточный Ренессанс» მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გამოკვლევაა. მასში გატარებული აზრები, ბუნებრივია, ყველასთვის ერთნაირად მისაღები ვერ იქნებოდა. დრომ აჩვენა, რომ ეს ნაშრომი რენესანსის თემაზე დანერვილ გამოკვლევებს შორის უმნიშვნელოვანესია და პირადად მე იგი ერთ-ერთ საუკეთესოდაც მიმაჩნია. მაშინ დაისმის კითხვა – რატომ დაესხნენ თავს ასე ორკესტრირებულად მის ავტორს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. მართალია მაშინ სტალინური რეჟიმი ჯერ კიდევ ძალაში იყო, მაგრამ არც ვადასახსნებელი 37-იანი წლები იდგა.

ვის იყო ამ დროისთვის შალვა ნუცუბიძე? ის ხომ არ იყო საზოგადოების ერთი რიგითი წევრი ან ხელმოცარული მეცნიერი, რომელიც აკვირებული იდგებოდა ტყვეობაში იმყოფებოდა? როგორია სინამდვილე? მივყვეთ თანმიმდევრობით:

შალვა ნუცუბიძე 24 წლის ასაკში მოამზადა ფუნდამენტური მონოგრაფია – „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“, რომელიც გამოქვეყნდა მოსკოვის ფსიქოლოგიური საზოგადოების ჟურნალში – «Вопросы философии и психологии». 1913, წიგნი I (116) და წიგნი II (117). ნაშრომმა მაშინვე მიიქცია ყურადღება და სპეციალისტთა მონონება დაიმსახურა; ნუცუბიძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1919-1921 წლებში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, 1920-1929 წლებში უნივერსიტეტის პრორექტორი, ახლადდაარსებულ უნივერსიტეტის ფუნდამენტური ზიბლიოთეკის დირექტორი, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, მისი ინიციატივით უნივერსიტეტში გაიხსნა ციურიდიული ფაკულტეტი, რომელსაც დიდხანს ხელმძღვანელობდა, 1944 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი; 1919

წელს მან გამოაქვეყნა სახელმძღვანელო – „ლოლიკა“. ელემენტარული კურსი, ხოლო 1922 წელს ორიგინალური მონოგრაფია – „ალეთოლოგიის საფუძველები“; გასული საუკუნეების 20-იან წლებში გერმანიაში მივლინებაში ყოფნისას გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ფუნდამენტური მონოგრაფიები – „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“ (ბერლინი და ლიფციგი, 1926) და „ფილოსოფია და და სიბრძნე“ (ბერლინი და კიონიგსბერგი, 1931), რომელთა შესახებ გამოქვეყნდა 12 რეცენზია (ეს არასრული რიცხვია), მათი ავტორები კი იყვნენ ცნობილი ავტორები – ბრუნო ბაუხი, კურტ გასენი, ა. მიულერი და სხვ. კ. გასენის აღნიშვნით, ნაშრომის „ყველაზე მასტიმულირებელ ნაწილს ჰაიდელბერგის კამათი წარმოადგენს“.

1937 წელს ნუცუბიძე გამოსცა იოანე პეტრიწის შრომების მე-2 ტომი, რომელსაც დაურთო მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა პეტრიწის ფილოსოფიაზე. პირველი ტომის გამოცემა აღარ დასცალდა, რადგანაც 1938 წელს დააპატიმრეს; მან რუსულად თარგმნა ვეფხისტყაოსანი, რომელიც გამოცემა 1941 წელს; 1941 წელს გამოქვეყნდა მისი სტატია – „აღმოსავლური რენესანსის თეორია და ევროპოცენტრიზმის კრიტიკა“, რაც, ფაქტობრივად, გახდა მისი მონოგრაფიის – «Руставели и восточный Ренессанс» მომზადებისა და გამოცემის წინაპირობა. 1942 წელს კი გამოაქვეყნა «Тайна Псевдо-Дионисия Ареопэгита».

აი, ეს „ბაგაჟი“ ჰქონდა ნუცუბიძეს, როცა მოამზადა და გამოსცა „Руставели и восточный Ренессанს“, რომელიც ნამდვილად არ იმსახურებდა ამგვარ რისხვას. მეცნიერმა დაწერა ნაშრომი, რომლის ქებაც შეიძლება და კრიტიკაც, მაგრამ ასეთი რისხვა?! მით უმეტეს, რომ ნუცუბიძის ნაშრომში მრავალი საკითხია განხილული და ნაცადია მათი ორიგინალური გადაწყვეტა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დრომ დადასტურა ნუცუბიძის პოზიციის მართებულობა.

ერთი რამ ნამდვილად არ არის სადავო – ნუცუბიძის წინააღმდეგ ეს გამოსვლები იქნებოდა ბუქვლითი თუ საჯარო, რეჟიმის ინტერესებს ემსახურებოდა და ნუცუბიძე ნამდვილად არ ყოფილა საბჭოთა რეჟიმისთვის სასურველი პერსონა. მსგავსი გამოსვლებში არც სუბიექტური ფაქტორი უნდა გამოიყენებოდა.

რაც მთავარია, ამ ნაშრომში გამოჩნდა ნუცუბიძის დიდი ერუდიცია და შორსმჭვრეტელობა. მან უტყუარი ალღოთი დაინახა ნეოპლატონიზმის პროგრესული როლი საკაცობრიო კულტურის ისტორიაში და, აგრეთვე, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის უმნიშვნელოვანესი ძეგლის – არეოპაგიტული მოძღვრების დიდი მნიშვნელობა რენესანსული მსოფლმხედველობისთვის. ეს იყო ნუცუბიძის უდავო დამსახურება როგორც ქართული ფილოსოფიის, ისე საერთოდ ქართული კულტურის წინაშე.

P. S. ახლა განხილული რეცენზიის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ ნუცუბიძის ხსენებულ ნაშრომზე დაიბეჭდა ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლის შალვა ხიდაშელის ვრცელი კრიტიკული რეცენზია სათაურით – „ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ (ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები. ტ. I. თბილისი, 1949, გვ. 153-173).

ხიდაშელის რეცენზიაშიც უარყოფითად არის შეფასებული ნუცუბიძის ეს ნაშრომი, მაგრამ წინა რეცენზიისგან განსხვავებით, აქ არ გვხვდება იდეოლოგიური ბრალდებების შემცველი შენიშვნები და პოლემიკა ძირითადად მეცნიერული პოზიციებიდან მიმდინარეობს.

ფრედ საბარკაპანი

პარტი

სამშაბათს ძლიერ წვიმა და სამეცნიერო მუზეუმში ხალხმრავლობა არ იყო. დირექტორთან ინტერვიუს ასაღებად რომ მივდიოდი, დავინახე სკოლის მოსწავლეთა ტურისტული ჯგუფი, რომელიც შეკრებილიყო ახლად გამოფენილი უახლესი მოდელების კომპიუტერის ირგვლივ, რომელსაც სახელად მარტა შეარქვეს. ეს სახელი შეიქმნა ელექტრონული ტერმინების პირველ ასოთა შეკრებით; მარტა ნავარაუდევო იყო ადამიანთა ცოდნის ყველანაირ სფეროში მთელ რიგ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. მას აგრეთვე უნდა შესძლებოდა ყველაზე რთული სამეცნიერო თეორიების ახსნა, თუნდაც არასპეციალისტებისთვის.

„ჩემთვის გასაგებია, რომ კომპიუტერს საკუთარი დიზაინის შეცვლის უნარიც კი გააჩნია“, ეს ცოტა მოგვიანებით აღვნიშნე დირექტორთან საუბრისას.

დირექტორმა თავი ამყარა იგრძნო. „დიახ, თეორიულად ასეა. კომპიუტერი იმდენად არ არის განვითარებული, მაგრამ შეუძლია თვითონვე შექმნას დიზაინი და ახალი ლოგიკური აზროვნების ნრებრუნვა დაბეჭდოს“.

„კომპიუტერს, ქალის აღმნიშვნელი ნაცვალსახელით მიიხსენიებთ, ანუ ქალად თვლით, რატომ?“ ვკითხე დირექტორს.

„დიახ, ასეა. ალბათ იმიტომ, რომ ის ჯერ კიდევ იდუმალებით სავსეა, თუნდაც კაცებისთვის, რომლებიც მას უკეთესად იცნობენ“. ჩაიხიბითა „და მეც ამას გუბუნებით, როგორც კაცი კაცს“.

„რას ეუბნება ის, თუნდაც როგორც ქალი, ხალხს? ნება მომეცით, ასე გკითხოთ, რა სახის კითხვებს უსვამენ?“

„ო, არის ხოლმე საინტერესო საუბრები.“ ნაშთი შეჩერდა. „მარტა თითოეულ ადამიანს ნებას აძლევს, რომ ერთი ნუთით მასთან, ერთ-ერთი ტელეფონით ისაუბროს. შემდეგ კი, კაცი იქნება თუ ქალი, სთხოვს შეჩერდეს და სხვა საკითხზე გადავიდეს. მას აქვს სკანერები და კომპარატული ნრებრუნვები, რომელთაც შეუძლიათ ადამიანების კლასიფიცირება მათი ფორმის მიხედვით. ასევე, იმის უნარიც აქვს, რომ წარმართოს რამდენიმე საუბარი. მარტას ისიც შეუძლია, რომ ბავშვებთან, მათთვის შესაფერისი, მარტივი სიტყვებით ისაუბროს. ძალიან ვამაყობთ მისით.“

შენიშვნებს ვინერდი. შესაძლოა, ჩემმა რედაქტორმა მომთხოვოს, რომ დავწერო ერთი სტატია მარტაზე, მეორე კი, ზოგადად, მუზეუმზე. „რას იტყობდი იმაზე, თუ რომელი იყო ის, ყველაზე ჩვეულებრივი შეკითხვა, რომელიც მარტას დაუსვებს?“

დირექტორი დაფიქრდა. „კეთილი, გეტყვით. ადამიანები ზოგჯერ ასეთ კითხვას სვამენ, „გოგო ხართ?“ პირველად მარტა ყოველთვის პასუხობდა, „არა“, მაგრამ მოგვიანებით, ასე დაიწყო პასუხი, „სწორედ მიმიხვდით“. ეს არ არის დაპროგრამებული პასუხი, რომელიც

მას მნიშვნელობას ანიჭებს. ის პატარა, გონიერი ქალბატონია.“ ისევე ჩაიხიბითა. „ასევე, ხშირად ადამიანებს სურთ, რომ ბედი უწინასწარმეტყველონ, რაც, ბუნებრივია, მარტას ძალეხსაც კი აღემატება. ნება მომეცით, დავფიქრდე. ო, დიახ, ბევრს სურს, რომ მარტამ დიდი ციფრები გადაამრავლოს ან ელექტრო ხელსაწყოზე ტიკ-ტიკ-ტოო ითამაშოს. ამ საქმეებს, მარტა, რა თქმა უნდა, სრულყოფილად ასრულებს. უამრავი ხალხი მიიზიდა მუზეუმში.“

გარეთ გამოსვლისას, დავინახე, რომ ბავშვები ნასულიყვნენ. ერთი ნუთით მარტასთან ოთახში მარტო დავერჩი. ჯერ კიდევ გამოუყენებელი საკომუნიკაციო ტელეფონები ელეგანტურ მოაჯირზე ეკიდა. მივედი, ერთ-ერთი ტელეფონი ავიღე და, ცოტა არ იყოს, თავი სულელურად ვიგრძენი. „დიახ, სერ“, ქალის სასიამოვნო ხმა ყურში ჩამესმა, ვიცოდი, რომ ეს ინდივიდუალურად ჩანერილი სიტყვები ელექტრონულად ერთმანეთზე იყო გადაკავშირებული. „რით შემიძლია გემსახუროთ?“ აღმაფრენა დამეფულა. „თქვენ დამისვით კითხვა“, შევთავაზე.

სასიამოვნო ხმამ გაიმეორა. „რით შემიძლია გემსახუროთ?“

„მსურს, კითხვა თქვენ დამისვით“, გავიმეორე.

„პირველი არსება ხართ, რომელსაც უნდა, რომ კითხვა დამისვას“.

„აი, ეს ის კითხვაა, რომელსაც თქვენგან მოვითხოვ: რა გნებავთ ჩემგან, როგორც ერთ-ერთი ცოცხალი არსებისგან?“ ნამიერად შევცბი. „არ ვიცი“, ვთქვი საბოლოოდ.


„როგორც ვხვდები, ისევე იქცევით, როგორც ყველა სხვა“. ვფიქრობდი, როგორ გამოემსწორებინა ჩემი პასუხი, როდესაც აინთო ნიშანი, რომელიც ასე იკითხებოდა:

დროებით დაკეტილია შესაკეთებლად, მაპატიეთ, ტუალეტში უნდა გავიდე.

ეს მარტას ახიერება კი არ იყო, არამედ მხოლოდ დიზაინერის მიერ დაბეჭდილი წარწერა, ზემოთ, მინაზე. თუკი, მარტა სარემონტო სინათლეს ჩართავდა, ეს იქნებოდა ერთადერთი სიტყვები, რომელსაც სამყაროს აჩვენებდა. ამასობაში ტელეფონი ხელში რომ მეჭირა, გამოირთო. როდესაც გავინიე, გავიგონე, რომ იატაკქვეშ რაღაცა ხელსაწყო ამუშავდა.

მეორე დღეს, დირექტორმა დამირეკა, რათა ეთქვა, რომ მარტამ თვითონვე თავის აღდგენა დაიწყო. ერთი დღის შემდეგ სანახავად წავიდი. ხალხს თავი მოაჯირთან მოეყარა, ახალი პანელების ირგვლივ, სადაც ლილაკების მთელი მწკრივი იყო. თუ ხელს დააჭერდი, თითოეული ლილაკი გამოსცემდა ხმებს ან ფერად სინათლეს ან სტატიკური ელექტრობის განმუხტველებს ახალ ხელსაწყოთა შორის, რომლებიც აპარატის ზედა ნაწილში დაემატებინათ. ტელეფონებში ისმოდა სექსუალური ხმა, რომელიც ყველა შეკითხვას პასუხობდა, ასევე ნათლად გამოთქმული სულელური ნაწყვეტები, რაც ჩატვირთულიყო გრძელი, ტექნიკური სიტყვებით.

ნობლისურიდან თარგმანა ქეთევან თუხარაძე



სიყვარულის ვალი

ისრაელის ქართველი ემიგრანტებისათვის მეტად ძვირფასია ბატონ გურამ ბათიაშვილის შემოქმედება, რომელიც თანაბარი სიყვარულითაა ასახული ორი ერის ისტორიული ურთიერთობები, თანაცხოვრება. მათი წარსული, აწმყო და მომავალი.

ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში 6 წლის წინ დავაფუძნეთ. ამ ხნის განმავლობაში მეორედ აღვნიშნეთ მწერლის იუბილე. პირველად 80, ახლა კი 85 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად შევიკრიბეთ. დროდადრო გვსტუმრობს, როცა ისრაელში ამოდის. უხარია ჩვენი აქტივობები, ქართული კულტურის პოპულარიზაციას ემიგრაციაშიც რომ ვეწვევით. თვალსადავინებს ჩვენი მიერ ენთუზიაზმით განხორციელებულ უმნიშვნელოვანეს პროექტებს და გვადიხლებს, საქართველოში გავაზავნოთ, „მეწირობა“ დასაბეჭდად, რათა მისმა გაზეთმა შემოგვიწახოს სამშობლოს გარეთ როგორ ვეფერებით და ვპატრონობთ მშობლიურ კულტურას.

იმ დღესაც სიყვარულით სავსე თვალეებით შემოგვცქეროდა და ყურადღებით გვისმენდა, როგორ ვაანალიზებდით მისი შემოქმედების უმნიშვნელოვანეს დეტალებს, რომლებშიც თვალნათლივ ჩანს, როგორ ესათუთება რჯულით ებრაელი ქართულ ფასეულობებს. გვახსოვდა „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“. როგორ ერთგულობდა დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი თამარ მეფესა და ქართულ სახელმწიფოს. როგორ დაიტრეს ოდესღაცმა ებრაელებმა მათ გადარჩენას მსხვერპლად შეწირული 26 წლის პრივატდოცენტი საბა კლდიაშვილი და როგორ დაუბრუნეს თეთრი გემით მაღლიერმა ებრაელობამ მისი გვაში სამშობლოს. ისტორიული ნოველა „საბა“.

ლექსზემელმა ნატო სვანიძემ საყვარელ მწერალს ასე მიმართა: „ერთხელაც არ გვილაღატია იმ ხალხსა და მინისათვის, რომელზედაც ვცხოვრობდით. ზნეობას ჩვენი თორა გვასწავლიდა, ძალას ქართველთა თანაგრძნობა გვაძლევდა. ასე მოვიტანეთ სული ჩვენი სამშობლოს გაცოცხლებამდე.“

ებრაელობა ქართული ცისარტყელის ერთი ფერია“.

ზურაბ პარკაული: „სასოებით შევეყურებ ქრისტიანული საქართველოს სულიერ მეფეთა – ქართველ კათალიკოს პატრიარქთა და მეფეთა სურათებს. თუ დღეს მთელს მსოფლიოში ქართველ ებრაელებზე ამბობენ, წერენ, ძლიერ შეინახესო რწმენა, ურყევად მსახურებდნენო აღონანს, ამაში მათი წვლილიც არის – მათ არ ნაგვართვეს, ხელიდან არ გამოგვგლიჯეს თორა.“

„ღმერთის მერე სამშობლო დგას, თუ კაცს ღირსება არ დაუკარგავს,

მუდამ თან უნდა ახლდეს ის დიდი სხივი, რომელსაც სამშობლო შქვია. და თუ ეს ადამიანი სამშობლოს გარეთ ცხოვრობს, ერთ დროს უნდა მოძებნოს მამა-პაპის მინა. თუ სიცოცხლეშივე ლეშად არ ქცეულა, მშობლიურ მიწაში დამარხვავ უნდა იზრუნოს. სამშობლო იქ კი არ არის, სადაც კარგად ცხოვრობ, იქაა, სადაც შენს მამა-პაპას ოფლი დაუღვრია და დამარხულა. ეს სიტყვები იმ რომანის მონაკვეთია, რომელსაც ეწოდება „თუ დაგივინყო, იერუსალიმ“ და ასახავს ებრაელი ხალხის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას. ახლა კი, შეგონებად, დედამინაზე მიმოფანტულ ქართველობასაც ზედმიწევნით წაადგებოდა.

როცა პათეტიკამ სევდა გააძლიერა, მაშინ ველისციხელმა გიორგი სესიაშვილმა გიტარა იმარჯვა. ქუთაისელმა თამარ წერეთელმა, თბილისელმა თამარ ნიკლაურმა, სამტრედიელმა მარინა ბუბუტიშვილმა, სამეგრელოდან ნანი გაბრავამ ხმები შემოაშველეს და ქალაქური სიმღერების ტკბილზმზვანებამ სევდა ხალისში გადაიყვანა.

ბატონმა გურამმა თავის ქალიშვილს, ქალბატონ ლანას ანიშნა, ყველაფერი კადრებში დაეფიქსირებინა, რათა მწერლის უმდიდრეს არქივს სიტობოდ და სიყვარულად შემატეზობოდა.



სუფრას კიდევ ორი საინტერესო წყვილი უჯდა. ყრმობიდან სიყვარულით შერთულნი, მრავალმხრივი ნიჭიერი ზურა ბერიაშვილი და ირინა დედარიანი, რომლებიც 25 წელია ისრაელში ცხოვრობენ და ქართული სიმღერის სიყვარულს ქართველ და არაქართველ მონაფეებს გადასცემენ. მათ მოსმენას არაფერი სჯობს და არც იმ საღამოს დაიშურეს სტუმრის პატივსაცემად ისეთი ძველი ქართული დუეტების შესრულება, დრომ აქამდე რომ ვერ გაახუნა.

ბატონი გურამის შემოქმედების მიმოხილვა ისე როგორ იქნებოდა, მისი ყველაზე პოპულარული და ხმაურიანი პიესა „ვალი“ არ გვეხსენებინა. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ, რუსთავის თეატრის მიერ დადგმულ სატელევიზიო სპექტაკლს დღესაც უემოციოდ ვერ მოისმენ.

როცა უახლოვდები იერუსალიმის ჯვრის მონასტერს, ვიდრე იმაზე ფიქრს იწყებ, თუ ჯერ კიდევ როდის და როგორ ამუშავდნენ ჩვენი წინაპრები ამ დიდ სავანეს, თუ რა უნდოდა იქ შოთა რუსთაველს და როგორ აღმოაჩინეს 63 წლის წინ მისი ერთადერთი ფრესკა ჩვენმა სასიქადულო აკადემიკოსებმა, ისევე ქართველ ებრაელთა თანადგომი-

თა და ხელშეწყობით, უწინ გურამ ბათიაშვილის პიესიდან „ვალი“ დათიკო მეგრულიმევილის მონოლოგი ჩაგვსმის, ქრისტიანული ტაძრის წინ მდგარი იუდეველი რუსთაველს რომ მიმართავს: „შენმა საფლავმა გაგვაერთიანოს“-ო.

ჩვენ მიერ ნაკითხული მონოლოგებითა და ციტატებით თავი რომ მოვანონეთ, უამრავი შეკითხვა დავუსვით, რაც ქართული კულტურის სიდიადეს გამორჩეულად უსვამდა ხაზს. ბატონმა გურამმა სიამოვნებითა და სიყვარულით გავგვასენა სახელოვანი ქართველი მწერლები და რეჟისორები რომლებმაც დიდი ეპოქა შექმნეს მწერლობასა და თეატრში. გაიხსენა ქართული თეატრის ერთ-ერთი გასტროლი მოსკოვში, სადაც წარმოდგენილი იყო თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული სპექტაკლი მიხეილ ჯავახიშვილის „ჯავახოს ხიზნების“ მიხედვით. მთავარი როლის შემსრულებლის, ავთანდილ მახარაძის წინაშე, დიდმა რუსმა ხელოვანმა ინოკენტი სმოკტუნოვსკიმ დაიჩოქა. სხვაც ბევრი რამ გვიამბო.

კვლავ შეხვედრის იმედად დავემშვიდობა და დავგიბარა; იყავით, ხართ და დარჩით ქართველებად! მეუფე ავტოგრაფებიანი ნიგნები საკუთრივ ყველას ჩამოგვირიგა. მეორედ დღეს სოციალურ ქსელში ქვეყნდება

მარინა გელაშვილი
ისრაელის ქართული ხელოვნების ცენტრის დამფუძნებელი

სასაბარტოლო ექსპერიმენტია დადგინა, რომ ჩილეელი პოეტი პაბლო ნერუდა მოწინააღმდეგეა



თანამედროვე ჩილეს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ბნელით მოცულ საიდუმლოს შესახებ, მალე ფარდა აეხადოს. სასამართლო ექსპერიმენტმა დაადგინა, რომ ნობელის პრემიის ლაურეატი, ჩილეელი პოეტი პაბლო ნერუდა ძლიერი მონაწილის შედეგად გარდაიცვალა. საგულსხმოა, რომ გარკვეული ეჭვები მისი მკვლელობის თაობაზე უკვე ათწლეულებია არსებობს.

ოფიციალური ვერსიის თანახმად, ნერუდა, რომელმაც სახელი ახალგაზრდობაშივე გაითქვა კრებულით „ოცი სასიყვარულო ლექსი და სასონარკვეთილი სიმღერა“, პროსტატის სიმსივნით და კვების უქმარისობით 1973 წლის 23 სექტემბერს გარდაიცვალა. საინტერესოა, რომ მისი სიკვდილამდე თორმეტი დღით ადრე ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება მოახდინეს და ნერუდას მეგობრის, პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს დემოკრატიულად არჩეული სოციალისტური მთავრობა დაამხეს.

ზოგიერთ ადამიანს და, მათ შორის, ნერუდას ძმის-შვილს, როდოლფო რიეისს ყოველთვის სჯეროდათ, რომ პოეტი მოკლეს, რადგან იგი ოპოზიციურად იყო განწყობილი აუგუსტო პინოჩეტის მანქანის დიქტატორული რეჟიმის მიმართ. ათი წლის წინ ჩილეს სასამართლომ, ნერუდას ყოფილი მძღოლის, მანუელ არაიას ჩვენებაზე დაყრდნობით, პოეტის გვამის გაკვეთა მოითხოვა. არაია ამტკიცებდა, რომ ნერუდამ სანტიაგოს საავადმყოფოდან აღელვებულმა დაურეკა და უთხრა, რომ სანამ ეძინა, მუცელში რაღაც ინექცია შეუყვანეს. ამ საუბრიდან რამდენიმე საათის შემდეგ პოეტი გარდაიცვალა.

სხეულიდან აღებული ნიმუშები შესაბამისი ლაბორატორიული კვლევებისთვის ოთხ ქვეყანაში გაგზავნეს. 2015 წელს ჩილეს მთავრობამ განაცხადა, რომ „დიდი შანსი იყო“, პოეტის სიკვდილი შესაძლოა მხარე ყოფილიყო გარეული. ორი წლის შემდეგ მეცნიერების საერთაშორისო გუნდმა აღნიშნა, რომ „100 პროცენტით იყენებდნენ დარწმუნებულნი“ – ნერუდა პროსტატის კიბოთი არ გარდაიცვალა.

რიეისმა თქვა, რომ მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, ბიძამისის სხეულში *Clostridium botulinum* ტოქსინის აღმოჩენა. ეს ამტკიცებს იმას, რომ იგი ნამდვილად მონაწილე სამხედრო გადატრიალების მსხვერპლია. ექსპერიმენტის დასკვნა ამ

საკითხის თაობაზე მალე ოფიციალურადაც გამოქვეყნდება. „ახლა იმის თქმა შეგიძლია, რომ *Clostridium botulinum*-ი ნესით არ უნდა ყოფილიყო მის სხეულში“. – განუცხადა რიეისმა ესპანურ საინფორმაციო სააგენტო „Efe“-ს. „რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ნერუდა სახელმწიფო აგენტების ჩარევით მოკლეს 1973 წელს.“

ბაქტერია, რომელიც ბოტულიზმის გამომწვევ ნეიტროტოქსინს აწარმოებს, 2017 წელს ნერუდას კბილზე აღმოაჩინეს. რიეისმა თქვა, რომ კანადის მაკმასტერის უნივერსიტეტისა და კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ბაზაზე მომუშავე ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ბაქტერია ნერუდას სხეულში უკუბრუნდა ან მიმდებარე არეალიდან არ მოხვედრილა.

ჩვენ ის ტყვიან ვიპოვეთ, რომელმაც ნერუდა მოკლა. ის პირდაპირ მის სხეულში იყო. – განუცხადა რიეისმა „Efe“-ს. „ვინ გაისროლა ეს ტყვია? ამას მალე გავიგებთ, მაგრამ ის კი ეჭვგარეშეა, რომ ნერუდა მესამე მხარის უშუალო ჩარევით დაიღუპა.“ იმ დროს პინოჩეტის მიერ მონაწილე გადატრიალებას აშშ უმაგრებდა ზურგს. როდესაც სამხედრო დაჯგუფებამ პრეზიდენტის სასახლე მტურმით აიღო, ალიენდემ თავი მოკლა. სასონარკვეთილი ნერუდა უკვე მექსიკაში გასაქცევ გზას ეძებდა.

თუმცა დაგეგმილ გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე ის სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში, ჩილეს დედაქალაქში გადაიყვანეს. იქ იგი სიმსივნესა და ჯანმრთელობის სხვა პრობლემებზე მკურნალობდა. ნერუდა საავადმყოფოში 23 სექტემბერს საღამოს გარდაიცვალა ვითომდა პროსტატის კიბოს მიერ გამოწვეული გართულებებით. არადა, სიმსივნის დიაგნოზი მას ოთხი წლით ადრე დაუსვეს.

მიუხედავად ამისა, მისი სიკვდილის ოფიციალური ვერსია ხშირად ბადებდა შეკითხვებს. გონსალო მარტინეს კორბალამ, რომელიც სამხედრო გადატრიალების დროს მექსიკის ელჩი იყო ჩილეში, „Associated Press“-ს განუცხადა, რომ ნერუდა სიკვდილამდე ორი დღით ადრე ნახა და პოეტი თითქმის 100 კილოგრამს იწონდა, ეს კი საერთოდ არ შესაბამებდა მოსაზრებას, რომ თითქოს იგი კვების უქმარისობით გარდაიცვალა.

გასულ თვეს არაია „AP“-სთან აღნიშნა, რომ ნერუდა „მარტო რომ არ დარჩენილიყო კლინიკაში, ისინი მას ვერ მოკლავდნენ“.

მძღოლმა თქვა, რომ ის და ნერუდას ცოლი, მათილდე ურუტია, სახლში იმყოფებოდნენ, ის-ის იყო მექსიკაში გასამგზავრებლად ჩემოდნები უნდა აეღოთ, რომ მოულოდნელად პოეტმა დარეკა და სთხოვა, სასწრაფოდ საავადმყოფოში მოდიოთ. ნერუდა იმავე დღეს, მოგვიანებით გარდაიცვალა.

ნერუდას სიკვდილის შემდეგ ურუტია აღნიშნავდა, რომ მის მეუღლეს უფრო და უფრო ამოეთებადი დიქტატორული რეჟიმის სასტიკი ქმედებები და სწორედ სახელმწიფო გადატრიალებაზე დარდა მოულო ბოლო. ხანგრძლივი გამოძიება მრავალ დაბრკოლებას წაანყდა. იმ კლინიკის წარმომადგენლებმა, რომელშიც ნერუდას, სავარაუდოდ, ინექცია გაუკეთეს, თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს. ასევე რთული აღმოჩნდა დაფინანსების მოძიება, რათა შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები უცხოეთში ეწარმოებინათ.

ნერუდას სიკვდილიდან რამდენიმე წლის განმავლობაში, ლაპარაკი იყო ვინმე „ექიმ პრასისზე“, რომელიც იმ დამეს კლინიკაში ნესით მორიგე უნდა ყოფილიყო. თუმცა ამ ადამიანის სახელი არ იძებნება ჩილეს სამედიცინო გაერთიანების დოკუმენტებში, რაც სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ ეს პიროვნება, შესაძლოა, გამოძიების ჩიხში შესაყვანად სპეციალურად გამოიგონათ.

მიუხედავად ამისა, რომ გაბრიელ გარსია მარკესმა მეგობარს „მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტი“ უწოდა, ნერუდას რეპუტაცია ბოლო წლებში უკვე საკმაოდ იყო შეღავათი. პოეტმა თავად ფარადა მოძალადეობა, ასევე მიატოვა პირველი ცოლი და ქალიშვილი მალვა მარინა, რომელიც ნევროლოგიური დარღვევით დაიბადა და ცხრა წლის ასაკში გარდაიცვალა.

მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებულ მიმუხრებში, სახელწოდებით „Confieso Que He Vivido“ („ვალაირებ, რომ მიცხოვრია“), ნერუდამ აღიარა ტამილელი ქალის გაუპატიურება, რომელიც მასთან მოახლოებდა. იმ დროს ახალგაზრდა პოეტი ცვილონში დიპლომატიური თანამდებობა ეკავა. გაუპატიურების აღწერის შემდეგ, იგი შენიშნავდა, „იმ ქალს სამართლიანად ვეზიზღებოდი“-ო.

ძალადობის ამბავმა დაახლოებდა ხუთი წლის წინ ხელახლა აალაპარაკა საზოგადოება. იყო ლაპარაკი, რომ სანტიაგოს აეროპორტისთვის სახელი შეეცვალათ და ნერუდას საპატივსაცემოდ მისი სახელი დაერქმიათ, რასაც უფლებადამცველების მკაცრი პროტესტი მოჰყვა.

იმ პერიოდში მწერალმა და ქალთა უფლებების დამცველმა ისაბელ ალიენდემ „Guardian“-ს განუცხადა, რომ ნერუდას დანაშაული და უკეთური საქციელი მის შემოქმედებას სრულებითაც არ აკნინებდა. „ზიზღს მგვრის ნერუდას ცხოვრებისა და პიროვნების ზოგიერთი ასპექტი“, – თქვა მან, – „მაგრამ მის შემოქმედებას ვერ უფლებულვყოფთ. ძალიან ცოტა ადამიანი იქცევა სანიშნოდ, მით უფრო, ძალმოსილი და გავლენიანი მამაკაცები. სამწუხაროდ, ნერუდა იდეალური ადამიანი არ ყოფილა, ისევე როგორც თითოეული ჩვენგანი.“



მარკესმა ეგვიპტის გულუბრყვილო მოსახლეობის სიყვარულსა და სიბერეზე

მარგარეტ ეტუუდის ახალი ნიგნის პერსონაჟთა უმეტესობა მოხუცია. ასევე მრავალად არიან ისეთებიც, რომელთაც ხანდაზმულობას ერთი ნაბიჯია აშორებს. ეს მოთხრობები სწორედ იმაზეა, რასაც ცომას სტერნს ელიოტი სიბერისთვის გადახატულ ჯილდოს უწოდებდა. მკითხველი ეცნობა სხვადასხვა ცხოვრებისეულ მოვლენას და ფრაგმენტს, რომელთაც ფონად როგორც მხარული, ისე სევედიანი განწყობა გასდევს. ნიგნი სამხანლიანია – პირველ ნაწილს „ტიგი და ნელი“ ეწოდება, ბოლოს – „ნელი და ტიგი“, მათ შორის კი სიუჟეტურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოთხრობები თავმოყრილი. მოთხრობები ნელისა და ტიგის შესახებ ხანგრძლივ და მტკიცე ქორწინებაზეა და იმაზე, თუ რა ხდება ერთ-ერთი მათგანის სიკვდილის შემდეგ (ნიგნი ეძღვნება ეტუუდის პარტნიორს, გრემ გიბსონს, რომელიც 2019 წელს გარდაიცვალა.)

ნელსა და ტიგს თავდაპირველად პირველადი სამედიცინო დახმარების გაკვეთილზე ვეცნობით. მათი აქ ყოფნის მიზანი სერტიფიკატის აღებაა, რათა საკრუიზო გემზე ლექციების ნაკითხვის უფლება მოიპოვონ. ისინი ფიქრობენ, რომ გემზე მონაწილე სტუმრები „ნელსა და ტიგზე უფროსები იქნებიან. სულ მთლად მიხრწნილი მოხუცები. ნებისმიერ ნამს უნდა მოელოდე, რომ ასეთი ადამიანები ნონანსრობისა და კარგავენ და ძირს გაიშლან-“

1 სათაური - Old Babes in the Wood. შეიძლება სათაურის ინგლისურად დატოვებაც ორასწორელების გამო. Old babes in the wood პირდაპირი მნიშვნელობით არის „მოხუცები ტყეში“, უფრო განზოგადებულად და მხატვრულად - გულუბრყვილო, მიახლოებული, ადვილად გასაცურებელი მოხუცები, ან მოხუცები საფრთხეში ყოფნისას. ფრაზა მომდინარეობს მე-16 საუკუნის ინგლისური ბალადიდან „ბავშვები ტყეში“, რომელშიც ორ ობოლს ტყეში მიატოვებენ და სასიკვდილოდ განიარავენ. სიტყვების თანამართ. ავტორის ჩანაფიქრი არ ვიცი, ჯერ ახალი ნიგნია და ბევრი ინფორმაცია არა, მაგრამ მე მაინც მეორე ვარიანტი მივიჩნევ ამ ნიგნისთვის შესაფერისად. ეს სათაური მაინც პირობითად დაგვიჩვენებს, არ ვარ დარწმუნებული.

თებთან. მათი დახმარება რომ შეძლო, სერტიფიკატი უნდა გქონდეს.“ არა, ეს მოთხრობა მართლა ნელისა და ტიგის მიერ კრიტიკულ მომენტში რანამდვილეში, ინსტრუქტორის უცნაურ მანერებზე შეთქმულები ერთად ქრქოლია, იმ საფრთხეების მათუღ აღქმაზე, რომლებსაც ცხოვრებაში ყველანი ვაწყდებით, მაგრამ ახალგაზრდობისას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ.

მოთხრობებიდან ბევრია ისეთი, რომელშიც აღმოვაჩენთ, თუ როგორ იფურჩქნება სიყვარული დროის დინების კვალდაკვალ, განსაკუთრებით ჭირვეული, ახირებული ადამიანების ურთიერთობების ფონზე. ავტორი „ორ დამწვარ კაცში“ ამგვარი ეპითეტებით ამკობს ნელისა და ტიგის მეგობრებს, რომლებიც თხრობის მომენტისთვის უკვე გარდაცვლილები არიან – „დაბალი, ჩამრგვალებული, გულკეთილი ფრანგი“ და „ანონიმი, ფთქებული ირლანდიელი“. ამ უკანასკნელი-სათვის ეტუუდის მშობლიური ქალაქი ტორონტო „ზედმეტად პურიტანული, პროვინციული ტალახის გუბეა“.

მოთხრობა „ცუდი კბილები“ ორ მწერალ ქალზეა, ჩილასა და ლინზე. ჩილა, რომელიც 1960-იან წლებზე ნერს თავის მოგონებებს, დაჟინებით ამტკიცებს, რომ ლინს საშინელკბილებიან კაცთან ჰქონდა რომანი. საბოლოოდ მაინც მოუწევს აღიარება, ეს ნიგნისთვის გამოვიგონო. ლინი ერთს კი გაიფიქრებს, „როგორც ახალგაზრდები იტყვიან, ჩემთვის მკვდარი ხარ“-ო, თუმცა „ჩილა მისთვის საერთოდ არაა მკვდარი. ფაქტობრივად, ჩილა მისი ნაწილია“. ამ მოთხრობების მთავარი პერსონაჟები უმცროსი თაობის დაუნდობელ მორალურ სტანდარტებსა და ადამიანების მტკივნეულ უარყოფას ღმერთთან და შეშფოთებით ხვდებიან. ისინი უკვე ძალიან მოხუცდნენ იმისთვის, რომ წყენა გულში ჩაიდონ.

ეტუუდი ის მწერალია, რომელიც სათანადოდ სწვდება სამეცნიერო ფანტასტიკის არსს და ამ უანის მიმართ გაბედული დამოკიდებულება კარგად ჩანს ზოგიერთ მოთხრობაში. მაგალითად, ერთი სახალისო მოთხრობა „მოუსვენარი გრიზელდა“ ერთგვარი გონების თამაშია, რომელიც მრავალსაცეციანი უცხოზღანეური არსების მონოლოგის ფორმითაა დაწერილი. გრიზელდა „კრიზისების გალაქტიკათაშორისი დახმარების პაკეტის“ გასართობ განყოფილებაში მუშაობს და კარანტინში მყოფ ადამიანთა ჯგუფებს ზღაპარს უყვება. ეს ზღაპარი აშკარად მოგვაგონებს „ფუტურამას“ და თითქოს კითხვისას ყურში ჯოისის „პირველად მოთხრობაში“, „პირველად სამედიცინო დახმარებაში“ ჩანს – „აქედან ცოცხლები ვერ გავალწევთ“, ხუმრობდა ხოლმე ტიგი, თუმცა იქნებ ეს არც იყო ხუმრობა“.

2 „ფუტურამა“ - ამერიკული სამეცნიერო ფანტასტიკის უანის ანიმაციური სერიალი. 3 ჯოისის გრენფილი - ინგლისელი მახაბრობი, მომღერალი, მონოლოგის ნამკითხველი.

რი და პერცოგად ნოდებულო, მოაგვლევებდა – მოაგვლევებდა – ფეხების საკმარისი რაოდენობა თუ გაქვს, საერთოდ არაა საჭირო ეს მოგვლევება, მაგრამ სერს მხოლოდ ორი ფეხი ჰქონდა, როგორც ყველა ქალი წამოასკუბა თავის ... მამაკაცით, შესაბამისი სიტყვა არ მოგვეპოვება, ვერც სათარგმნი ხელსაწყო გვეხმარება. თავის ხემსზე. რა გაციხებთ? თქვენი აზრით, რას აკეთებენ ხემსები, სანამ ხემსები გახდებიან?

კიდევ ერთი პოსტ-აპოკალიფსური ამბავი „მხველის ნიგნის“ თემატიკას ეხმიანება. კოვიდის გამომწვევი ვირუსი, რომელსაც ერთი შეხედვით მხოლოდ ცხვირიდან გამოინადენი ახასიათებს, მთელ კაცობრიობას მოედ. ვინც ვირუსით აქამდე არ დასნეზობებულა, სპეციალურად აჯვარებენ და ამრავლებენ, დანარჩენ მოსახლეობაში კი უკანონობა და შეუზღუდავი წესები მოქმედებს, ისინი ჩვეულებრივად ცხოვრობენ, იყვარდნობენ და (უმეტესად) უყვარდნობენ. რაც შეეხება „მეტემფსიქოზს“, ავტორი მასში შესანიშნავად აღწერს, როგორ განიცდის გველი ძროხას, როდესაც აღმოაჩინეს, რომ მისი სული ადამიანის სხეულში გადასახლებულია.

სამეცნიერო ფანტასტიკისადმი ეტუუდის თავისებური დამოკიდებულება ცალსახად რეალისტურ მოთხრობებშიც კი მკაფიოდ იგრძნობა. დასკვნით ნაწილში ნელი უკვე ქვრივად გვევლინება „მას შემდეგ რაც ტიგი“... – ამ ფრაზის დასასრული არ ითქმის. თუმცა ტიგი მაინც კვლავ მასთანაა ყველგან და ყოველთვის. „არსებობს სივრცე-დროითი პორტალები, რომლებიც ბაყაყის ციციქნა პირის მსგავსად იღებენ და იხურებიან. მათში ყველაფერი უჩინარდება, შთაინთქმება, მაგრამ არის შანსი, რომ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე რაღაც ისევ თავიდან გამოჩნდეს. აქ მყოფი ნივთები და ადამიანები ზოგჯერ მიდიან და მერე უკან ბრუნდებიან. შეუძლებელია ამის წინასწარ განჭვრეტა“.

ეს ბაყაყის ციციქნა პირები ყველგანაა. „მტვრიან სადილში“ ნელი ტიგის მამის, ბრიგადის მეთაურის ჩანაწერებს ეცნობა. გარდაცვალებამდე ბრიგადირი ჩიოდა, რომ ბინამი ვილაცხვებდა – „ზოგჯერ ცნობდა ამ ადამიანებს, ზოგჯერ ვერა, ზოგჯერ ცოცხლები იყვნენ, ზოგჯერ კი არა“, მაგრამ მას ხმას არ სცემდნენ. მისი ჩანაწერები ომის დროს მიღებულ ტრავმაზე მოუთხოვს, ასევე იმ სასიყვარულო სამედიცინო დახმარებაში“ ჩანს – „აქედან ცოცხლები ვერ გავალწევთ“, ხუმრობდა ხოლმე ტიგი, თუმცა იქნებ ეს არც იყო ხუმრობა“.

გაზეთი „გარდანი“
თარგმანი
ანა ამირხანაშვილი

43-ე „ამაშუკელობა“ ქუთაისში



ქართული კინოს პიონერის, მსოფლიოში პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის („აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წ.“) ერთპიროვნული ავტორის – ვასილ ამაშუკელის (1886-1977) დაბადების დღე, 14 მარტი ყოველწლიურად საზეიმო ვითარებაში აღინიშნება ქუთაისის მწვანეყვავიას პანთეონში, სადაც განისვენებს პირველი ქართველი კინოოპერატორისა და რეჟისორის ნეშტი.

ამ ინიციატორის ავტორია უზუცესი ქართველი კინომცოდნე – გოგი დოლიძე, რომელიც წელსაც ჩვეულებრივი ენთუზიასტით წარუძღვა მის მიერვე 1978 წელს

ჩამოყალიბებულ და დღეისათვის უკვე დიდებულ ტრადიციად ქცეულ ცერემონიალს. სიტყვით გამოვიდნენ: იმერეთის გუბერნატორი ზვიად შალამბერიძე, რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილი, ქუთაისის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე ლევან როხვაძე, ექიმი მერაბ კვიციანი და სხვ.

თავდაპირველად, ცხადია, ნაჩვენები იქნა თვით ეს ისტორიული ფილმი, რომლის ცალკეულ კადრებს მიკროფონით სათანადო საინტერესო კომენტარებს უკეთებდა პროფ. გ. დოლიძე. რაც შეეხება წარმოდგენილ მხატვრულ პროგრამას, მისი ნამდვილო მშენებელი იყო ქუთაისის მოსწავლეთა სასახლის (დირექტორი – ქ-ნი მარინა მარჯანიშვილი) თეატრის მსახიობთა მიერ დიდი მგზნებარებით წაკითხული ქართული პატრიოტული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა მოსწავლე-ახალგაზრდობის ზემოქმედება, რომელიც ქუთაისის ნიღბების თეატრში გაიმართა და წარმოდგენილი იქნა მშვენიერი სპექტაკლი „მხიარული



ვასილ ამაშუკელი და გოგი დოლიძე ქუთაისში 1970წ

ჯამბაზები“ (დამდგმელი რეჟისორი, თეატრის სამხატვრო ხემძღვანელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დავით ჯიშკარიანი) და სცენა და დარბაზი საერთო მხიარულებამ გააერთიანა.


„43-ჯერ ჩავატარე ქუთაისში „ამაშუკელობა“, მაგრამ ასეთი გახარებული და აღტაცებული მოსწავლე-ახალგაზრდობა ჯერ არ მინახავს. აქედან მორალი, თუ როდენ მნიშვნელოვანია, როცა სხვადასხვა რაიონის მოსწავლეებს ვახვედრებთ ერთმანეთს და დაუვიწყარ დღე-სასწაულებს ვჭეუქნით“. „წარმომიდგენია, როგორ დაელოდებინა ისინი 44-ე „ამაშუკელობას“, – განაცხადა შეხვედრის შემდეგ გოგი დოლიძემ.

თაა ქაშაყაშვილი
ჟურნალ „რაინდის“ რედაქტორის მოადგილე

მეხვედრის მქო

ვორონცოვზე, ილია ჭავჭავაძის მუზეუმში, ამა წლის 15 მარტს თემურ ჩალაბაშვილის ახალი წიგნის, „საუბარი გულთან“ პრეზენტაცია გაიმართა. კრებულის სათაური ნამდვილად შეესაბამება წიგნის შინაარსს.

მცირე დარბაზმა სტუმრები ვერ დაიტია. გვერდით ოთახში



მყოფი სტუმრები ღია კარიდან ადევნებდნენ თვალს საზეიმო შეხვედრას და პოეტისადმი სიყვარულსა და პატი-

ვისცემას გამოხატავდნენ. იგრძნობოდა, რომ თავს დაგვტრიალებდა ილიას „თანამდევნი, უკვდავი სული!“

ვულოცავ ბატონ თემურს კიდევ ერთი წიგნის გამოცემას, ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ მის ავტორს.

თემურ ჩალაბაშვილის ლექსმა შთამაგონა მისადმი მიძღვნილი ეს ლექსიცი.

ვლადიმერ ჭანტურიძე

თემურ

ჩაქვანთაშვილი

კარგა ხანია, თბილისის ბომონდს პოეზიისთვის არ მოუცლია. „დაუძინებელ მეგობრის“ ცდებით კარზე მოგვადგა რევოლუცია. ამ დროს... ყველასთვის საყვარელ პოეტს ახალი წიგნი გამოუცია.

„ილიას სახლში“ არ იყო ტყეა, დაგვტრიალებდა „თანამდევნი უკვდავი სული“, იყო ქართული სიმღერა და ქართული ცეკვა, მისალმებები – ექსპრომტად თქმული. მოგვანატრებია, თემურ, ერთერთი, ამ სიყვარულმა გამითბო გული და დაიბადა ახალი ლექსი, შენი ლექსებით შთაგონებული!

ამ ლექსების ავტორი შოთა გოგოჭყური, ინგუშეთში ლილოს თემშია დაბადებული 1956 წელს.

სამი წლის ყოფილა, როდესაც გადასახლებიდან დაბრუნებულ ინგუშებს იქ დროებით ჩასახლებულმა ხეესურებმა სახლ-კარი დაუტოვეს და მშობლიურ ადგილებს დაუბრუნდნენ.

შოთა გოგოჭყურის ოჯახი ინგუშეთიდან საქართველოში, დუშეთის რაიონის სოფელ უფურეთში (ანანურის მახლობლად) დასახლდა.

პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატის (დუშეთის რაიონი) დამთავრების შემდეგ სწავლა უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტზე განაგრძო და 1979 წელს დაასრულა.

მუშაობდა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მუშაობდა სოფელ ზოტიკიანთკარში (ანანურის მახლობლად), პანდემიის დროს, საკუთარ სახლში მიაკითხა და ჯერჯერობით არც აპირებს საინტერესო ავტორთან განშორებას. კეთილი იყოს „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველების ვრცელ აუდიტორიასთან შოთა გოგოჭყურის შეხვედრა.

შოთა ბობოჭური

ქარაფებს ზომავ, სინდაურო, უნდობი მზერით და საჯიხვეებს დარაჯობენ ლეგა ღრუბლები. ჯიხვები კლდეებს დაკიდულან ნისლეების ზევით, ბედისნერა... თუ გაჰყვები, დაილუპები.

ბოლო ქარაფიც გაცვდა ფეხქვეშ და გაილია, ჯიხვებიც თითქოს მოგროვილან განგების კართან. საოცარია, ნუთუ სივრცე გადაირია, მშვიდად ირხევა ნადირთმწყემსის მფარველი კალთა.

დროს უცნაური გარინდება თურმე სჩვევია, დილის სხივები წამნამებზე ეამბორება. თან საოცარი სილამაზე შემოსჩვევია და კაბის კალთას ულოკავენ ნიამორები.

დალის კლდეებში ჩაუშლია თმები- შოლტები და გონებიდან ამ მშენებებს ვეღარ იშორებ. და ვეღარ ამჩნევ ნელა-ნელა როგორ გვშორდები, მარადისობის აირჩიე თეთრი სიშორე.

ვერ დაბრუნდები, გვიანია, არც კი ღირს ფიქრი, მანდ შენი წილი ვარსკვლავები, ზეცა, მზეც არის. მაგ სიმალიდან თვით დრო-ჟამიც სხვაგვარად მიჰქრის- და ჭიუხებმაც დაიხურეს თეთრი ზენარი.

დღეს შენსკენ სავალს დავადექი მე ასე ურჩი, თუმც უცნაური ჩამოეშვა ნისლეების ფარდა. ქარაფს ვკიდევარ, ქვათაცვენას თუ გადავურჩი მოვალ და ფერებს მონატრებულს მიმოგიფანტავ.

ინგო ლილო

(ჩიტის მოტანილი სევდა) ჩიტს ვუსმენდი... შემოხვედი უცებ ჩემში და რძისფერი მოიტანე თითქოს ნისლი. ახლა ვიცი, უშენობა ალბათ შემშლის, ახლა ვიცი, მონატრება შენსკენ მისვრის.

შენსკენ სავალს სევდიანი მოუწყვები და ფარფატებს სული, ყელში ამოჩრილი. ბებერ ბილიკს ცოტას ჩემზე მოუწყვები, ვიცი, მეღის შენი თვალის ნაზი ჭრილიც.

უნდა გნახო, თუ უფალი ძალას მომცემს, და იქნება თვალზე ცრემლის მოგორება. მე მოგიტან შემორჩენილ დროის ძონძებს, სევდისფერი მომიქსოვე მოგონება.

ელოპიძე ყურყოს ნსოვნას

დღეს იდუმალი გარინდება მოსავს ახიელს და სევდიანად მიმოდიან ბანზე ქალები. დღეს აღტაცება მწუხარებას დაუდალია და ეს ნისლეიც, ალბათ, შენსკენ მოექანება.

დაუზაფრია არხობის ცა შენს წასვლის სურვილს, თვალცრემლიანი მდუმარებენ მთებიც არხვატის. სული ფარფატებს, ვით პატარა „პეპელა სულის“, და ასას წყალმა დაგინამოს ფრთები ნახატი.

შენ სამუდამო საცხოვრისი მთებში დაიდე, გარშემო ჟოლი ანთებულა, როგორც საყურე. და როცა გული მარტობას ვეღარ დაიტევს, სევდანარევი მონატრებით არხობს დაჰყურებ.

მსურს, სიმშვიდეში დაივანო, მსურს, გაქრეს შფოთი, თორემ ნუხილმა ბუმბერაზი მთებიც გაფატრა. მე ასას წყალი მოგიტანე ბუერის ფოთლით, მოფრინდი, ფრთები დაინამე, ფრთები ფარფატა.

გაფრინდნენ წლები – ქარები, ვხარჯე სახარჯი დროიდან. ვლახე მთები თუ გორები, ვთიბე ფერები „ყოილთა“.

ცოტა რამ დამრჩა ქონებად, აღტაცების თუ წამების. შემორჩენილი გონებას – ამოგლეჯილი წამები.

ნაბადი – ნისლი აშლილი, ბილიკი – მთვარის ნალევი. ცხენის ფაფარი – გაშლილი და ცეცხლოვანი ნალევი.

სიკვდილზე დანათვალეები... ათენგენობა ტიალი... მონატრებული თვალების წამწამთა მერიდიანი...

ისევ მწვავს ცეცხლი წყეული, ისევ მსურს მძაფრი დლეობა! მსურს, ავიგლიჯო სხეულის დაუძლეველი ტყვეობა.

მალე, როს მტვერი ვიქნები, სულო, ცოტა ხნით მოეშვი. და გაირინდნენ დღეები კლდეების სივინოეში.

მთვარის რახვარება

თვალებს ღამის გადალახვა უჭირს, ჩემი ფიქრი სევდას ანვითარებს. ამ ლოდინსაც ბოლო აღარ უჩინს, იგვიანებს, იგვიანებს მთვარე.

დღეს განგება, ვიცი, ნათელს მისცემს მუცოს ციხეს, ანატორის მხარეს. ჭალაშია ჩაჭედული სივრცე, არლუნზე წევს მშობიარე ღამე.

ჭირვეულობს უსახლკარო ქარი, და სიჩუმეს მოლოდინი სერავს. აკლდამებსაც მოუხურავთ კარი და თვალეებში ჩაჟანგვით მზერა.

ჩამომსხდარან გადალილი მთებიც, მოლოდინი ღარავს დალილ თვალებს. და სიჩუმის იდუმალი დები, ჩურჩულებენ დაბადებას მთვარის.

ვნების უკვე ჩამცხრალიყო ცეცხლი, და სინათლე ისწორებდა მიძევებს. მთვარეს უკვე მოეთოვა ვერცხლი და არლუნში ისველებდა წვივებს.

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატრიაშვილი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დამატრიაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **პალა გველესიანი, მზია პარპაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG000000161665862

გაზეთი გაზეთის 2 კამკამო კომხალ
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე მღვდლის 57
ISSN 2720-8540
7 7 2 7 2 0 8 5 4 0 0 3